

ახალი ღიასაფიქა

ჩიუვი და შინ წინასაღმდეგ ბრძოლა
ახარაში



სახელმწიფო გამომცემლობა

ბ ა თ უ მ ი

1958

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ზ ა

ექიმ ა. დიასამიძის წინამდებარე ნაშრომი საინტერესო მონოგრაფიაა. მასში თანმიმდევრობით არის გაშუქებული აპარაში ჩიყვის გავრცელებისა და პროფილაქტიკის საკითხები. ჩიყვის ენდემური კერების გამოვლინების მოკლე ისტორიული მიმოხილვა, ადგილებზე გატარებული სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

ენდემიური ჩიყვის კლინიკური სურათის გარკვევისათვის ავტორი სრულიად სამართლიანად განიხილავს ფარისებრი ჭირკელის ფიზიოლოგიას, მორფოლოგიას და ჩიყვის კლასიფიკაციას.

როგორც საკუთარი დაკვირვების, ისე ლიტერატურის მიხედვით ავტორი აღნიშნავს, რომ ჩიყვის ოდენობა ყოველთვის არ განსაზღვრავს დაავადების სიმძიმეს. ხშირად დიდი ოდენობის ჩიყვის შემთხვევაში ფარისებრი ჭირკელის ფუნქცია არ არის მკვეთრად დარღვეული და პირიქით, შემჩნეულია რომ მცირეოდენობის ჩიყვის დროს იშვიათი როდია თირეოტოქსიკოზის, ან ჰიპოთირეოზის მძიმე მოვლენები.

პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ფარისებრი ჭირკელის ფუნქციური თავისებურებებიდან გამომდინარე ეუთიროიდული, ჰიპერთიროიდული და ჰიპოთიროიდული ჩიყვის განხილვა. წარმოდგენილი მონაცემები ამტკიცებს, რომ აპარის ასსრ ენდემიურ კერებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩიყვის ეუთიროიდული ფორმა. ამასთან ერთად, ექიმი დიასამიძე ეხება ფრიად აქტუალურ საკითხს — თირეოტოქსიკოზს ჩიყვის ენდემიურ კერებში. ავტორი სრულიად დამაჯერებლად აღწერს ასეთი მდგომარეობის დამახასიათებელ, მკაფიოდ გამოხატულ კლინიკურ ნიშნებს, რომლის მიხედვითაც ადვილია დიაგნოზის დასმა. მიუხედავად ამ სიმპტომებისა, ჩიყვის ენდემიურ კერებში თირეოტოქსიკოზის გამოცნობის საქმეში არსებობს გარკვეული სიძნელეები, როდესაც ეუთიროიდული ჩიყვი ჰიპერ, ან ჰიპოთიროიდული ჩიყვის გარდამავალ ეტაპზე

იმყოფება და ხასიათდება როგორც ერთი, ასევე მეორე ფორმის კლინიკური ნიშნებით. ეუთიროიდული ჩიყვის დროს სუსტად გამოხატული ჰორმონალური მოშლილობის შედეგად აღვილი აქვს აბატიანა, უძილობას, დაღლილობას, თავის ტკივილს, საერთო სისუსტეს, კუჭ-ნაწლავის ატონიას, ზოგჯერ თვიურის მოშლას, ზოგჯერ მოვლენებს გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ, მაჯის რითმის დარღვევას, მეტნაკლებად გამოხატულ ქოშინს და სხვა. მაგრამ ეს სიმპტომები შეიძლება არ იყოს მკვეთრად გამოხატული და გარკვეული დროის განმავლობაში ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა მცირე ფარგლებით შემოისაზღვრება, რამდენადაც არსებობს ისეთი ავადმყოფები, რომელთაც არა აქვთ მნიშვნელოვანი ჩივილები, ანდა ზემოთ აღნიშნული სიმპტომები ძალზე სუსტად აქვთ გამოხატული. ეუთიროიდული ჩიყვის გართულებულ ფორმაში გარდამავალი პერიოდის გამოძევავენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს, რომ თირეოტოქსიკოზის სიმძიმის მიხედვით კლინიკურ ფორმას გამოჰყოფენ მსუბუქს, საშუალოს და მძიმეს. პირველის დროს თირეოტოქსიკოზის მოვლენები სუსტად არის გამოხატული და ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანი შეიძლება სრულიადაც არ იყოს გამოვლინებული. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ცვლა ყოველთვის არ გამოხატავს დაავადების სიმძიმეს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც თირეოტოქსიკოზის დროს და ზოგჯერ მძიმე ფორმის შემთხვევაშიც კი ნივთიერებათა ცვლა ნორმის ფარგლებშია, მეორის მხრივ ძირითადი ცვლის გაძლიერება ყოველთვის არ ნიშნავს ჰიპერთირეოზს.

ენდემიური ჩიყვის ჰიპოთიროიდული ფორმა თავისი კლინიკური ნიშნების მიხედვით შეიძლება იყოს სუსტად და კარგად გამოხატული. ეს უკანასკნელი მდგომარეობა მნიშვნელოვან დარღვევას იწვევს ავადმყოფის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიურ სფეროში.

ყველა ზემოთ აღნიშნული მომენტების განხილვისას ა. დიასამიძე ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას. შრომაში თვალსაჩინოდ არის გამოვლინებული მიღწევები, რომელიც მოპოვებულია აჭარის ასსრ ჩიყვის ენდემიურ კერებში ჩატარებული სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად.

აჭარის ასსრ ენდემიური კერების გამოვლინებისა და შესწავლის შესახებ საკითხი დასვა ექიმმა ტიტე ლლონტმა (1925 წ.) შემდეგ 1927 წ. მოწყობილი იყო სპეციალური ექსპედიცია 7 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ი. ასლანიშვილი ხელმძღვანელობდა. ენდემიური კერების გამოვლინების დროიდან იწყება სამკურნალო

პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. 1949 წლიდან განსაკუთრებით ფართოდ იყო ორგანიზებული ენდემიური კერების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

გარდა დასახელებული საკითხებისა შრომაში კარგად არის წარმოდგენილი ჩიყვის ქირურგიული მკურნალობის ისტორია. ავტორი განიხილავს ლიტერატურის მონაცემებს, დაწყებული კორნელიუს ცელზუსიდან, რომელიც გვიჩვენებს ჩიყვის ექსტირპაციას თავისი კაფსულით. როლანდიმ მოგვაწოდა ჩიყვის ამოკაკლა გახურებული რკინის შანთით, მუისი გვიჩვენებს ზემო ფარისებრი არტერიის გადაკვანძვას, რომელიც შემდეგში ბლიცარდიმ და ვალტერმა განახორციელა (1813 წ.), ფოგენმა 1771 წ. ჩიყვის დროს აწარმოვა ფარისებრი ჭირკვლის ექსტირპაცია. დეზომ 1791 წ. კარგი შედეგი მიიღო ჰემისტრუმექტომიის შემდეგ ზემო და ქვემო ფარისებრი არტერიების ერთდროული გადაკვანძვით. მაგრამ რამდენადაც ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა ძველად კარგი შედეგით არ მთავრდებოდა, სწორედ ამიტომ წამოაყენეს ვალტერმა და ლანგენბეკმა ჩიყვის ექსტირპაციის ჩვენებად მხოლოდ სუნთქვის მძიმე მოშლილობა. შემდეგ 1850 წ. ჩიყვის გამო ოპერაციები საფრანგეთის აკადემიამ სრულიად აკრძალა. მოგვიანებით, ქირურგიის განვითარების შედეგად, როზეს, სოსენის, ბილროტის, კოხერის და სხვების მიერ შემუშავებული იყო ტიპური ოპერაციები. ჩიყვის გამო სანშტრემის მიერ 1880 წ. აღმოჩენილ იქნა პარათიროიდული ჭირკვლები, რომელთა ამოკვეთა იწვევს ტეტანისას. ამიტომ 1901 წ. ბიდელმა დაადასტურა ფარისებრი ჭირკვლის გარკვეული ნაწილის დატოვების აუცილებლობა, რომ არ განვითარდეს ტეტანია.

პირველი ოპერაცია ჩიყვის გამო რუსეთში გაკეთებული იყო 1847 წ. პიროგოვის მიერ, შემდეგ 1852 წ. მისლავსკის მიერ — კარგი შედეგით.

1893 წ. სარიჩევმა აწარმოვა ფარისებრი ჭირკვლის რეზექცია ბაზედოვის დაავადების დროს. შრომის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოპერაცია ფარისებრი ჭირკვალზე უნდა კეთდებოდეს ისე, როგორც ტინის ქსოვილებზე — უაღრესად ფაქიზად, ქსოვილების მაქსიმალური დაზოგვით და სრული ჰემოსტაზით. ფარისებრი ჭირკვლის ამოკვეთა უნდა ხდებოდეს საკმარისად და არასოდეს გადაჭარბებულად.

ექიმი ა. დიასამიძე ეხება ჩიყვის ქირურგიულ მკურნალობის ფრიად აქტუალურ საკითხებს. მის მიერ გულდასმით არის ანალიზ-

ზირებული ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში გატარებული 574 ჩიყვიანი ავადმყოფის ისტორია, რომელთაგან ოპერაცია გაუკეთდა 460 ავადმყოფს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ავტორი საკუთარ მონაცემების განხილვასთან ერთად ამჟღავნებს ლიტერატურის ღრმა ცოდნას. ნაშრომის ყოველი თავი მოფიქრებულად, გეგმიანად და ზომიერების დაცვით არის შედგენილი. ტექსტი დაწერილია მარტივი, გასაგები ენით. გამოთქმები ლაკონურია, ფაქტები მოკლედ და მკაფიოდ არის აღწერილი. კლინიკური მასალის ანალიზის დროს ა. დიასამიძე ავლენს ექიმურ გულწრფელობას. მონოგრაფიის ლიტერატურის საძიებელში დასახელებულია 253 წყარო ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე.

ექიმ ა. დიასამიძის შრომას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, ჩიყვის ენდემიური კერების სრული ლიკვიდაციის საქმეში.

პროფ. მ. კომაპიძე.

შ მ ს ა მ ა ლ ი

ჩიყვს კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს. იგი მოიხსენიება ანტიკურ და შუა საუკუნეების სამედიცინო ლიტერატურაში. დღეს ამ დაავადების გამომწვევ ფაქტორებად აღიარებულია ორგანიზმში იოდის ნაკლებობა, ცუდი ეკონომიური პირობები, ანტისანიტარია, ფსიქიკური ტრავმა და სხვა.

ჩიყვი ფართოდ გავრცელებული სნეულებაა. მსოფლიოში არ არის თითქმის არც ერთი ქვეყანა, სადაც არ გვხვდებოდეს იგი მეტნაკლები სიხშირით, უფრო კი — ზღვიდან დაშორებულ მაღალმთიან რაიონებში, სადაც ჰაერსა და საამელ წყალში ნაკლებად მოიპოვება იოდი.

ჩიყვის კლასიკური კერები ცნობილია შვეიცარიაში, ავსტრიაში, გერმანიასა და იტალიაში. ეს დაავადება გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, აგრეთვე საბჭოთა კავშირში (ალტაის მხარეში, ციმბირში, შუა აზიაში, უკრაინაში, კავკასიაში და სხვაგან). საქართველოში ჩიყვის ენდემიური კერები გვხვდება სვანეთში, ლეჩხუმსა და აჭარაში.

ისტორიული წყაროების მიხედვით ჩიყვი აჭარაში მე-18 საუკუნემდე არ მოიხსენიება. აქ მას პირველად ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების გაჩენა-გავრცელება რამდენადმე დაკავშირებული უნდა იყოს ამ კუთხის ისტორიულ ბედთან, წარსულში მის პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებასთან.

როგორც ცნობილია, აჭარის მოსახლეობა 300 წლის მანძილზე ვმინაედა თურქ დამპყრობთა უღელქვეშ. თურქთა ბატონობის პირველ წლებიდანვე მკვეთრად დაეცა ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგების დაქვეითებაც; სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული განათ-

ლების კერები და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე. თურქებმა მოსპეს ქართული მედიცინის ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორც იყო „უსწორო კარაბადინი“ და „წიგნი სააქიმოი“. ერთი სიტყვით, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ყოველივე ქართულს, ან ქართველთა ცხოვრებაში დამკვიდრებულს, მეცნიერებას შეეხებოდა ის, საარწმუნოებას, კულტურის კერებსა თუ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგს.

ქვეყნის ეკონომიკის დაცვამ, მოწინავე ეროვნული კულტურის ძეგლების განადგურებამ და წლების მანძილზე ხალხის ტერორქვეშ ყოფნამ დააძაბუნა, დააკნინა მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური ძალები, ხელი შეუწყო მთელ რიგ გვერდითს მოვლენებს — ინფექციურ და სხვა დაავადებათა გაჩენა-გავრცელებას, მათ შორის ჩიყვის ენდემიური კერების აღმოცენებას.

აჭარაში თურქთა ბატონობა გაგრძელდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე. 1878 წელს რუსეთთან ომში დამარცხებული თურქეთი იძულებული შეიქნა ხელი მოეწერა ბერლინის ტრაქტატზე. ამ საზაო ხელშეკრულების ძალით ბათუმის ოლქი, ყარსი და არტაანი შევიდა რუსეთის მფარველობაში. ამ დროიდან აჭარა დაუბრუნდა თავის დედა-სამშობლოს — საქართველოს და მასთან ერთად დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ფართოვდება ვაჭრობა, მრეწველობა, ბათუმში სამრეწველო საწარმოთა აგებასთან ერთად წარმოიშვა მუშათა კლასი, საფუძველი ჩაეყარა კაპიტალისტურ წარმოებას. ყველაფერმა ამან, მართალია, ერთგვარი გავლენა მოახდინა ამ კუთხის ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებაზე, მაგრამ ფაქტიურად აჭარა მეფის ხელისუფლების წლებში მაინც ეკონომიურად და რაობ და კულტურულად ჩამორჩენილ მხარედ დარჩა. არც სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ეთმობოდა ყურადღება.

აჭარის ნამდვილი აღორძინება იწყება მხოლოდ 1921 წლის 18 მარტიდან, როცა ძლევამოსილი წითელი არმიის დახმარებითა და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამიერიდან აჭარის მშრომელთა ცხოვრებაში დაიწყო დიდი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, რესპუბლიკა მოიფინა სკოლებით, ბიბლიოთეკებით, კლუბებით და კულტურის სხვა დაწესებულებებით. რაიონულ ცენტრებში გაიხსნა საავადმყოფოები, სოფლებში — საექიმო პუნქტები. დიდი ყურადღება დაეთმო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლიკვიდირებული იქნა თურქების მიერ აჭარაში შემოტანილი ინფექციური სნეულებანი, რომ-

ლებიც მუსრს ავლებდა მოსახლეობას; მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ბევრი სამხარეო დაავადება.

ჩვენ არ შეეცხებით აჭარაში გავრცელებული ყველა სახის სამხარეო პათოლოგიას, განვიხილავთ მხოლოდ ჩიყვის ენდემიურ კერებში მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში ჩატარებულმა სამედიცინო ექსპედიციებმა ბევრგან გამოავლინეს ჩიყვის ენდემიური კერები, დაადგინეს ამ დაავადების სახეობანი, აღრიცხეს ჩიყვიანები და გზადაგზა მოსახლეობას ჩაუტარეს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

წლების განმავლობაში ექსპედიციების მუშაობის შედეგად რესპუბლიკაში დაგროვდა დიდძალი მასალა ამ დაავადების გავრცელებისა და მკურნალობის შესახებ, ამის მიუხედავად, მისი მეცნიერული შესწავლა არ მომხდარა. ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა და სათანადო ანალიზი გაგვეკეთებინა აჭარის ჩიყვის ენდემიურ კერებში შექმნილი ვითარებისათვის.

აჭარაში ჩატარებულმა სამეცნიერო გამოკვლევებმა, განსაკუთრებით ბოლო წლებში გამართულმა კომპლექსურმა ექსპედიციებმა, ნათელჰყვეს რომ ახლა ჩვენ გავაჩნია ყველა საშუალება მოვსპოთ ჩიყვის არსებული ენდემიური კერები და არ დაუშვათ ახალი კერების გაჩენა.

საკავშირო ექსპერიმენტალური ენდოკრინოლოგიური ინსტიტუტის ქსელმა და ჩიყვის საწინააღმდეგო დისპანსერებმა წლების მანძილზე შეიძინეს დიდი გამოცდილება ამ დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საქმეში. იოდის პრეპარატებით ახლა ჩვენში ინტენსიური სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ ბევრგან ჩიყვის ენდემიური კერები თითქმის ლიკვიდირებულია. ასე, მაგალითად, ი. ვ. ნიკოლაევის მიერ შემუშავებული აქტიური სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიების გატარების შედეგად ჩრდილო კავკასიაში ჩიყვიანობა 70—50 პროცენტიდან სულ რამდენიმე წლის მანძილზე დავიდა 1,9—0,7 პროცენტამდე. საქართველოში (სვანეთსა და აჭარაში) დაჩიყვიანებამ საშუალოდ დაიკლო 35 პროცენტი. ჩვენში ცალკეულ შემთხვევებში ჩიყვის ენდემიური კერები თითქმის ლიკვიდირებულია. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონში 1925 წლის მონაცემებით დაჩიყვიანება უდრიდა 28 პროცენტს, 1954 წლისათვის იგი დავიდა 2,2 პროცენტამდე; შუახევის რაიონში 1949 წელს დაჩიყვიანება შეადგენდა 14,4 პროცენტს, 1954 წელს კი 2,5 პროცენტამდე დაეცა; ბათუმის რაი-

ონში 1949 წლის მონაცემებით ჩიყვით დაავადებული იყო მოსახლეობის 6 პროცენტი, ხოლო 1954 წლის მონაცემებით იგი 1,5 პროცენტამდე დავიდა; ქედის რაიონში 1927 წლიდან 1954 წლამდე დაჩიყვიანებამ დაიკლო 27,7 პროცენტით, 29,7 პროცენტიდან იგი დავიდა 2 პროცენტამდე.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას მეცნიერული ხელმძღვანელობისათვის უღრმეს მადლობას ვუძღვნი პროფესორ მ. ე. კომპანიძეს.

მადლობას ვუცხადებ შრომის შესრულების პროცესში ჩემზე მზრუნველობისათვის საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. კ. ერისთავს.

ადგილზე სათანადო დახმარებისათვის დიდად დავალებული ვარ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ვ. გიორგაძისაგან.

აქარაში ჩიყვის გავრცელების რუკის შედგენაში გულთბილი დახმარებისათვის უღრმეს მადლობას მოვასხენებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ ა. ჯავახიშვილს.

მადლობას ვუცხადებ ექსპედიციებში მონაწილე ყველა ექიმს, რომლებმაც სათანადო დახმარება გამიწიეს მასალების შეგროვებაში.

აჭარის მოკლე გეოგრაფიულ-გეოლოგიური

გეგმონილა

როგორც ცნობილია, ჩიყვის ენდემიური კერები უფრო ხშირად გავრცელებულია ზღვიდან დაშორებულ მთაგორიან ადგილებში, ვიწრო ხეობებში, მაღალი მთებით შემოზღუდულ ტაფობებში, სადაც სასმელი წყლები ნაკლებად მინერალიზებულია და ღარიბია იოდით.

ასლა ჩიყვის ენდემიური კერებს წარმოშობის ერთ-ერთ ფაქტორად აღიარებულია გეოგრაფიული გარემო, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად მივკანთა მოკლედ შევეხებით აჭარის გეოგრაფიულ-გეოლოგიურ თავისებურებებს.

აჭარის ასსრ მდებარეობს საქართველოს სსრ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მას დასავლეთიდან აკრავს შავი ზღვა. სამხრეთით — შავშეთის ქედი, რომლითაც იგი უშუალოდ ემიჯნება თურქეთს; აღმოსავლეთით აჭარასა და ახალციხეს შორის საზღვარი გადის არსიანის ქედზე. ხოლო ჩრდილოეთით — აჭარა-გურჯისტის ქედზე.

აჭარის ფართობი შეადგენს 2.900 კვ კმ. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, იგი ხასიათდება მდიდარი, მრავალფეროვანი ბუნებით. ზღვის სანაპირო ზოლი დაფარულია მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარეებით, ხოლო რაც უფრო მივიწვევთ ზევით, მთებისაკენ, ნაზ სუბტროპიკებს ცვლის ტყის ზონის მცენარეულობა, ჯერ სითბოს მოყვარული ფართოფოთლიანები, შემდეგ წიწვიანები (უმთავრესად ნაძვი და ფიჭვი). მთების ზემო ნაწილი კი უჭირავს ალპურ მდელოებს. ამგვარად, აჭარა შეიძლება დაიყოს სამ ბუნებრივ ზონად: ზღვის სანაპირო, ტყის და მაღალმთიან ალპურ ზონად.

ზღვის სანაპირო ზონა მოიცავს კახაბრისა და ქობულეთის დაბლობებს, აგრეთვე მთისწინა გორაკ-ბორცვებს, რომლებიც შედგება გეოლოგიურად მეტად ახალგაზრდა ქანებისაგან.

სანაპირო დაბლობები დაფარულია მდინარეების მიერ ჩამოტა-

ნილი ზღვიური დანალექებით, უმთავრესად კენჭითა და ქვიშით, ხოლო გორაკ-ბორცვები — ალუმინისა და რკინის ქანგით მდიდარი წითელი მიწებით.

აქარის ზღვისპირა ზოლისათვის, რომლის ჰავა ნოტიო-სუბტროპიკულია, დამახასიათებელია ტემპერატურის თანაბარი ცვლა. აქ იანვრისა და აგვისტოს საშუალო ტემპერატურის სხვაობა უდრის 16.8 გრადუსს (იანვრის საშუალო ტემპერატურა 6,4 გრადუსია, აგვისტოსი 23,2 გრადუსი).

წლის დროთა შორის ყველაზე მშრალია გაზაფხული, ხოლო ტენიანი — შემოდგომა. ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ შეადგენს 2.500 მმ-ს. ნალექების სიუხვის მიუხედავად, მზიანი დღეები მაინც ხშირია. მაგალითად, ბათუმში სექტემბერშია ცი, რომელიც ყველაზე წვიმიანი თვეა, მზის ნათების ხანგრძლივობა 204 საათზე მეტია.

აქარის ზღვის სანაპირო ზონა მთისწინა გორაკ-ბორცვებით თანდათან გადადის ტყის ზონაში, რომელიც ადმინისტრაციულად მოიცავს ბათუმის რაიონის ნაწილს, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებს. მას ძირითადად უჭირავს მდინარეების კინტრიშის, აქარისწყლისა და მაჭახელას აუზები.

ზღვის გავლენა ამ ნაწილში მკვეთრად კლებულობს და, სანაპირო ზონისაგან განსხვავებით, იგი გაცილებით მშრალია. ზამთარი აქ შედარებით ცივი, ხოლო ზაფხული ცხელია. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა შეადგენს 18-19 გრადუსს, ნალექები 1.000—1.200 მმ-ს არ აღემატება. თოვლი ამ ზონის მაღალ ადგილებში თითქმის იენისის შუა რიცხვებამდე დევს.

აქარის ტყის ზონა მდიდარია მდინარეებითა და სასმელი წყლებით. მდინარეები სწრაფად მოედინებიან და წვიმების დროს ძლიერ იძვრებიან, რაც მიუთითებს ნიადაგების ინტენსიურ ჩამორეცხვაზე. წყაროები ნაკლებად მინერალიზებულია, რადგან ამ ზონის ზედაპირის ქანები (ბაზალტი, პორფირიტი) ვულკანური წარმოშობისაა და მისი მინერალები წყალში ნაკლებად იხსნებიან.

ნიადაგებიდან გავრცელებულია ეწერა მიწები, რომლებიც ახლა ტყის გაკაფვის გამო, ძლიერ ჩამორეცხვას განიცდის.

მდ. აქარისწყლის ხეობაში მდებარეობენ რაიონული ცენტრები: ქედა, შუახევი და ხულო.

ქედა მდებარეობს ზღვის დონიდან 557 მეტრზე, მდინარეების აქარისწყლისა და მერისის შესართავთან, აქარისწყლის საკმაოდ ღრმა ხეობაში. იგი მოგვაგონებს კას, რომელიც ოთხივე მხრიდან

შემოზღუდულია მაღალი მთებით, რის გამოც ზღვის გავლენა აქ ძლიერ შესუსტებულია. ზაფხული იცის ცხელი, დღის ტემპერატურა ხშირად 30—35 გრადუსზე მაღალია, ზოგჯერ 40—43 გრადუსსაც აღწევს. ზამთარი ზომიერია, თოვლი უხვად მოდის.

შუახვევი მდებარეობს ზღვის დონიდან 600 მეტრზე, მდინარე აჰარისწყლისა და მარითვის ხევის შესართავთან, სადაც აჰარისწყლის ხეობა ქმნის სამკუთხედის მაგვარ ქვაბულს ციციბო კლდოვანი ფერდობებით. ჰავა მშრალია და ზაფხული მეტად ცხელი იცის. ირგვლივ მდებარე ქვის მასივები ძლიერ ხურდებიან და დიდხანს ინახავენ სიმეჭრეალებს, ამიტომ აქ ღამითაც აუტანელი სიცხეებია. მახლობელი მთების ფერდობები დაფარულია სიმშრალის მოყვარული ბუჩქებითა და ფიჭვნარით.

ხულო მდებარეობს ზღვის დონიდან 945 მეტრზე, მდინარე აჰარისწყლის ხეობის მარჯვენა ფერდობზე. კლიმატური პირობებით იგი განსხვავდება შუახვევისაგან. ხულოსათვის დამახასიათებელია მშრალი და შედარებით ცივი ზამთარი, ზაფხულობით კი მზიან დღეთა სიუხვე და გრილი ღამეები. ზაფხულის ყველაზე ცხელი თვის — აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 19 გრადუსია, ხოლო იანვრისა — 0,8 გრადუსი; მაქსიმალური ტემპერატურა აღწევს 40 გრადუსს. მინიმალური — 10—15 გრადუსამდე ეცემა.

ხულოს გარშემო მდებარე ფერდობები დაფარულია ზვრებითა და ხეხილის ბაღებით, ფლატეების ზემო ნაწილი კი წიწვიანი მცენარეებით (ნაძვით, სოჭითა და ფიჭვით).

ზღვის დონიდან 1.800—2.000 მეტრზე იწყება აჰარის მაღალმთიანი ალპური ზონა, რომელიც მოიცავს მაღალი მთების მწვერვალებს. ამ ზონის რელიეფი ძლიერ განსხვავდება ტყის ზონის რელიეფისაგან. იგი ნაკლებად დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით და ძირითადად ხასიათდება მომრგვალებული ბორცვებით.

ალპური ზონის ზედაპირის ქანები ისეთივეა, როგორც ტყის ზონისა (ვულკანური წარმოშობის ბაზალტები და პორფირიტები). აქ ზღვიურ დანალექებს სრულიად არ ვხვდებით. გავრცელებულია მაღალი მთის ჰუმუსით ღარიბი ხირხატიანი ნიადაგები. მცენარეებიდან გვხვდება მხოლოდ ალპური ბალახეულობა, რომელიც ქმნის მდიდარ ალპურ მდელოებს. ჰავა მშრალი და შედარებით მკაცრია. ზაფხულობით იცის ნათელი, გრილი ამინდები. მზე უხვად აფრქვევს ულტრაიისფერ სხივებს. აქ ბინადარი მოსახლეობა არ არის, მხოლოდ ზაფხულობით ამოდინან მწყემსები და დამსვენებლები.

ჩიყვის არსის გაგება

ჩიყვის არსი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იყო გარკვეული. ზოგიერთი მეცნიერი ჩიყვს უწოდებდა ფარისებრი ჭირკვლის ყოველგვარ გადიდებას, ან კიდევ, კისრის მოყვანილობის ოდნავ შეცვლას ამ ჭირკვლის გაზრდის გამო. ამიტომ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ათეული წლების განმავლობაში ჩიყვი მოიხსენიებოდა მისთვის სრულიად შეუფერებელი სახელწოდებით — ბრონქოცელედ (სასუნთქი მილის თიაქარად); ე. ი. სიმსივნედ, რომელიც შეიცავს ჰაერს.

რიხტერის განმარტებით, ჩიყვი არის საშუალო სიდიდის ყოველგვარი ფართოფუძიანი სიმსივნე, რომელიც მოთავსებულია კისრის წინა მხარეზე.

როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მეცნიერთა შორის დღემდე არ არის ერთიანი აზრი ჩიყვის არსის განმარტებაში.

ბ. ვ. ალიოშინის მიხედვით, ჩიყვი ყველა შემთხვევაში არის ფარისებრი ჭირკვლის ჰიპერპლაზის შედეგი, მაგრამ პროლიფირებული თიროიდული პარენქიმის სტრუქტურა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. ამის მიხედვით, ზოგჯერ პროლიფერაციის პროცესი ვრცელდება ფარისებრ ჭირკვალზე მეტნაკლები თანაბრობით და ვითარდება დიფუზური ჩიყვი. ხშირად ჰიპერპლაზია მოიცავს თიროიდული პარენქიმის ცალკეულ უბნებს. ამ შემთხვევაში წარმოიშობა კვანძოვანი ჩიყვი.

ო. ვ. ნიკოლაევი ჩიყვს უწოდებს ფარისებრი ჭირკვლის ისეთ გადიდებას, რომელიც სახეს უცვლის კისრის მოყვანილობას.

ჟოსლენდ დე ჟონგის მიხედვით, ჩიყვი ფარისებრი ჭირკვლის ისეთი გადიდებაა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ანთებასთან, არც სისხლის დენასთან და არც სიმსივნის წარმოშობასთან.

ჟონგის ამ შეხედულების წინააღმდეგია ნიკოლაევი, რომელიც ამბობს, სქესობრივი მომწიფებისა და მენსტრუაციის დროს გადი-

დებულ ჯირკვალს. რაც ფიზიოლოგიური მოვლენაა და თან არ ახლავს ანთებითი პროცესები. სისხლის დენა და სიმსივნის წარმოშობა, განა შეიძლება ჩიყვი ვუწოდოთო.

კ. პ. არხიბაევის განმარტებით, ჩიყვი არის ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილებისა და ელემენტების მუდმივი ზრდა.

ა. გ. ბრუზოვის მისხედით, ჩიყვი ეწოდება ფარისებრი ჯირკვლის ისეთ მყარ სიმსივნისებურ გადიდებას, რომელსაც თან არ ახლავს ანთებითი პროცესები.

ა. ნ. ველიკორეცკი და ვ. ა. კრუჯკოვი ჩიყვს თვლიან ფარისებრი ჯირკვლის თავისებურ მყარ კეთილთვისებიან გადიდებად.

ი. ა. ასლანიშვილის აზრით, ჩიყვი ფარისებრი ჯირკვლის ისეთი გადიდებაა, რომელიც არ არის დაკავშირებული არც ანთებასთან, არც სისხლის ჩაქცევასთან და არც სიმსივნის მომატებასთან. იგი უმეტეს შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერპლასტური პროცესის შედეგია, ჯირკვლის ზედმეტი ზრდაა.

შ. რ. თოდუროია ჩიყვს უწოდებს ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკულ ჰიპერპლასტურ დეგენერაციულ პროცესს, რასაც შემთხვევათა ერთ რიგში თან ერთვის ქსოვილის გაუქუდმარტებული ზრდა ადენომის წარმოშობით.

მეკ კარისონს ჩიყვი მიაჩნია ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკულ გადიდებად, რომელსაც არ ახლავს ანთებითი პროცესები.

გავრცელების მისხედით ძირითადად არჩევენ ჩიყვის ორ ფორმას — ენდემიურს და სპორადულს. ზოგიერთი ავტორი მოიხსენიებს ეპიდემიურ ჩიყვსაც.

ო. ვ. ნიკოლაევის განმარტებით, ენდემიური ჩიყვი არის ორგანიზმის ისეთი დაავადება, რომლის დროსაც ფარისებრი ჯირკვალი დიდდება. იგი გვხვდება განსაზღვრულ გეოგრაფიულ ადგილებში (იოდით ღარიბ ბიოქიმიურ „პროვინციებში“) და აავადებს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს; ხასიათდება განვითარების თავისებურებებით, რაც მას განასხვავებს ბაზედოვის პირველადი დაავადებისა და ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან, აგრეთვე ინფექციური ან პარაზიტული წარმოშობის ისეთ სნეულებათაგან, რომელთაც თან სდევს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება.

ვ. ე. სალიშჩევის აზრით, ენდემიური ეწოდება ისეთ ჩიყვს, რომელიც გავრცელებულია განსაზღვრულ ადგილებში, უმეტესად მთიანი რაიონების ტაფობებში.

ნ. ა. შერეშევსკის შეხედულებით, ენდემიური ჩიყვი არის ორ-

განიზმის მთლიანი დაავადება, მისი ძირითადი სიმპტომა — ფარისებრი ჯირკვლის გადიდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილია აგრეთვე ჩიყვის სპორადული გავრცელება.

ვ. ე. სალიშჩევის მიხედვით, სპორადული ჩიყვი გვხვდება ენდემიური კერებისაგან თავისუფალ ადგილებში და იგი არაა დაკავშირებული ადგილმდებარეობის თავისებურებასთან.


ა. გ. ბრჟოზოვსკი სპორადულს უწოდებს ჩიყვის ისეთ დაავადებას, რომელიც შემთხვევით გვხვდება ამა თუ იმ ადგილას.

რაც შეეხება ეპიდემიურ ჩიყვს, მას როგორც ცალკე ფორმას, არ სცნობენ.

ჩიყვია ეპიდემია, ამბობს ნიკოლაევი, ხშირად გვევლინება, როგორც ენდემიური ჩიყვით დაავადების მომატება. თუმცა ინფექციური და ტოქსიკური წარმოშობის მასობრივი თიროიდიტები გვხვდება განცალკავებულ ადგილებშიც.

სალიშჩევი აღნიშნავს, რომ, მართალია, ფარისებრი ჯირკვლის გადიდებას ადგილი აქვს საერთო საცხოვრებლებში, ყაზარმებში, სკოლებში და სხვაგან, მაგრამ ჯარისკაცებსა და მოსწავლეებში ფარისებრი ჯირკვლის გადიდება ფიზიოლოგიური მოვლენაა და ამიტომ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩიყვის რომელიმე სახეობად.

ჩვენში მოსახლეობის ინდივიდუალური და მასობრივი გამოკვლევების დროს ფარისებრი ჯირკვლის გადიდების ხარისხის დადგენა წარმოებს სსრ კავშირის ჩიყვის ცენტრალური კომისიის მიერ შემუშავებული მეთოდით, რომელშიც გამოყენებულია შვეიცარიული სქემა. შემოდებულია კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით ჯირკვლის გადიდება იყოფა ხუთ ხარისხად (ნორმალური ჯირკვალი არ ისინჯება და აღინიშნება ნულით). პირველ ხარისხად მიჩნეულია ისეთი გადიდება, როცა ფარისებრი ჯირკვალი თვალთ შუემჩნეველია და თითოთ ოდნავ ისინჯება, მეორე ხარისხად — როცა ფარისებრი ჯირკვალი ადვილად ისინჯება, მაგრამ არც ისე თვალსაჩინოა, მე-3 ხარისხად — „სქელი კისერი“ (ჯირკვალი შესამჩნევად გადიდებულია და კისრის კონტურები შეცვლილი), მე-4 ხარისხად — როცა ფარისებრი ჯირკვალი საგრძნობლად გადიდებულია და მკვეთრად გამოხატულია ჩიყვი, მე-5 ხარისხად — როდესაც ადგილი აქვს დიდი ოდენობის კვანძებს.



ფარსები ჩირკალი გადილებული V ხარისხით



ფარსები ჩირკალი გადილებული მესამე ხარისხით



ფარისებრი ჯირკვალის გადიდებული IV ხარისხით

ფარისებრი ჯირკვლის პირველი და მეორე ხარისხის გადიდება გარკვეული კლინიკური ნიშნების გარეშე, ჩიყვად არ ჩაითვლება. მესამე, მეოთხე და მეხუთე ხარისხის გადიდება კი უყოყმანოდ ჩიყვად უნდა მივიჩნიოთ.

მოკლემ ცნობები ჩიყვის შესწავლის ისტორიიდან

ჩიყვის კაცობრიობა უძველესი დროიდან იცნობს. სამედიცინო ლიტერატურაში იგი ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოიხსენიება. ამ დაავადების ზოგიერთ საკითხში უკვე ერკვეოდა ჰიპოკრატე (ძვ. წ. 5-4 საუკ.). ჩიყვზე ერთგვარი წარმოდგენა ქონდათ აგრეთვე ვიტრუ-ეს და იუვენალს (ძვ. წ. 1 საუკ.).

შუა საუკუნეებიდან ჩიყვი თანდათან ცნობილი ხდება. მე-16 საუკუნეში უკვე გვაქვს ენდემიური ჩიყვის საფუძვლიანი აღწერა, რომელიც ეკუთვნის სახელგანთქმულ გერმანელ ექიმსა და ბუნების-მეტყველს პარაცელს (1493—1541 წ.წ.). მანვე პირველმა გამოთქვა აზრი ჩიყვისა და კრეტინიზმს შორის კავშირის არსებობაზე.

მე-18 საუკუნეში ქვეყნდება შრომები ჩიყვის მკურნალობის შე-სახებ. 1800 წელს ტბების — ონტარიოსა და იერის სანაპიროებთან (შვეიცარია) მცხოვრებ ჩიყვიან მოსახლეობაზე დაიწერა მონოგრაფიები, გამოითქვა აზრი ჩიყვის ეტიოლოგიაზე და მისი გავრცელები მიზეზებზე.

ჩიყვის შესწავლაში სათანადო დეაწლი მიუძღვით მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ საზღვარგარეთელ მეცნიერებს: პრევოს, შატენს, კოხერს. დეკერვენს, პუნციკერს, ეგენბერგსა და სხვ.

ჩიყვის კარგად იცნობდნენ ძველ რუსეთშიც. უკვე 1736 წელს გმელინი გვაწვდის ცნობებს მდ. ლენის სანაპიროებზე მცხოვრებთა დაჩიყვიანების შესახებ. 1846 წელს ენდემიური ჩიყვის კერები მოხსენებულია აგრეთვე პერმის გუბერნიაში.

მე-19 საუკუნეში რუსეთში ჩიყვის ენდემიური კერები საფუძვლიანად შეისწავლეს კაზინმა, კანდრატოვსკიმ, შალიგინმა, ლეჟნევმა და სხვებმა.

ესე როგორც სხვაგან, საქართველოშიაც დიდი ხანია იცნობენ ჩიყვის. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩიყვის იხსენიებს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი.

შედარებით გვიან, მე-19 საუკუნეში სვანეთში ჩიყვი აღწერეს ბაქრაძემ, პარყნიციმ, სტოიანოვმა, რადემ, პანტიუხოვმა და სხვებმა.

1871 წ. კავკასიის ექიმთა საზოგადოებაში მოხსენებით — „შენიშვნა ჩიყვისა და კრეტინიზმის შესახებ, რომელსაც ვხვდებით ქუთაისის გუბერნიაში“ გამოვიდა პარყნიცი. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სვანი მოსახლეობის მასობრივ დაჩიყვიანებაზე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში დ. უ. ორბელმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სვანეთში ჩიყვის შესასწავლად. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კრეტინიზმის მოვლენებს და სვანეთში წარმოებული დაკვირვებების შედეგად 1904 წელს პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი „სვანეთი, ჩიყვი და კრეტინიზმი სვანეთში“.

1911 წ. ნ. ველიამინოვის დავლებით ენდემიური ჩიყვის შესასწავლად პეტერბურგიდან სვანეთში ჩამოვიდა ა. მაქავარიანი. მაქავარიანის მიერ შეგროვილი მასალები მრავალ საინტერესო ცნობებს შეიცავდა. იგი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც სვანეთში წარმოებული გამოკვლევების შედეგად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „სისხლის შედედება, წებოვნება და ზოგიერთი პეპტოლოგიური მონაცემები ჩიყვის სხვადასხვა სახეების დროს“.

1900 წელს რუსეთის ქირურგთა საზოგადოებამ მოიწვია პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე ბობროვმა გააკეთა მოხსენება ჩიყვზე წარმოებულ ოპერაციების შესახებ (სულ ჩატარებული იყო 60 ოპერაცია). უფრო მოგვიანებით, 1904 წელს, ვრცელი შემაჯამებელი ცნობები ჩიყვზე წარმოდგენილია ნ. ფ. ლეყენევის დისერტაციაში „ჩიყვი რუსეთში“. ლეყენემა პირველმა გამოთქვა აზრი, რომ ჩიყვი არის ორგანიზმის მთლიანი დაავადება.

1910 წ. პეტერბურგში გაიმართა ექიმთა საზოგადოების მე-10 ყრილობა, რომლის დღის წესრიგის მეორე საკითხი შეეხებოდა ჩიყვს. ამასთან დაკავშირებით მოხსენებით გამოვიდა ველიამინოვი. იგი მაშინ დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. მან თავის მოხსენებაში თერაპევტების ყურადღება გაამახვილა ბაზედოვით დაავადების შემთხვევაში ოპერაციული ჩარევის აუცილებლობაზე.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ექიმთა საზოგადოება ყურადღებით ეკიდებოდა ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ჩიყვის მკურნალობა მაინც წარუმატებლად მიმდინარეობდა. მეფის მთავრობა მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებათა გასატარებლად, ენდემიური კერების გამოსავლინებლად და

შესასწავლად არ იღებდა ხარჯებს, ამასთან, არ იყო სპეციალისტთა საკმარისი კადრები და არც სათანადო პრეპარატები მოიპოვებოდა.

სულ სხვა პირობები იქმნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდანვე დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის ჩანმრთელობის საქმეს, სწრაფი ტემპით იზრდება ექიმთა კადრები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან ყველა სამხარეო დაავადების წინააღმდეგ, კერძოდ, ჩიყვის ენდემიური კერების გამოვლინებისა და მოსახლეობაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გასატარებლად.

ჩიყვის მკურნალობის საკითხებს მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა 1925-26 წლებში მოწვეულ ქირურგთა მე-17—19 ყრილობებზე. ქირურგთა 22-ე ყრილობამ, რომელიც 1932 წელს გაიმართა მოსკოვში, პირველ პროგრამულ საკითხად განიხილა ჩიყვის საკითხი. ყრილობაზე გადაწყდა, გადამკრელი ზომები მიეღოთ ჩიყვის ენდემიური კერების რაც შეიძლება ძალე გამოსავლინებლად და მოსახლეობაში იოდის პრეპარატებით მკურნალობის ჩასატარებლად. დიდი პასუხისმგებლობით განიხილავდნენ ჩიყვის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ქირურგთა ყრილობებსა და კონფერენციებზე.

ფარისებრი ჯირკვლის მოკლე ანატომიური გიგოზილვა

ფარისებრი ჯირკვალი ეკუთვნის შინაგანი სეკრაციის ჯირკვლებს. იგი ვითარდება ხახის ვენტრალური კედლისაგან; მიაღწევს რა გარკვეულ სიდიდეს, შორდება ჩანასახოვან ადგილს, მაგრამ მთლიანად მაინც არ სცილდება ხახის ეპითელიუმს. რომელთანაც დაკავშირებულია ფეხით — რუდიმენტული გამომტანი სადინარით.

ფარისებრი ჯირკვალი ფოლიკულარული აგებულებისაა. იგი ფოლიკულების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით გადაინაცვლებს კაოდალური მიმართულებით და, ადრე თუ გვიან, აღწევს ჩვეულებრივი მდებარეობის ადგილს. ამის შემდეგ ჯირკვლის გამომტანი სადინარი საბოლოოდ ისპობა და ენის ფუძეზე რჩება მხოლოდ ძაბრისებური ჩანაქდევით, რომელსაც უწოდებენ ბრმა ხერელს.

ნორმალური ფარისებრი ჯირკვალი გარემო პირობებსა, ადამიანის ასაკსა და სქესთან დაკავშირებით წონაში მერყეობს. მოწიფულობის ასაკში იგი საშუალოდ იწონის 20—30 გრამს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში, განსაკუთრებით ქალებში, ნორმასთან შედარებით ორჯერ მატულობს წონაში. ასევე შესაძინევად ცვალებადობს იგი ჩიყვის ენდემიურ კერებში.

ფარისებრი ჯირკვალი შედგება ორი გვერდითი და შუა წილისაგან. გვერდითი წილები ერთმანეთს უკავშირდებიან შუა წილით — ფარისებრი ჯირკვლის ყელით.

ავტორთა უმრავლესობის შეხედულებით, ფარისებრი ჯირკვალს ნალის მოყვანილობა აქვს. ზოგი კიდევ ბეჭედს და რუსულ ასოს „С“—ს ამსგავსებს. ფარისებრი ჯირკვლის გვერდითი წილების ზედა პოლუსი შეესაბამება ფარისებრი ხრტილის შუა ნაწილის დონეს. გვერდითი წილების ქვედა პოლუსი კი გრძელდება სსაშულეს მე-5-6 რგოლამდე. ჯირკვლის გვერდითი წილები მდებარეობენ საყლაპავი

მილის, ხახის, ხორხისა და სასულეს გვერდით კედლებზე. მოზრდილებში მისი სიგრძე უდრის 5—8 სანტიმეტრს, სიგანე — 2—4 სანტიმეტრს, სისქე — 12—15 მმ-ს. ჭირკვლის ყელი მდებარეობს სასულეს წინ განივად და აღწევს მეორე ან მესამე რგოლამდე. ზოგჯერ სამი წილის გარდა აღწერილია მეოთხე წილიც ე. წ. პირამიდული დანაშატის სახით. გრატებრმა 40 გვამზე ნახა 21 ასეთი შემთხვევა.

ფარისებრი ჭირკვლის შუა წილი გაცილებით უფრო მკიდროდ ეკვრება სასულეს, ვიდრე გვერდითი წილები. ამით აიხსნება ამ უკანასკნელთა უფრო ადვილი მობილიზაცია.

ფარისებრი ჭირკვალის შედგება შიგნითა და გარეთა კაფსულითაა. შიგნითა კაფსულს საკუთარ კაფსულსაც უწოდებენ. იგი მთლიანად ფარავს ორგანოს. გარეთა კაფსული ანუ ფასცია უფრო დიდ ფართობზე ვრცელდება და თითქმის მთლიანად მოიცავს ჭირკვლის ირგვლივ მდებარე ქსოვილებს.

ფარისებრ ჭირკვალთან ანატომიურად მკიდრო კავშირშია სანშტრემის სხეულაკები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ ოპერაციის მსვლელობაში. რადგან მათი დაზიანება სერიოზულ გართულებას იწვევს. სანშტრემის სხეულაკები ჩვეულებრივ ორი წყვილია და უფრო ხშირად ფარისებრი ჭირკვლის გვერდითი წილების უკან მდებარეობენ. თუმცა ზოგჯერ სხვა სურათი გვაქვს, როგორც მდებარეობის, ისე რაოდენობის მხრივ: შეიძლება ორი წყვილის ნაცვლად იყოს ერთი წყვილი ან კიდევ მეტი. ამასთან მდებარეობდეს კისრის ცალ მხარეზე, ჭირკვლის წინ, ზევით ან ქვევით. ასეთ შემთხვევაში ქირურგიული ჩარევის დროს მოსალოდნელია სანშტრემის სხეულაკების დაზიანება ექსტრაკაფსულარულად. მრავალი ავტორი აღწერს აგრეთვე თვით ფარისებრი ჭირკვლის ანომალიების შემთხვევებს. მაგალითად, 'მ. ჩაუსოვის, ხ. ბუკეიხანოვის, ლუშკასა და სხვათა მიერ მოხსენებულია ისეთი ფარისებრი ჭირკვლები, რომელთაც არ ჰქონიათ მარცხენა წილი. უფრო ხშირია მარჯვენა წილის ანომალიები, ხოლო ერთ შემთხვევაში ზ. ლ. იზუმრუდოვა აღწერს ფარისებრი ჭირკვლის მარცხენა წილის უქონლობასაც. მსგავს ანომალიებზე მოგვითხრობს ევტიხიევიც. იგი აღწერს დამატებით ფარისებრ ჭირკვალს ერთ შემთხვევაში ნერვ-სისხლძარღვოვან კონასთან, მეორე შემთხვევაში ფარისებრი ჭირკვლის მარცხენა წილის მწვერვალისთან.

ფარისებრი ჭირკვალის მცირე ზომის კვანძების სახით შეიძლება დალაგდეს ენის ძირიდან აორტის რკალამდე. ამიტომ გვხვდება

ჩიყვი ზოგჯერ მკერდის ძვლის უკან, ენის ქვეშ, საყლაპავი მილის გარშემო, სასულეს უკან და სხვა ადგილებში.

ფარისებრი ჭირკვლის ანომალიებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პირამიდალური მორჩი. მსგავსი შემთხვევები, ვ. ვ. დობრეცოვის აღწერით, შეადგენს 42 პროცენტს, პარსკის მიხედვით— 39 პროცენტს. თ. ა. ლიბრაძის მიერ გამოკვლეული 65 პრეპარატიდან პირამიდალური მორჩი აღმოჩნდა 43 შემთხვევაში, რაც 66.1 პროცენტს უდრის.

იშვიათ ანომალიას ეკუთვნის ისეთი ფარისებრი ჭირკვალი, რომელსაც არა აქვს შუა წილი. ვ. ნ. შევეკუნენკოს მონაცემებით, ასეთი ანომალიები შეადგენს 10 პროცენტს. ი. ს. ბელეზოვის მიერ 50 ავადმყოფიდან ფარისებრი ჭირკვლის ყელის უქონლობა აღნიშნულია სამ შემთხვევაში. ლიბრაძე ფარისებრი ჭირკვლის ყელის ადგილას ნახულობს შემაერთებელი ქსოვილის ფირფიტის ნაშთს საკმაოდ მოზრდილი წანაზარდის სახით. მისი აზრით, აღნიშნული ნაშთის არსებობა ყელის მთლიან უქონლობას გამორიცხავს. ამიტომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია, განასხვაოს ყელის მთლიანი უქონლობა და ყელის ნაშთი. მხოლოდ ამის გათვალისწინებით სცნობს იგი ყელის სრული უქონლობის ზუსტ პროცენტულ განსაზღვრას.

ფარისებრი ჭირკვალი ხასიათდება სისხლ-ძარღვთა სიუხვით. სტიუარტის მონაცემებით, ამ ჭირკვლის 100 გრამი ქსოვილი ერთ წუთში ღებულობს 560 კუბ სმ სისხლს, მაშინ, როცა დროის ამავე მონაკვეთში თირკმლის 100 გრამი პარენქიმა ატარებს 20 კუბ სმ სისხლს, ხოლო ჩონჩხი და კუნთები 12 კუბ სმ-ს.

აორტის რკალიდან გამოდის უსახელო არტერია, მარცხენა საერთო საძილე არტერია და მარცხენა ლავიწქვეშა არტერია. უსახელო არტერია მკერდლავიწის სახსრის დონეზე იყოფა ორ ტოტად—მარჯვენა საერთო საძილე და მარჯვენა ლავიწქვეშა არტერიებად. საერთო საძილე არტერია ფარხრტილის ზევითა კიდის დონეზე ნაწილდება გარეთა და შიგნითა საძილე არტერიებად. გარეთა საძილე არტერია ტოტიანდება და იძლევა შემდეგ არტერიებს: 1. ფარისებრი ზედა არტერიას, რომელიც გამოდის გარეთა საძილე არტერიის დასაწყისთან; 2. ენის არტერიას; 3. ზედა ყბის გარეთა არტერიას, რომელიც თავის მხრივ იძლევა სხვადასხვა ტოტს (ხახის ასწვრივ არტერიას, სასის აწვრივ არტერიას, ტუჩის ზედა და ქვედა არტერიებს, კუთხის არტერიას, ტუჩის ზედა და ქვედა არტერიებს, კუთხის არტერიას); 4. კეფის არტერიას; 5. ყურის უკანა არტერიას; 6. საფეთქლის ზერელე არტერიას; 7. ყბის შიგნითა არტერიას, რომელიც

ქმნის აგრეთვე მრავალ ტოტს (ყურის ღრმა არტერიას, ტვინის გარსის შუა არტერიას, კბილის ქვემო არტერიას, საფეთქლის ღრმა არტერიას, კბილ-ბუდეთა ზემო არტერია და თვალ-ბუდის ქვემო არტერია).

შიგნითა საძილე არტერია იყოფა შემდეგ არტერიულ ტოტებად: თვალ-ბუდის, ტვინის წინა, ტვინის შუა, სისხლ-ძარღვთა და უკანა შემაერთებელ არტერიებად.

მარცხენა ლავიწქვეშა არტერიიდან გამოდინან ხერხემლის არტერია, ძუძუს შიგნითა არტერია, ფარისებრი კისრის ღერო, რომელიც თავის მხრივ იყოფა კისრის ასწვრივ და ბეჭის გარდიგარდმო არტერიებად. ნეკნ-კისრის ღერო და კისრის გარდიგარდმო არტერია.

ქვედა ფარისებრი არტერია გამოდინს ფარ-კისრის ღეროდან, მიემართება ზევით და აღწევს კისრის მეექვსე მალამდე. აქედან ეშვება ჭირკვლის ქვედა პოლუსზე და თავსდება ხერხემლის არტერიის წინ.

ორი წყვილი ფარისებრი არტერიის გარდა, გვხვდება კიდევ კენტი ფარისებრი არტერია — არამუდმივი არტერია. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოვიდეს ერთ შემთხვევაში უსახელო არტერიიდან. ზოგჯერ ლავიწქვეშა, საერთო საძილე, ქვედა ფარისებრ და სხვა არტერიებიდანაც. გარდა ამისა, ჭირკვლის ვასკულიზაციაში მონაწილეობს ფარისებრი დამატებითი არტერია.

ზემო ფარისებრი არტერიის დასაწყისი ადგილი ზოგჯერ განიცდის ვარიაციას. მკვლევართა უმრავლესობის (იზუმრუდოვა, რაზუმოვსკი და სხვები) აზრით, ეს არტერიები იწყება გარეთა საძილე არტერიიდან. ავტორთა მეორე ჯგუფი (პიროგოვი, დემიდოვა და სხვები) მათ დასაწყისად თვლის მხოლოდ საერთო საძილე არტერიას.

ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა, როცა ზემო ფარისებრი არტერია გამოწულა ხორხის ზემო არტერიიდან.

ზემო ფარისებრი არტერია იძლევა ორ მუდმივ არტერიულ ტოტს — ხორხის ზემო და ბეჭდისებრ არტერიებს. ასეთი ვარიაცია აღწერილია მ. ა. ტიხომიროვის, რაზუმოვსკის, ე. ს. დრაჩინსკაიასა და სხვათა მიერ.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ზედა ფარისებრი არტერიის ტოტების რიცხვს ეკუთვნიან ენისქვეშა, მკერდ-ლავიწის დვრილისებრი, ხორხის ზემო და ბეჭდისებრი არტერიები.

ზემო ფარისებრი არტერიის ტოტებიდან ყველაზე დიდ კალიბრიან არტერიად ითვლება ხორხის ზემო არტერია.

ზემო ფარისებრი არტერიის ჯირკვლოვანი ტოტების განაწილები შეესაბამება არსებობს სხვადასხვა შეხედულებას. ს. ს. ბრიუსოვას, ს. ა. მასუმოვისა და ვ. ი. კალიშევსკაიას აზრით, ზედა ფარისებრი არტერიის ჯირკვლოვანი ტოტებიდან ერთი მათგანი მიემართება გარეთა წინა კიდეზე, მეორე უკანა ზედაპირზე, მესამე ქსოვილის ზედა კიდის გასწვრივ. სხვა მკვლევართა შეხედულებით, ამ არტერიის ჯირკვლოვანი ტოტების ერთი წყება მდებარეობს წინა ზედაპირზე, მეორე უკანა კიდეზე თავსდება, ხოლო მესამე პირდაპირ ჯირკვალში შედის.

ფარისებრი ჯირკვლის ზემო არტერიის უქონლობა იშვიათი მოვლენაა. აღნიშნულია ასეთი ანომალიების მხოლოდ ერთეული შემთხვევები. ერთი მათგანი მოხსენებული აქვს ლიბრაძესაც. უფრო ხშირია ფარისებრი ჯირკვლის ქვედა არტერიის უქონლობა, რაც, ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, 10—15 პროცენტის ფარგლებში ნერყეობს. ასეთი არტერიის ანომალიის შემთხვევები აღწერილი აქვთ ს. ს. ბრიუსოვასა და ლუშკას, აგრეთვე ლიბრაძეს (9 შემთხვევა).

ფარისებრი ჯირკვლის არტერიებთან მკიდრო კავშირშია ვენტური სისტემა. ნორმალურ პირობებში უხვი ვენტური სისტემით ხასიათდება კიარის მიდამო, სადაც გვხვდება არტერიების თანამოსახლე ვენები. მაგალითად: ფარისებრი ზედა ვენა (წყვილი), ფარისებრი ქვედა ვენა (წყვილი), ფარისებრი კენტი ვენა და სხვ.

ვენები, ისე როგორც არტერიები, ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პირობებში განიცდიან ცვლილებებს.

ქირურგიულ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ჩიყვის ოპერაციების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ფარისებრი ჯირკვალთან ნერვული სისტემის ანატომიურ ურთიერთობას, განსაკუთრებით ცლომილი ნერვის დამოკიდებულებას.

მარჯვენა ცლომილი და მარჯვენა ლავიწქვეშა ნერვი არტერიის დასაწყისთან იძლევა ხორხის მარცხენა ნერვს, შემდეგ გაივლის საყლაპავი მილის გასწვრივ და შედის მარჯვენა ფილტვის ფესვის უკანა ნაწილში, სადაც იყოფა რამდენიმე ტოტად და თავსდება საყლაპავი მილის უკანა კედელზე.

რაც შეეხება მარცხენა ცლომილ ნერვს, იგი გულ-მკერდის ღრუში შესვლის შემდეგ მიყვება მარცხენა უსახელო ვენას, ირიბად გადადის აორტის რკალის წინა მარცხენა კედელზე, სადაც იძლევა ჯერ ხორხის მარცხენა ქვედა ნერვს და შემდეგ მარცხენა ფილტვის უკან, საყლაპავი მილის წინა კედელზე თავსდება.

ცლომილი ნერვი გულ-მკერდისა და მუცლის ღრუში ქმნის მრავ-

ვალ ტოტს, მათ შორის შეპრუნებულ ნერვს, რომელიც გამოეყოფა ცდომილ ნერვს გულ-მკერდის ზემოთ. აორტის რკალის საზღვარზე. მარცხენა შეპრუნებული ნერვი ნახევარწრიდ შემოუვლის აორტის რკალს, შემდეგ — მარჯვენა ლავიწქვეშა არტერიას და მიემართება ზევით. სასულეს პარალელურად. ნაა აქ ეწოდება ხორხის ქვედა ნერვი. იგი შემდეგ ტოტიანდება სხვადასხვა მიმართულებით.

ხორხის ქვედა ნერვის ურთიერთობა ფარისებრი ჭირკვლის ქვედა არტერიათა ანა სტაბილური. საერთოდ, მიაჩნიათ, რომ იგი ლატერალურად მდებარეობს ფარისებრი ჭირკვლის წილის გარეთა კიდესთან სასულეს გვერდით ზედაპირზე და ჭირკვლის საკუთარ კაფსულში შესვლისას ჯვარედინდება ქვედა ფარისებრ არტერიასთან.

ხორხის ზედა ნერვი გამოდის ცდომილი ნერვის ოდნავ ქვევით. ეს კვანძოვანი კონა მოთავსებულია კისრის პირველი ან მეორე მალის გარდიგარდმო, წვეტიანი მორჩების საზღვრის დონეზე. შემდეგ იგი ეშვება ქვევით და ხორხში შესვლამდე ქმნის მრავალ ანასტომოზს.

ფარისებრი ჭირკვლის ფიზიოლოგია

ფარისებრი ჭირკვალი შედგება კოლოიდური ნივთიერებით სავსე ბუშტუკებისა და ფოლიკულებისაგან, რომლებშიც მოთავსებულია ჰორმონი. ფარისებრი ჭირკვალი უმთავრესად გამოჰყოფს თიროქსინს, სხვა ჰორმონებიდან — თიროიდინს. იოდთრინს, თირეოგლობულინს და ნუკლეოპროტეიდს. თიროქსინი კოლოიდურ ნივთიერებასთან ერთად ლიმფური გზებისა და სისხლის საშუალებით გადადის ორგანიზმში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის სასიცოცხლო ორგანოების ფუნქციებზე — სუნთქვის პროცესზე, ნივთიერებათა ცვლაზე, ტოქსინების განეიტრალებასა და ორგანიზმის ზრდაზე.

ფარისებრი ჭირკვლის ჰორმონი-თიროქსინი შეიცავს 65,3 პროცენტ იოდს. თიროქსინის მომატება, სხვა მოვლენების გარდა, ამცირებს ღვიძლში გლიუკოგენს, გარდაქმნის მას გლუკოზად, რომელიც უშუალოდ გადადის სისხლში და იწვევს შაქრის მომატებას.

ჰორმონის ქარბი რაოდენობა აძლიერებს ნერვული სისტემის აგზნებულობას. იგი მოქმედებს ვეგეტაციურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს გულის ფრიალს, ოფლიანობას, ტრემორს და სხვ. როცა თიროქსინის გამოყოფა მცირდება, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა ქვეითდება და იგი ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ამ დროს სისხლში კლებულობს ნახშირწყლები, ხოლო ღვიძლში მატულობს გლიუკოგენი.

ორგანიზმში ნორმალური ფარისებრი ჭირკვლის მნიშვნელობის და ენდოკრინულ სისტემასთან მისი ურთიერთობის როლის შესწავლა დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლო ხანებში.

1916 წელს პირველად გამოყვეს ფარისებრი ჭირკვლის ჰორმონი — თირეოგლობულინი-თიროქსინი, რომელშიაც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა იოდი.

ფიზიოლოგიურ პირობებში ფარისებრი ჭირკვალი სხვა ენდო-

კრინულ ჯირკვლებთან და ნერვულ სისტემასთან კორელაციურ კავშირშია.

ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთა ან მისი მკვეთრი ატროფია ხშირად იწვევს მძიმე მოვლენებს — თიროიდულ კახექსიას. ამ შემთხვევაში ქსოვილებსა და ორგანოებში ვითარდება პროგრესული ატროფია, რასაც თან სდევს სიკვდილი.

ფარისებრი ჯირკვლის თანდაყოლილი უქონლობის — აპლაზიის დროს ახალშობილი ბავშვი ვერ ვითარდება და მალე იღუპება. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის თანდაყოლილი ან ადრე შექნილი დაქვეითება იწვევს სერიოზულ დაავადებებს — მიქსედემასა და კრეტინიზმს.

მიქსედემა ანუ ლორწოვანას შეშუპება, ხასიათდება მთელი რიგი კლინიკური ნიშნებით. იგი იწყება სახის შეშუპებით. ჯერ შეშუპდება შუბლი, შემდეგ ქუთუთოები, ლოყები და ა. შ. მალე იწყება ხახისა და ხორხის ლორწოვანას შეშუპებაც, რასაც მოჰყვება ხმის შეცვლა. ავადმყოფს ჰვითარდება ბოხი ან ხრინწიანი ხმა, ირღვევა ნორმალური ფსიქიური მოქმედება, სცივა თმა და ადვილად ატყდება ფრჩხილები, მოშლილია სქესობრივი ფუნქცია, ქალებში აღინიშნება თვიურის შეწყვეტა.

რაც შეეხება კრეტინიზმს, ამ დროს ადგილი აქვს ზრდის შეჩერებას, გონებრივ სიჩლუნგეს, ზოგჯერ იდიოტიზმს.

ასეთი ავადმყოფები ზრდის დაუსრულებლობის გამო დაბლენი არიან და სხეული არაპროპორციულად აქვთ განვითარებული. მათთვის დამახასიათებელია მოკლე კიდურები, დიდი და უსწორო თავი, წვრილი ელამი თვალები, ჩაზნექილფუძიანი ცხვირი, მეტყველების განუვითარებლობა, ზოგჯერ სიმუნჯე, სიყრუე და სხვა.

სულ სხვა სურათი გვაქვს ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციის დროს. ამ შემთხვევაში ზოგჯერ ვითარდება ბაზედოვის დაავადებისათვის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოხატული კლინიკური ნიშნები, ხშირად ადგილი აქვს თირეოტოქსიკოზს.

ჩიყვის ეტიოლოგია

ჩიყვის ეტიოლოგიის შესახებ არსებობს მრავალი თეორია, მაგრამ ჭერჯერობით არც ერთი მათგანი არ იძლევა ამომწურავ პასუხს. დღემდე ცნობილ შეხედულებათაგან ყურადღებას იპყრობს იოდის უკმარისობის, ინფექციურ-ტოქსიკური, გეოლოგიური, რადიაქტიური და სხვა თეორიები. ჩიყვის გამოწვევაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს აგრეთვე ზოგიერთ დამატებით ფაქტორს: სანიტარიულ მდგომარეობას, საყოფაცხოვრებო პირობებს, ასაკს, სქესს, ორგანიზმში კალციუმის მარილების რაოდენობას, ავიტამინოზს და სხვ.

ზემოაღნიშნული თეორიებიდან ჭერჯერობით ყველაზე პოპულარულია იოდის უკმარისობის თეორია.

ჩიყვის ეტიოლოგიის შესწავლისას ორგანიზმში იოდის ნაკლებობის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა პრევომ 1849 წ. ამ მეცნიერის შეხედულებით ისარგებლა შატენმა და დაიწყო წყლის, ჰაერის, ნიადაგის და კვების პროდუქტების გამოკვლევა იოდის შემცველობის მიხედვით. დაკვირვებებმა შატენი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მან ჩიყვის წარმოშობის ძირითად მიზეზად მიიჩნია ორგანიზმში იოდის ნაკლებობა და ამასთან დაკავშირებით წამოაყენა დებულებანი:

1. იმ ადგილებში, სადაც იოდი საკმაო რაოდენობით მოიპოვება, ჩიყვი და კრეტინიზმი არ გვხვდება;

2. ჩიყვი ჩნდება ისეთ ადგილებში, სადაც საქმე გვაქვს იოდის უკმარისობასთან;

3. იოდი სპეციალური საშუალებაა ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლაში. შატენმა ჩიყვიანობის გამოვლინების მიზნით შეისწავლა მდ. ჩონის ნაპირები. იგი გაკვირვებული დარჩა, როცა ერთმანეთთან ახლო მდებარე ადგილებში ზოგან მოსახლეობა დაჩიყვიანებული აღმოჩნდა, ზოგან კი სრულიად ჯანმრთელი. მალე გამოიკვია, რომ სანაპიროს იმ ნაწილში, სადაც არ იყვნენ ჩიყვიანები, ხალხი სარ-

გებლობდა იოდით მდიდარი წყლით, ხოლო მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც დაავადებული აღმოჩნდა, სმარობდა იოდით ღარიბ წყალს. შემდეგი ანალიზებით დამტკიცდა, რომ წყალსა და საკვებში იოდის ნაკლებობა ჩიყვია წარმოშობის პირველი მიზეზია.

შატენია აზრით, ჩიყვის წარმოშობას ხელს უწყობს და მის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე დამატებითი ფაქტორები: ანტიანტიტარია, არასრულფასოვანი საკვები, სქესი, წლოვანება და სხვა.

ვ. ვ. მილოსლავსკიმ კუშვინგის რაიონში (სევრდლოვსკის ოლქი) ჩიყვის ენდემიური კერების შესწავლისას დაამტკიცა იქ წყლის სუსტი მინერალიზაცია და იოდის ნაკლებობა, რაც მიუთითებს იოდის თეორიის სასარგებლოდ.

ვ. ი. კალიშევსკაიას მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული წყლის ბიოქიმიური გამოკვლევებიც ადასტურებენ ენდემიური ჩიყვის წარმოშობაში იოდის ფაქტორის მნიშვნელობას. კალიშევსკაია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროდ სცნო ჩიყვის ენდემიურ კერებში იოდირებული მარილების შეტანა პროფილაქტიკის მიზნით. როგორც აუცილებელი და მთავარი სასუალეობა აღნიშნულ საკითხზე მან მოხსენება გააკეთა ენდოკრინოლოგიურ კონფერენციაზე თბილისში 1948 წ.

ვ. მ. კოჯან-იასნი თავის ნაშრომში „ენდემიური ჩიყვის ეთიოპათოგენეზი და მასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები“ იზიარებს ინფექციურ-ტოქსიკურ და იოდის თეორიებს.

ჩიყვის ენდემიის გამომწვევი მიზეზების სწორად გაგებისათვის საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმ ახალი მონაცემებით, რომლებიც დღეს მოეპოვება მეცნიერებას ბუნებაში არსებული იოდის მარაგისა და ორგანიზმში მისი ცვლის შესახებ.

ქიმიური ანალიზებით დადასტურდა, რომ წყალში, ნიადაგში, ჰაერსა და საკვებში იოდის რაოდენობა ძალზე მერყეობს, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩიყვის ენდემიური კერების წარმოშობაში.

ნიკოლაევის აზრით, ჩიყვის ენდემიური კერების გაჩენაზე დიდ გავლენას ახდენს ჰაერში არსებული იოდის რაოდენობის ცვალებადობა ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ადგილებში, რაც იმით აიხსნება, რომ აორთქლებული იოდი უფრო მძიმეა, ვიდრე წყლის ორთქლი და ამიტომ იგი დიდ სიმაღლეზე ვერ აღწევს.

ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, ზღვის დონიდან 1000 მ-ზე იოდი ჰაერში სამჯერ ნაკლებია, 4500 მ-ზე კი თითქმის ასჯერ მცოდნება. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ მთაგორიან ად-

გილებში, სადაც პაერი იოდით ღარიბია, უფრო მოსალოდნელია მოსახლეობის დაჩივიანება და ენდემიური კერების წარმოშობა.

ფარისებრი ჭირკვლის ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა ორგანიზმი დღე-ღამეში ლებულობდეს საშუალოდ 0,0001-0,0002 გრამ იოდს. იოდის უკმარისობას და ორგანიზმში მისი ცვლის დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული პათოლოგიური მოვლენები, კერძოდ, ფარისებრი ჭირკვლის გადიდება — ჩიყვი.

ნიკოლაევის აზრით, არ იქნებოდა სწორი, რომ ენდემიური ჩიყვის წარმოშობის მიზეზად მიგვეჩინა მარტო იოდის ნაკლებობა ან იოდის ცვლის დარღვევა. მისი შეხედულებით, ფარისებრი ჭირკვლის გადიდების ძირითადი მიზეზია იოდის უკმარისობა, მაგრამ ამასთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა აქვს სანიტ-ჰიგიენურ და საყოფაცხოვრებო პირობებს.

ასლანიშვილის დაკვირვებით, ენდემიური ჩიყვის ეტიოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის იოდით ღარიბი წყლის ხმარებას. გარდა ამისა, იგი მნიშვნელობას აძლევს სასმელი წყლის მიწერალურ თვისებებს და მოსახლეობის სანიტ-ჰიგიენურ ძღვომას.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ენდემიური ჩიყვის წინააღმდეგ მასობრივად ჩატარებულმა სამკურნალო-პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა ცხადყვეს, რომ ენდემიური ჩიყვის ეტიოლოგიაში ჭერჯერობით წამყვანი ადგილი უჭირავს იოდის თეორიას.

ინფექციურ-ტოქსიკური თეორია. ამ თეორიის წარმომადგენელმა მეკ კარისონმა ჩიყვის ეტიოლოგიის შესწავლის მიზნით 25 წელი იმუშავა ინდოეთის ენდემიურ კერებში. მას ეკუთვნის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევა. მისი აზრით, ჩიყვის ენდემიურ კერებში წყალი დიდი როდენობით შეიცავს მიკრობებს, რომლებიც კუჭ-ნაწლავის გზით ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში და სისხლია ინტოქიკაციის შედეგად იწვევენ ჩიყვს.

მეკ კარისონმა ჩაატარა მრავალი ცდა და, საბოლოოდ, ჩიყვის ენდემიის მიზეზად აღიარა სასმელი წყლის მიკროორგანიზმებით გაბინძურება. მისი აზრით, იმ ადგილებში, სადაც წყალი გაიწმინდება მიკრობებისაგან, ჩიყვის ენდემია ქრება. მას მიაჩნია, რომ ჩიყვის დასაწყისი ფორმები შეიძლება განიკურნოს, თუ ავადმყოფი დროულად მიიღებს ანტისეპტიკურ ნივთიერებებს (თიმოლს, ბენზონაფტოლს და სხვ.). მეკ კარისონის შეხედულებით, ჩიყვი კლებულობს მსხვილი ნაწლავის ამოკვეთისას, ან კიდევ, ნაწლავების ბაქტერიებიდან მიღებული კულტურის ვაქცინაციის შედეგად.

ინფექციურ-ტოქსიკური თეორიის მომხრეები მთელი რიგი ცდებით შეეცადნენ დაემტკიცებინათ ენდემიური ჩიყვის გამომწვევი მიკრობის არსებობა, მაგრამ დღემდე არ არის ნახული ჩიყვის გამომწვევი მიკრობი. ამის მიუხედავად, მეკ კარისონისა და მის მომხრეთა ცდებს ანტისანიტარული ფაქტორია როლის შესახებ ჩიყვის წარმოშობაში გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვს.

გეოლოგიური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, პალეოგეოლოგიური თავისებურებანი — წყლები, ნიადაგები, აგრეთვე რთული რელიეფი და კლიმატური პირობები გარკვეულ გავლენას ახდენენ ჩიყვის ენდემიური კერების აღმოცენებაზე. გეოლოგიური თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის ბირხერის მიხედვით, ენდემიური ჩიყვის წარმოშობაში მნიშვნელობა აქვს კირის შემცველ ქანებს. მისი აზრით, ჩიყვი უფრო ხშირად გვხვდება პალეოზოური პერიოდის ზღვის დანალექებში. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იმ აზრისაა, რომ იქ, სადაც არქაის და კაიოზის დანალექებია, ჩიყვი არ ჩნდება.

პ. ვინოგრადოვის დაკვირვებით, ნიადაგი მცენარეებისათვის არის იოდის წყარო. აქედან გამომდინარე, მას აქვს მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმში არსებული იოდის ბალანსზეც. იოდის მაქსიმალურ რაოდენობას ნახულობენ შავ ნიადაგებში. იქ, სადაც მიწა ღარიბია იოდით, ამ ნაკლოვანებას ზოგჯერ ავსებს იოდით მდიდარი მინერალური წყლები.

საქართველოში გეოლოგიურ თეორიას იზიარებენ ა. პ. გრიდნევი. მისი შეხედულებით, მდ. ლიახვის ხეობაში ჩიყვის გავრცელება მიზეზი არის ის, რომ ეს მდინარე ახდენს არქაის და კაიოზის დანალექების ჩამორეცხვას.

რადიოაქტიური თეორია. ამ თეორიის მომხრეები ჩიყვის წარმოშობას ხსნიან წყალში არსებული რადიოაქტიური ნივთიერებებით. წყალში რადიოაქტიური ნივთიერება მოიპოვება მეტ-ნაკლები რაოდენობით. იქ, სადაც წყალში რადიოაქტიური ნივთიერება მეტია, ჩიყვიც უფრო გავრცელებულია. პირველად რადიოაქტიური წყლის გავლენა ჩიყვის წარმოშობაზე დაადგინეს რეპინმა და ენბელტმა.

წყლის რადიოაქტიურობისა და მასთან დაკავშირებული ჩიყვიანობის გავრცელების შესწავლის მიზნით მრავალი გამოკვლევა ჩატარდა სხვადასხვა ადგილას. წინათ ჩატარებულ დაკვირვებათაგან საყურადღებოა ქ. ტიუბინგენში წარმოებული გამოკვლევა. აქ არსებული სასმელი წყლის მარაგი შეიცავდა დიდ რადიოაქტივო-

ბას (2,7-დან 10,6 მახამდე). ქალაქის იმ უბანში, სადაც სასმელი წყლის რადიაქტივობა უდრიდა 0,81 მახს, მოსახლეობა არ დაავადებულა ჩიყვით, მაშინ, როცა ტიუბინგენის სხვა რაიონებში მოქალაქეთა დიდი ნაწილი დაჩიყვიანებული აღმოჩნდა.

საქართველოში (სვანეთში) სასმელი წყლების რადიაქტივობას იკვლევდნენ რ. დ. კუპცისი და ა. ახვლედიანი. ჩატარებული მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ იქ, სადაც სასმელი წყალა უფრო მეტ რადიაქტივობას ამჟღავნებდა, დაჩიყვიანების პროცენტიც მეტი იყო.

შემდგომი დაკვირვებებით, წყლის რადიაქტივობის თეორიამ გამართლება ვერ ჰპოვა და იგი ჭერჭერობით უარყოფილია.

წყლის თეორია ეს თეორია უძველესი დროიდან არის ცნობილი. მისი მომხრეები იყვნენ ჰაინე და მორისი. მათი შეხედულებით ჩიყვის გაჩენის მიზეზი არის წყალში ნახშირმჟავა მანგანუმისა და კალციუმის სიჭარბე. ამ მხრივ მალიგინის მიერ ძალღებზე ჩატარებულმა ცდებმა ვერ დაამტკიცეს ამ თეორიის სისწორე.

ბოლო წლებში ენდემიური ჩიყვის წარმოშობაში ზოგიერთი მკვლევარის ყურადღება მიიქცია კალციუმის მარილებმა, მაგრამ ხშირად კალციუმის მარილებით მდიდარ რაიონებში ჩიყვის ენდემია არ გვხვდება. ამასთან, ცნობილია ამ მარილების აუცილებლობა, მათი გარკვეული ფიზიოლოგიური დანიშნულება ორგანიზმისათვის და ამდენად არ შეიძლება იგი გავლენას ახდენდეს ენდემიური ჩიყვის წარმოშობაზე.

ენდემიური ჩიყვით დაავადება შეიძლება ყველა ასაკში, მაგრამ ფარისებრი ჭირკვლის გადიდება უფრო ხშირად გვხვდება სქესობრივი მომწიფების დროს, განსაკუთრებით ქალებში, რაც იმით აიხსნება, რომ ქალის სასქესო ჭირკვალი — საკვერცხეები — მეტად მკიდრო კავშირშია ფარისებრ ჭირკვალთან. მასზე გავლენას ახდენს აგრეთვე მენსტრუაციის ციკლი, ორსულობის პერიოდი და საკვერცხეების ფუნქციის შეწყვეტა. ყველაფერი ეს კი იწვევს ფარისებრი ჭირკვლის დაავადებას, ჩიყვის წარმოშობას. ჩიყვის გაჩენას ხელს უწყობს აგრეთვე ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ვიტამინებით ღარიბი საკვები, ბოსტნეულისა და ხილულის მიუღებლობა, უვარგისი სასმელი წყალი და სხვ.

ჩიყვის ეტიოლოგიაში უსათუოდ გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ე. ი. მისი ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა. მიკრო-ორგანიზმის რეაგირების უნარით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერთ-და იმავე გეოგრაფიულ ადგილებში, ან ენდემიურ კერებში, ცხოვრების ერთი და იმავე პირობების მიუხედავად, ნაწილი ავადდება ჩიყვით, ნაწილი კი არა.

ჩიყვის კლინიკა

ენდემიური ჩიყვის კლინიკური სურათის ნათლად წარმოდგენისათვის საჭიროა, ერთი მხრივ, ფარისებრი ჭირკვლის ფიზიოლოგიისა და ჰისტოპათოლოგიის შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, ჩიყვის თანამედროვე კლასიფიკაციის გათვალისწინება.

სახეობათა მიხედვით ცნობილია დიფუზური, კვანძოვანი და შერეული ჩიყვი.

ფარისებრი ჭირკვლის დიფუზურ გადიდებას ზოგჯერ ადვილი აქვს ფიზიოლოგიურ პირობებში, განააკუთრებით ქალებში აქესობრივი მომწიფების, ორსულობისა და მენსტრუაციის პერიოდში, როცა ორგანიზმში ხდება კომპენსატორული ჰიპერპლაზია ფარისებრი ჭირკვლის შენების უცვლელად. არაფიზიოლოგიურ პირობებში კი გაშლილი ჩიყვის დროს აქმე გვაქვს ჭირკვლის როგორც რაოდენობრივ, იაე თვისობრივ ცვლილებებთან.

დიფუზური ჩიყვისათვის დამახასიათებელია ქსოვილების თანაბარი შეცვლა, ამათან, არ ინიჩება კვანძოვანი სახის წარმონაქმნი. თუმცა ამ ბოლო ხანებში ო. ვ. ნიკოლაევი აღნიშნავს, სუსტად გამოხატულ ტოქსიკურ, ან კიდევ, ბაზედოვის დაავადების შემთხვევებში ადგილი აქვს მცირე კვანძების არსებობასო.

გაშლილი ჩიყვი უფრო ხშირად გვხვდება ახალგაზრდებში. მკურნალობის გარკვეულ პერიოდში მან შეიძლება განიცადოს უკუგანვითარება. ამ სახეობის ჩიყვს ჩვეულებრივ უქირავს ფარისებრი ჭირკვლის ნორმალური ადგილმდებარეობა, მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით მის ფარგლებს გარეთაც.

დიფუზური ჩიყვი ძირითადად ვითარდება კისრის ორივე მხარეზე, თუმცა იგი შეიძლება მოთავსდეს ცალ მხარეზეც — მარჯვნივ, ან მარცხნივ, რაც შედარებით იშვიათად ხდება.

ჩიყვის მეორე — კვანძოვანი სახე უფრო გავრცელებულია

მოხუცებში. იგი ხასიათდება მკვეთრად შემოახლვრული კიდეებით და ისე, როგორც დიფუზური, შეიძლება განვითარდეს კისრის ორივე მხარეზე. ჩიყვის ამ ფორმას უფრო ხშირად აღწერენ სპორადულ ადგილებში, მაგრამ საქართველოში იგი ჭარბად გვხვდება ენდემიურ კერებში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში (ასლანიშვილი, გელოვანი, თოფურია, უკლება და სხვ.).

რაც შეეხება შერეულ ჩიყვს, იგი წარმოადგენს გაშლილი და კვანძოვანი ჩიყვების კომბინაციას. ამ შემთხვევაში დიფუზურად გადიდებული ფარისებრი ჭირკვლის ფონზე იხიწება კვანძი, რომელიც არ არის მიდრეკილი ძლიერი გადიდებისაკენ და კვანძოვანი ფორმიდან დიფუზურში არ გადადის.

ჩიყვით დაავადების დაყოფას სახეების მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პროფილაქტიკის, ისე მკურნალობის თვალსაზრისით.

ჩიყვის ფორმების გამოცნობა არც ისე ადვილია. რომ თავიდან ავიცილოთ შეცდომები ამ დაავადების ფორმათა ზუსტად დადგენაში, საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მკვირივი დიფუზური ჩიყვი შემოსასლვრული წილებით, ან შუა წილია მკვეთრად გადიდება ქმნის კვანძოვანი ჩიყვის ცრუ შთაბეჭდილებას. ანვე კისრის ერთ მხარეზე მდებარე რბილი კონსისტენციის კვანძოვანი წარმონაქმნი შეიძლება მივიჩნიოთ შეცდომით დიფუზურ ჩიყვად.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩიყვის ოდენობა ყოველთვის როდი განსაზღვრავს დაავადების სიმძიმეს. ხშირად დიდი ოდენობის ჩიყვს თან არ ახლავს ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის რაიმე შესამჩნევი მოვლენები, მაშინ, როცა მცირე ოდენობის ჩიყვის შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს თირეოტოქსიკოზის ან ჰიპოთირეოზის მძიმე მოვლენები.

ჩიყვის ფორმების განსაზღვრა ფარისებრი ჭირკვლის ფუნქციის გამოკვლევის გარეშე არ არის საკმარისი. საჭიროა ჩიყვი განვიხილოთ ფუნქციონალური თავისებურებების მიხედვით, ამ მხრივ განასხვავებენ ეუთიროიდულ, ჰიპერთიროიდულ და ჰიპოთიროიდულ ჩიყვს. ენდემიურ კერებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ეუთიროიდული ფორმა, დანარჩენი სახეები იშვიათია.

ზოგჯერ ჩიყვის ენდემიურ კერებში თირეოტოქსიკოზის დროს ვეაქვს მკაფიოდ გამოხატული კლინიკური სიმპტომები, რაც აადვილებს დაავადების გამოცნობას. დიაგნოზის დასმა ძნელდება, როდესაც ეუთიროიდული ჩიყვი ჰიპერან ჰიპოთიროიდული ჩიყვის ვარდამავალ ეტაპზეა და თან არ ახლავს ამ ფორმათა ნიშნები.

ეუთიროიდული ჩიყვის შემთხვევაში პათოლოგიური მოშლილობანი მექანიკური და ჰორმონალური ხასიათისაა. მექანიკურ მოშლილობაში იგულისხმება ზეწოლა, რაც ვრცელდება ჩიყვთან ტოპოგრაფიულ ურთიერთობაში მყოფ ორგანოებზე. სახელდობრ, სასულეზე, საყლაპავ მილზე. სისხლ-ძარღვებზე და ნერვულ ქსოვილებზე. ჰორმონალური მოშლილობა კი იწვევს ნევრატიული ტიპის ზოგად მოვლენებს — უძილობას, დაღლილობასა და თავის ტკივილს. თუმცა ანეთი მოვლენები ეუთიროიდული ჩიყვის დროს სუსტად არის გამოხატული და გარკვეული დროის განმავლობაში არ იწვევს რაიმე რთული ხასიათის ძვრებს, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლის მსრივ.

უბრალო ჩიყვის დროს ჯირკვლის მდებარეობასა და მოცულობაში მომატებას ზოგჯერ არა აქვს დიდი მნიშვნელობა. რადგან ხშირად ამით არ არის გამოწვეული ისეთი კლინიკური ნიშნები როგორცაა საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, შრომისუნარიანობის დაქვეითება, კუჭ-ნაწლავის ატონია. გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის უკმარისობა, მაჯის არითმია. ქოშინი შეტ-ნაკლები ინტენსივობით და ქალებში მენსტრუაცია მოშლილობა.

ზემოაღნიშნული სიმპტომოკომპლექსი ინდივიდუალურ, სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. საერთოდ კი ეუთიროიდული ჩიყვით დაავადებულთა უმრავლესობა რაიმე შეამჩნევ მოვლენებს არ გრძნობა, ზოგიერთი თითქმის სულ არაფერს უჩივის. გარდა ამისა, გვხვდება აგრეთვე ავადმყოფთა გარკვეული პროცენტი, რომლებშიც კლინიკური ნიშნები ძალზე სუსტად არის გამოხატული.

ბ. ზ. ფილიაპჩუკის მონაცემებით, ეუთიროიდული ჩიყვით დაავადებულები უჩივიან თავის ტკივილს. უძილობას, გულის ძვრას, ტრაქეაზე ზეწოლას, აპათიას და ასეა მოვლენებს.

ს. მ. რიადნოვის განმარტებით, რაკი ახალგაზრდებში კისრის მოკლე კუნთი მძლავრად არის განვითარებული, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიური ზრდა კისრის მიდამოს წინა და ზემო ნაწილში არ ვრცელდება, არამედ ვითარდება შიგნით. ამიტომ ზეწოლა მეტი ინტენსივობით გამოხატულია კისრის მიდამოში განლაგებულ მნიშვნელოვან ორგანოებზე და ქსოვილებზე, ამის გამო აღვილი აქვს ციანოზს, სუნთქვის გაძნელებას, გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის მოშლილობას და სხვ.

მ. ნ. ახუტინი ამუროს ჩიყვის შესწავლისას დარწმუნდა, რომ სათანადო გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება დიაგნოზი დავასვათ ჩიყვით დაავადებულ ავადმყოფს. „ზოგჯერ, ერთი შეხედვით გვგო-

ნია. — წერს იგი, — საქმე გვაქვს უბრალო ჩიყვთან, მაგრამ ნამდვილად შეიძლება აღმოჩნდეს დიფუზურ-ჰიპოთირეოზული ფორმა“.

ბ. თ. კოლოსოვსკაიას აზრით, ურალში ჰიპო და ჰიპერთიროიდული ჩიყვები უმეტეს შემთხვევაში ვითარდებიან უბრალო ჩიყვის ფონზე.

თ. ვ. ნიკოლაევის მიხედვით, ენდემიური ჩიყვი ძირითადად არის ეუთიროიდული. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მას თან სდევს ჰიპოთიროიდის მოვლენები, აგრეთვე სუბტად გამოხატული ჰიპერთიროიზის ნიშნები.

ა. მ. ლიცკისა და თ. კოლოსოვსკაიას მონაცემებით, ურალში ენდემიური ჩიყვის 30 პროცენტი ჰიპერთიროიდული ხასიათის აღმოჩნდა. ამ მკვლევართ მკურნალობის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნიათ ოპერაციულ საშუალებათა ფართო გამოყენება.

რ. ი. პოლეევამ ამურის ჩიყვის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ეუთიროიდული ფორმები მიდრეკილი არიან ჰიპერთიროიზისადმი.

მ. ს. უკლებას აზრით, თუ უბრალო ჩიყვით დაავადებულთ ყოველმხრივ შევისწავლით იმ პერიოდში, როცა ისინი ჯერ კიდევ არაფერს უჩივიან, აღმოჩნდება, რომ ბევრ მათგანს გულ-სისხლძარღვთა სისტემა დაავადებული ჰქონია.

ბარანოვას შეხედულებით, ენდემიური ჩიყვის დროს ზიანდება გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და ენდოკრინული სისტემა.

მ. ბრეიტმანი ყველა სახეობის ჩიყვის შემთხვევაში აღნიშნავს გულის ფუნქციის მოშლილობას. მისივე აზრით, უბრალო ჩიყვების უმეტესობა შეიძლება გადაიზარდოს რთულ, საშიშ ფორმაში. ამიტომ ექიმის ამოცანაა, დროულად გამოიკნოს გარდამავალი ფორმები და მიიღოს სათანადო ზომები გართულებათა თავიდან ასაცილებლად.

უბრალო ჩიყვის დროს ნევითიერებათა ცვლას რაიმე გარკვეული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ის ნორმის ფარგლებშია. ამას ადასტურებენ ს. ი. შერმანი და ნიკოლაევი, ამავე აზრს იზიარებენ მ. უკლება და თ. უვანია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩიყვი უმეტესად ვითარდება კისრის ორივე მხარეზე. იგი შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად მოთავსდეს აგრეთვე მკერდის ძვლის უკან. ნიკოლაევი აღწერს ჩიყვს დიაფრაგმასთან. ასეთი ლოკალიზაციის ჩიყვი იშ-

ვითა. მაგალითად, ნიკოლაევი 4.500 ოპერაციიდან აღნიშნავს სრული მკერდუჯანა ჩიყვის მხოლოდ 6 შემთხვევას. მარტინოვის მიერ 1926 წლამდე შეკრებილი მასალები ნაწილობრივი მკერდუჯანა ჩიყვის შემთხვევების შესახებ სხვადასხვა ავტორის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ნ. ფ. ლეჩენევი—3,4 პროცენტი, კოსტენკო—1 პროცენტი, ლედომსკი — 2,5 პროცენტი, დოგადკინი — 5 პროცენტი.

უკლებას მიხედვით არასრული მკერდუჯანა ჩიყვის შემთხვევები 8,6 პროცენტს შეადგენს.

რ. ბროუნის მიერ 1949—54 წლებში ჩიყვზე წარმოებული 556 ოპერაციიდან რეტროსტენალური იყო 27, ამათგან უმეტესობა დალაგებული ყოფილა შუასაყარის წინა მხარეზე. ასეთ შემთხვევაში ბროუნის მკერდუჯანა ჩიყვის ამოსაკვეთად ყველაზე უფრო მოხერხებულ მისაღდომ ადგილად მიაჩნია კისრის მიდამო. ერთხელ მან მკერდის ძვალი გაკვეთა დიაფრაგმამდე და მხოლოდ ამ გზით ამოიღო ჩიყვი, რომელიც 640 გრ იწონიდა.

ნიკოლაევის აზრით, მკერდუჯანა ჩიყვი ეწოდება ისეთ ჩიყვს, რომელიც მდებარეობს მკერდის ძვლის ტარის ამონაჰდევია ქვემო 4-5 ანტიმეტრზე.

უკლებას განმარტებით, თუ თავისუფლად დგომის და ნორმალური სუნთქვის დროს არ ჩანს ჩიყვის ქვედა პოლუსი, ეს არის ჩიყვის ნაწილობრივი მკერდუჯანა მდებარეობა, ხოლო თუ იმავე მდგომარეობაში არ ისინჯება გადიდებული ფარისებრი ჯირკვლის ზედა პოლუსი, ამას ეწოდება ჩიყვის სრული მკერდუჯანა მდებარეობა.

ჩიყვს შეიძლება იყოს დიდი მოცულობის და იწონიდეს რამდენიმე კგ-ს; კონსისტენციის მიხედვით იყოს რბილი, მკვრივი, ნაკლებად მკვრივი, ელასტიკური და დაჭიმული; მოძრაობის მხრივ — კარგად მოძრავი, შედარებით მოძრავი და უძრავი; ზედაპირი აქონდეს სადა ან ხორკლიანი.

გარკვეული სიდიდისა და მდებარეობის ჩიყვს შეუძლია გამოიწვიოს კისრის კუნთების გათიშვა, რასაც მოჰყვება სისხლძარღვების ტოპოგრაფიის შეცვლა და არტერიების პულსაციის გამოჩენა. გარდა ამისა, კისრის წინა კედელზე და მის უკანა მიდამოში შეიძლება ურთიერთობა ჩიყვთან ახლო მდებარე ორგანოებსა და ქსოვილებს შორის, რაც გამოიწვევს მექანიკური ხასიათის ცვლილებებს — სუნთქვის გაძნელებას, ხმის შეცვლას და მშრალ ხველას. სასულეზე ზეწოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით კი

ვითარდება ასფექსიის მოვლენები. გულ-სისხლ-ძარღვთა მოშლილობანი და სხვ.

ჩიყვი იწვევს კისრის კანქვეშა ვენების გაგანიერებას, რაც იხსნება შიგნითა საუღლე ვენაში სისხლის მიმოქცევის გაძნელებით. მას თან სდევს აგრეთვე სისხლის ცირკულაცია მცირე წრეში მოშლილობა, რის გამოც ვითარდება მარჯვენა გულის გაგანიერება და პიპერტროფია; მექანიკური დაბრკოლებებით გამოწვეულ სუნთქვის მოშლილობას თან ერთვის ინტოქსიკაცია და გულის მოვლენები — წარმოიქმნება ე. წ. „ჩიყვის გული“.

მექანიკური შეგუბების გამო დაბრკოლებები ვითარდება არა მარტო დიდ საუღლე ვენაში, არამედ იმ ადგილებშიაც, სადაც გარეთა საუღლე ვენა გადადის ლავიწქევაში მიდამოში. ეს კი იწვევს მრავალ ანასთომოზს ძუძუს გარეთა და შიგნითა ვენების დატორიანების ადგილას. ამის შედეგად, გულ-მკერდის წინა კედელზე წარმოიქმნება ე. წ. „მედუზას თავი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუნქციონალური თვიაებების ნიშნდვით. ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ერთ-ერთი სახეა პიპერტროფია. ნიკოლაევის შეხედულებით, ეს ფორმა იშვიათად გვხვდება ენდემიურ კერებში, სადაც იგი ხასიათდება შეირდგი პინტომოკომპლექსით: ტაქიკარდია (არა უმეტეს 100 დარტყმისა წუთში), თვალის უმნიშვნელო გადმოკაკვლა, სუსტად გამოხატული კანკალი, ოფლიანობა, იშვიათად კუჭ-ნაწლავის აშლილობა და სიგამხდრე).

ბაზედოფიკაცია შემთხვევაში ეს ნიშნები გამოხატულია მევეთრად: მაჯის აჩქარება (წუთში 100-დან 120-მდე დარტყმა. ზოგჯერ მეტიც), თვალების გადმოკაკვლა (დაავადების სიმძიმის მიხედვით); ნებიუსის, ერეფესა და შტელევაგის ნიშნები დადებითია. აღწერილია აგრეთვე მუტეტის ნიშანი, გარკვეულ შემთხვევებში ოფლიანობა, სიგამხდრე, ფალარათი, შიშის გრძნობა, ჰაერი, ნაკლებობა და სხვა.

დაავადების სიმძიმის მიხედვით განასხვავებენ თარვოტოქსიკოზის სამ კლინიკურ ფორმას: მსუბუქ, საშუალოსა და მძიმეს. მაუბუქი ფორმის დროს ზემოაღნიშნული ნიშნები სუსტად არის გამოხატული. ზოგჯერ ზოგიერთი მათგანი სრულიად არ არის გამოქვავებული. საშუალო ფორმის პერიოდისათვის კი დამახასიათებელი სიმპტომები მეტად პროგრესული ხდება, ხოლო მძიმე ფორმის შემთხვევაში ავადმყოფები შრომის უნარსაც კარგავენ. რაც შეეხება

ჰიპერთიროიდულ გამოვლინებებს, ისინი უფრო ხშირად საშუალო ასაკში გვხვდება, განსაკუთრებით ქალებში.

აქარის ჩიყვის ენდემიურ კერებში თირეოტოქსიკოზი იშვიათი მოვლენაა, სამაგიეროდ იგი ხშირია სანაპირო ზოლში—ბათუმში, ჩაქვში, ქობულეთსა და ზღვასთან ახლომახლო მდებარე სოფლებში.

აღო და პეტროვას მიხედვით, ბაზედოვის დაავადების მძიმე ფორმის დროს ნივთიერებათა ძირითადი ცვლა 50-დან 80 % აღწევს.

ვ. მ. კოგან-იასნი დიაგნოზის დასმისას უპირატესობას ანიჭებს ძირითადი ცვლის მომატებას. ამავე აზრს იზიარებს პ. მარტინი, იგი ამბობს, ჰიპერთირეოზი შეიძლება განვითარდეს ფარისებრი ჯირკვლის შესამჩნევი გადიდების გარეშეც ისე, რომ თან არ ახლდეს აშკარა კლინიკური ნიშნებით.

ნ. ა. შერეშევსკის აზრით, ნივთიერებათა ძირითადი ცვლის მომატება ყოველთვის როდი მიუთითებს დაავადების სიმძიმეზე. აღწერილია შემთხვევები, როდესაც თირეოტოქსიკოზის მწვავე ფორმის დროს ნივთიერებათა ცვლა ნორმის ჟარგლებში იყო.

ჰერცლერის მონაცემებით, ძირითადი ცვლის მომატება ყოველთვის არ მიუთითებს ჰიპერთირეოზის არსებობაზე. ეს უკანასკნელი შეიძლება მიმდინარეობდეს ძირითადი ცვლის მომატების გარეშეც.

ჩიყვას ენდემიურ კერებში, კვლევის კლინიკური მეთოდების გარდა, მიმართავენ ლაბორატორიულ ანალიზებსაც. შერმანისა და ნიკოლაევის გამოკვლევით, ენდემიურ კერებში ზოგჯერ ადგილი აქვს სისხლში ეოზინოფილების მომატებას 5-დან 25%.

თირეოტოქსიკოზების დროს პერიფერიული სისხლის ლეიკოციტთა ფაგოციტური უნარის ცვლილებებზე დაკვირვება აწარმოვა ნ. ნ. ქებაძემ. მან შეისწავლა 92 ავადმყოფი 15-დან 71 წლამდე ასაკისა, მათ შორის 89 ქალი. გამოკვლევის შედეგად იგი მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. თირეოტოქსიკოზების დროს ლეიკოციტთა ფაგოციტური უნარი შემთხვევათა ნახევარში გაძლიერებულია, დანარჩენ შემთხვევაში დათრგუნვილია ანდა მის ფარგლებშია, ძირითადი ცვლა მომატებულია.

2. ლეიკოციტთა ფაგოციტური უნარი პირდაპირ დამოკიდებულია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციურ მდგომარეობასთან.

3. ოპერაციიდან რამდენიმე თვის გავლის შემდეგ ფაგოცი-

ტონის მანვენესლები, აგრეთვე ლეიკოციტები და ძირითადი ცელა ნორმას უბრუნდება.

4. მარტოვი ჩიყვევის დროს პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტთა ფაგოციტური უნარიანობა შემთხვევათა ნახევარში ნორმალურია, დანარჩენ შემთხვევაში კი მომატებულია ან დაკლებული. ლეიკოციტთა რაოდენობა და ძირითადი ცელა ნორმის ფარგლებში მერყეობს.

5. ოპერაციის შემდეგ უახლოეს დღეებში ფაგოციტური მანვენებლები შემდეგნაირად იცვლება: პერიფერიულ სისხლში ადგილი აქვს ლეიკოციტების ფაგოციტური უნარის მკვეთრ დათრგუნვას. ფაგოციტონის გამოაწორება არ ხდება, ლეიკოციტების რიცხვი და ძირითადი ცელა ნორმა ფარგლებშია.

ფარისებრი ჭირკვლისა და მისი პორმონის გაქლენის შესახებ სისხლის ლეიკოციტების ფაგოციტურ უნარზე მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. მეცნიერთა უმრავლესობა ფარისებრი ჭირკვლის პორმონს თვლის ლეიკოციტების ფაგოციტური უნარის სტიმულატორად.

თირეოტოქსიკოზების დროს ძვლის ტვინში მიმდინარე ცვლილებები შეისწავლა გ. ა. ზვიადაძემ. მის მიერ გამოკვლეული 66 ავადმყოფიდან (60 ქალი და 6 მამაკაცი 5-დან 80 წლამდე ასაკისა) კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით, თირეოტოქსიკოზების მსუბუქი ფორმით დაავადებული იყო 12, საშუალო ფორმით 32, ხოლო მძიმეთი — 20 (ყველა 66 შემთხვევაში ძვლის ტვინის პუნქტატი აღებულია ბარძაყის ძვლიდან).

ჩიყვიან ავადმყოფებში შედარებით კარგადაა შესწავლილი პერიფერიული სისხლი. სამაგიეროდ ძალზე მცირე მონაცემებია ძვლის ტვინის ცვლილებათა შესახებ. ამ მიმართებით გამოკვლევები ჩაატარეს მ. ი. არინკინმა, მ. ი. კოზლოვსკიმ და ც. ს. მაკალათიამ. საზღვარგარეთელი ავტორებიდან — ო. ბისტრემ და რ. ჯონსმა.

არინკინისა და კოზლოვსკის გამოკვლევები (სულ მათ შეისწავლეს ბაზედოვით დაავადებული ხუთი ავადმყოფი) ძვლის ტვინის ცვლილებებია შესახებ იძლევა შემდეგ სურათს:

1. აღინიშნება ძვლის ტვინის გაძლიერებული ერითროპოეტიური ფუნქცია.

2. მომატებულია ლიმფოციტები, ნეიტროფილები, ეოზინოფილები და მეტამიელოციტები; ბირთვის მიხედვით აღინიშნება გაძლიერებული ერითროპოეზია, რეტიკულოციტების რაოდენობრივი

ნომატება, აგრეთვე ბაზოფილური და პოლიქრომატოფილური ერითრობლასტების მომატება.

ც. ს. მაკალათიას მონაცემებით, გრანულოციტების მხრივ აღინიშნება ძვლის ტვინის გაღიზიანება და უჯრედების მომწიფების პროცესი. ოპერაციიდან მე-5 მე-7 დღეზე გამოხატულია ერითრობლასტებისა და ლიმფოციტების დაკლება. მეგაკარიოციტები მომატებულია.

გ. ლ. ზვიადაძე, რომელმაც შედარებით დიდ მასალაზე ჩაატარა გამოკვლევები, ასეთ დასკვნებს აკეთებს:

1. ძვლის ტვინში მომატებულია ლეიკობლასტების ელემენტები;

2. გრანულოპოეზიის მხრივ ადგილი აქვს უმნიშვნელო გაღიზიანებას (ლიმფოციტები თითქმის ყველა შემთხვევაში მომატებულია);

3. ერითროპოეზიის მხრივ ერითრობლასტები ნორმის ფარგლებშია ან ზოგჯერ დაკლებულია;

4. მეგაკარიოციტები შემცირებულია ან სულ არ აღინიშნება.

თირეოტოქსიკოზების ქირურგიული მკურნალობის შემდგომ პერიოდში ძვლის ტვინში ნეიტროფილები და ეოზინოფილები ამჟღავნებენ მომწიფებისადმი ტენდენციას. ლიმფოციტები მათულობა ნორმაზე მეტად, ერითრობლასტები კლებულობს, მომწიფების ინდექსი ნორმის ფარგლებშია. რაც უფრო მეტი დრო გადის ოპერაციიდან, ძვლის ტვინი მით უფრო უახლოვდება ნორმას.

ბატრემია, მონაცემებით, ოპერაციის შემდეგ მე-5 მე-7 დღეზე ლეიკოციტები არ იცვლება. დაკლებულია ერითრობლასტები, უფრო მეტად კი — ნორმობლასტები.

მაკალათიას მიხედვით, თირეოტოქსიკოზების შემთხვევაში პერიფერიულ სისხლში აღინიშნება ლეიკოპენია, ნეიტროპენია, ლეიკოციტური ფორმულია მარცხნივ ძვრა და შეფარდებითი ლიმფოციტოზი.

თირეოტოქსიკოზური ჩიყვის ოპერაციული მკურნალობის შორეულ შედეგებზე დაკვირვება აწარმოვა ექ. ე. ბაკურაძემ. მან შეიარაღდა 60 ნაოპერაციევი ავადმყოფი, რომლებსაც გაკეთებული ჰქონდათ სუბტოტალური რეზექცია. ყველა მათგანისათვის ოპერაციამდე დამახასიათებელი იყო თირეოტოქსიკოზია მწვავე მოვლენები. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, განმეორებითი გამოკვლევების დროს. არც ერთ ავადმყოფს სუბიექტური ჩივილები არ ჰქონია. ობიექტური ნიშნებიდან აღსანიშნავია უმნიშვნელო ტაქიკარდია (შემ-

თხვევათა 5%). ოპერაციამდე ავადმყოფთა 50% აღნიშნებოდა არითმია. ოპერაციის შემდეგ ყველა ავადმყოფის რითმი აღსდგა, ამასთან, არც ერთი მათგანი არ უჩიოდა გულის ცემას. შეაწავლილ ავადმყოფთა შორის იყო 59 ქალი და 1 მამაკაცი.

ოპერაციული მკურნალობის შორეული შედეგები შეისწავლა ბაკურაძემ შემდეგი ხანდაზმულობით:

- 5 წლის შემდეგ — 13 შემთხვევა;
- 4 წლის შემდეგ — 17 შემთხვევა;
- 3 წლის შემდეგ — 10 შემთხვევა;
- 2 წლის შემდეგ — 5 შემთხვევა;
- 1 წლის შემდეგ — 9 შემთხვევა.

ოპერაციის შემდგომი პერიოდის გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ იაეთ ავადმყოფებს, რომლებსაც ოპერაციამდე ჰქონდათ გულის კუნთის მცირე ცვლილებები, აღრე დაუბრუნდათ ნორმალური მდგომარეობა. რაც შეეხება გულის მძიმე ფორმას, იგი თითქმის უცვლელი დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ განმეორებით გამოკვლევისას 4 შემთხვევაში გულის მძიმე ფორმები დაუბრუნდა ნორმას, მცირე ცვლილებები აღინიშნა 4 შემთხვევაში. ხოლო 2 ავადმყოფის მდგომარეობა არ შეცვლილა.

ოპერაციის შორეული შედეგების შესწავლით გამოირკვა. რომ წნევა, ძირითადი ცვლა, წონაში მომატება, ნერვული სტატუსი და ჰემოგლობინი ყველა შემთხვევაში თითქმის ნორმას უბრუნდება.

ამრიგად, თირეოტოქსიკოზური ჩიყვის ოპერაციული მკურნალობის შორეული შედეგები მოწმობენ, რომ ქირურგიული ჩარევა სუბტოტალური რეიექციით ამართლებს თავია მიზანდასახულობას.

თირეოტოქსიკოზური ჩიყვის დროს ღვიძლის ბარიერული ფუნქციის ცვლილებები ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ შეისწავლა ექ. თ. ლომაძემ. ის აღნიშნავა, რომ თირეოტოქსიკოზების შემთხვევაში ღვიძლის ფუნქციის დარღვევა ფუნქციონალური ხასიათისაა, რომელიც ოპერაციის შემდეგ ავლავ აღადგება. ხშირად ადგილი აქვს აგრეთვე ღვიძლის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებას. ლომაძე ღვიძლის ბარიერული ფუნქცია ცვლილებებმა უკავშირებდავადების ხანგრძლივობას და სიმძიმეს.

ღვიძლის ბარიერული ფუნქცია ნორმას უბრუნდება ოპერაციიდან 10 — 12 დღის შემდეგ, ზოგჯერ კი უფრო გვიან, მაგალითად: 1 თვის, 3 თვის და 1 წლის შემდეგ.

ენდემიური ჩიყვის ჰიპოთიროიდული ფორმები თავისი ნიშნე-

ბით შეიძლება სუსტად იყოს გამოხატული ან კარგად გამომკლავნებული. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია სახის შეშუპება, თვალების ჩაყარდნა. კანის სიმშრალე, სასიცოცხლო პროცესების მოღუნება, ძილისადმი მიდრეკილება, შეკრულობა, მაჭის შენელება, გულია მოყრუებული ტონები, სითბოს რეგულაციის მოშლა, სიცვიის შეგრძნება, ძირითადი ცვლის დაკლება და სხვა.

მაკალათიას მონაცემებით, ჰიპოთირეოზის შემთხვევაში პერიფერიულ სისხლში ადგილი აქვს ნეიტროფილური ბირთვის ჰიპერსეგმენტაციას. თრომბოციტოპენიას, თრომბოციტული ფორმულის მარჯვნივ ძვრას.

სხვა სურათი გვაქვს მარტივი ჩიყვის დროს. ამ შემთხვევაში ავადმყოფთა ერთ მესამედს პერიფერიულ სისხლში აღენიშნება ლეიკოპენია და ნეიტროფილების ბიჭთვის ჰიპერსეგმენტაცია. ჩიყვის ყველა სხვა სახეობაში ადგილი აქვს თრომბოციტოპენიას, თრომბოციტული ფორმულის მარჯვნივ ძვრას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგრეთოდ, ერითროციტების დალექვის რეაქციას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა ჰიპოთირეოდიული ჩიყვით დაავადებულთა გარკვეულ ნაწილში ერითროციტების დალექვის რეაქცია შესამჩნევად კლებულობს.

ჩიყვის ენდემიურ კერებში ფარისებრი ჭირკვლის გადიდება შეიძლება გამოწვეული იყოს ქრონიკული, არასპეციფიკური თირეოდიტებით — ხაშიმოთას ლიმფომატოზური ტიპის ჩიყვით, ან კიდევ რიდელის ფიბროპლასტიკური ჩიყვით, რომელიც წააგავს ავთვისებიან სიმსივნეს.

ჩიყვის სწორად გამოცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვანძის სიდიდეს. როცა კვანძი დიდია, დიაგნოზი ადვილად ისმება, ხოლო როცა პატარაა, ძნელდება ჩიყვის სახეობის დადგენა.

გადიდებული ფარისებრი ჭირკვლის დიაგნოსტიკაში მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის გასინჯვის მეთოდს. დღემდე არსებული წესის მიხედვით, ფარისებრი ჭირკვლის გასინჯვა წარმოება ცერსა და დანარჩენ თითებს შუა.

რიდელის ჩიყვის შესახებ უნდა ვიცოდეთ, რომ იგი იწვევს სიგამხდრეს, გულის ძგერას, ტემპერატურის მომატებას, ფარისებრი ჭირკვლის გადიდებასა და გამკვრივებას, შეხორცებებს ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან.

ხაშიმოთას ჩიყვის კლინიკური ნიშნები იგივეა, რაც რიდელის ჩიყვისა, განსხვავება იმაშია, რომ ხაშიმოთას ტიპის ჩიყვის შემთხვევაში ირგვლივ მდებარე ქსოვილების მოცილება ადვილად ხდება.

დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გატარდეს აგრეთვე კისრის სხვადასხვა დაავადებასთან, მაგალითად, ლიპომასთან, ლიმფურ ჯირკვლებთან, კიარის თანდაყოლილ ცისტებთან, ენისქვეშა ლიმფურ ჯირკვალთან და სხვ.

ლიაგნოზის დასმა ძნელი არ არის, რადგან ლიპომა და ფიბრომა ტრაქეასთან არ არიან დაკავშირებული. ზოგჯერ ენისქვეშა ლიმფური ჯირკვლის გადიდება ქმნის ჩიყვია სიმულაციას. ამ შემთხვევაში ყურადღებას ვაქცევთ პერიადენიტსა და სიმსივნის უმოძრაობას, რაც ფარისებრი ჯირკვლისათვის არ არის დამახასიათებელი. ნიუხედავად ამისა, შეცდომებს მაინც აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, ბრეიტმანმა მკერდ-ლავერის მიდამოში დაადგინა ლიმფოზი, რომელიც მანამდე მიჩნეული იყო ჩიყვად. ნიკოლაევს აღწერილი აქვს შუა საყარის დერმოიდული ცისტომის შემთხვევა, რომელიც ოპერაციამდე მკერდუკანა ჩიყვად იყო დიაგნოტირებული. დიდ სიძნელეს წარმოადგენდა აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის ენინოკოკის გამოცნობა.

ზოგჯერ ადგილი აქვს იშვიათ გართულებებს, სახელდობრ, სისხლის ჩაქცევას ჩიყვის პარენქიმაში, რაც განსაკუთრებით საშიშია კისტოზური თიროიდიტებია შემთხვევაში. ამ დროს მალე იკვება სისხლით კისტოზური ღრუ და ჩიყვი სწრაფად მატულობს მოცულობაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქაფიქსია. ვხვდებით აგრეთვე ჩირქოვან სტრუმიტებსა და პერისტრუმიტებს. კლინიკური მიმდინარეობით ისინი იყოფიან მწვავე და ქრონიკულ სტრუმიტებად. მწვავე სტრუმიტი გვხვდება ჩიყვის კვანძოვანი ფორმის დროს. სტრუმიტების პერიოდში ავადმყოფი გრძნობს ტკივილებს ყლაპვისა და პალპაციის მომენტში. პერისტრუმიტების შემთხვევაში კი ადგილი აქვს ტკივილებს კეფისა და ყურის მიდამოში. ავადმყოფობის გართულებისას ვითარდება კიარის შეშუპება და შემსივნება. პროცესში შეიძლება ჩაირთოს სიმპათიკური და ხორხის ქვედა ნერვი, რასაც თან მოჰყვება ჰორნერის სიმპტომი და ხმის შეცვლა. მკურნალობა კონსერვატულია. ავადმყოფს უკეთებენ სათბურებს, აძლევენ ანტიბიოტიკებს და სხვ. მხოლოდ განვითარებული აბსცესის შემთხვევაში მიმართავენ ოპერაციას.

ქრონიკული სტრუმიტები ვითარდება მეორადი მწვავე სტრუმიტების შედეგად, იგი შეიძლება წარმოიშვას აგრეთვე პირველადი სტრუმიტებისაგანაც. ამ შემთხვევაში მისი ძირითადი ნიშნებია ფარისებრი ჯირკვლის მიდამოში მკვრივი სიმსივნე სადა ზედაპირით; ავადმყოფს აწუხებს ტკივილები, ზოგჯერ უჩივის ქოშინს, ან-

თებითი პროცესი ედება ირგვლივ მდებარე ქსოვილებს და იწვევს მის კანთან შეხორცებას. მკურნალობა ზოგჯერ მოითხოვს ქირურგიულ ჩარევას, დაავადებული ჯირკვლის ნაწილის ამოკვეთას.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა შორის აღწერილია მწვავე, ქვემწვავე და სპეციფიკური ხასიათის თიროიდიტები. მწვავე თიროიდიტი შეიძლება იყოს ჩირქოვანი და უჩირქო. იგი იწყება ნაღალი ტემპერატურით, შემსივნებით, ჯირკვლის გადიდებით და თან ახლავს ტკივილები. მკურნალობა ძირითადად წარმოებს ანტიბიოტიკებით. თუ კონსერვატული მკურნალობა შედეგს არ იძლევა, მიმართავენ ლობექტომიას. ადრეულ მკურნალობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან დაავადების გართულებას ხშირად მოადევნებს შუასაყარის ანთება, ან კიდევ, სასულეს მხრივ მძიმე მოვლენება. სპეციფიკური თიროიდიტების შემთხვევაში ჩიყვი ვითარდება ტუბერკულოზური ლუეისა და აქტინომიკოზის გამომწვევი აგენტების შედეგად. ე. ფრიდის მიერ აღწერილია ქვემწვავე თიროიდიტით დაავადებული 23 ავადმყოფი, რომელთაგან 3-ს ჩაუტარდა კონსერვატული მკურნალობა.

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეებიდან აღსანიშნავია ფიბრომა, ლიპომა და ტერატომა. ისინი ეკუთვნიან კეთილთვისებიან სიმსივნეებს და იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირია ავთვისებიანი ხასიათის სიმსივნეები — კიბო და სარკომა, რომლებიც შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი.

ჩიყვი კიბოდ გადაგვარების დასაწყისი პერიოდის გამოცნობა ძნელია. უფრო ხშირად დიაგნოზი ისმება დაგვიანებით, როცა დაავადება შორსაა წააული.

პეტროვის აზრით, შუა ხნის ავადმყოფებში კვანძოვანი ჩიყვის ყველა შემთხვევა კიბოს წინამორბედი. ამიტომ ქირურგს დიაგნოზის დასმისას განსაკუთრებული დაკვირება მართებს. მან დაავადების გამოცნობისას, კარგად უნდა გაითვალისწინოს და სათანადო ყურადღება მიაქციოს ავადმყოფობის მიმდინარეობის კლინიკურ აურათს. თუ სახეზეა ჩიყვის სწრაფი ზრდა, სიმკვრივე, უსწორმასწორო ზედაპირი, სიმსივნის უმოძრაობა, ლიმფური და რეგიონული ჯირკვლების გადიდება. მაშინ უეჭველად საქმე გვაქვს ავთვისებიან სიმსივნესთან და მკურნალობა მოითხოვს მხოლოდ ქირურგიულ ჩარევას.

ჩიყვის პროფილაქტიკა და კონსერვატული მაშინალობა

ჩვენში დიდი ყურადღება ეთმობა სამხარეო დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩიყვის ენდემიური კერების ლიკვიდაციას. ამ მიზნით საბჭოთა კავშირში ბევრგან შექმნილია სათანადო სპეციალისტებით დაკომპლექტებული ჩიყვის დისპანსერები, რომლებიც სისტემატურ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში სანიტ-ჰიგიენური განათლების შესატანად და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გასატარებლად.

საბჭოთა კავშირში, მეფისდროინდელ რუსეთთან შედარებით, ჩიყვის ენდემიური კერების რიცხვი და ჩიყვით დაავადების შემთხვევები მკეთრად შემცირდა. ამას დიდად შეუწყო ხელი მოსახლეობის ფართო ფენების ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებამ, სანიტ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებამ და, რაც მთავარია, ენდემიური კერების მცხოვრებთა სამკურნალო პრეპარატებითა და იოდით მდიდარი სასმელი წყლით მომარაგებამ.

ჩიყვის ენდემიის წინააღმდეგ იოდოვანი სასმელი წყლის ეფექტიანობაზე ნათლად მეტყველებს მრავალი დაკვირება.

1933-34 წლებში სვანეთის ზოგიერთ სოფელში, სადაც წყალი იოდს არ შეიცავდა, ან ღარიბი იყო იოდით, ხის მიღებით გაიყვანეს იოდით მდიდარი მინერალური წყლები. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ამ სოფლების მოსახლეობაში ჩიყვით დაავადება საგრძნობლად შემცირდა. ბევრ მსგავს ფაქტს ქმონდა ადგილი ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც.

ამრიგად, ჩიყვის ენდემიურ კერებში პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება ძირითადად უნდა წარმოებდეს იოდით. მისი ეფექტიანობისათვის კი აუცილებელია ზუსტი დოზირება,

ე. ი. ორგანიზმისათვის ფიზიოლოგიურ პირობებში საკირო იოდის გათვალისწინება.

იოდის დიდი რაოდენობით მიღება (1 კილოგრამ გადახარშულ მარილზე 6.5-დან 1გრამამდე). როგორც პროფილაქტიკის, ისე მკურნალობის მიზნით, მიუღებელია. რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ბაზედოვის დაავადება.

ისეთ ადგილებში, სადაც ჩიყვის ენდემია არ არის. 1 კილოგრამი გადახარშული მარილი შეიცავს 0.0042-დან — 0.0117-მდე გრამ იოდ-კალიუმს. იოდის ამ რაოდენობას ექაზიან სრულტანსონს.

გადახარშული მარილი ყოველთვის არ შეიცავს იოდს. ამიტომ დაისვა საკითხი ჩიყვის ენდემიურ კერებში მოსახლეობის პროფილაქტიკის მიზნით მოხდეს მარილის ხელოვნური იოდირება.

1922 წელს შეეცარიაში სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა მარილის იოდირების დოზა (100 კგ მარილზე 0.5-1.0 გრ იოდკალიუმ). რომ ლიც დაინერგა ყველგან. ენდემიური ჩიყვის პროფილაქტიკის პრაქტიკაში.

სკოლის ასაკის ბავშვებში იოდით პროფილაქტიკისათვის ნიკოლაევმა შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია, რომლის მიხედვით წინასწარ მზადდება სტანდარტული ამპულა. იგი შეიცავს 25-30 კუბ სმ წყალში გახსნილ 0.1 გრ იოდკალიუმს. იოდკალიუმის ასეთი დოზა შეიძლება მომზადდეს აბების სახითაც. ერთი ასეთი აბი საემარისია 100 ბავშვისათვის. აბებით პროფილაქტიკა ტარდება შემდეგნაირად: 100 ბავშვისათვის მომზადებულ წაის წყალში ხსნიან იოდკალიუმის ერთ აბს, 200 ბავშვისათვის მომზადებულ წაის წყალში — ორს და ა. შ.. ე. ი. ყოველ 100 ბავშვზე ემატება თითო აბი. ასეთ ჩაის ალევინებენ ბავშვებს კვირაში ერთჯერ. ნიკოლაევის მიერ შემუშავებული ეს მეთოდი 1922 წელს მოიწონა ურალის ჩიყვის კომისიამ და ფართო მასშტაბის ღონისძიებანი ჩატარა. პროფილაქტიკის ამ მეთოდმა კარგი შეფასება მიიღო.

საბჭოთა კავშირში იოდით ჩატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კარგი შედეგების მაჩვენებელია ბევრ ადგილებში დაჩიყვიანებულთა რიცხვის მკვეთრი შემცირება. ასე, მაგალითად, ყაბარდოს რესპუბლიკის ენდემიურ კერებში პროფილაქტიკის შედეგად ჩიყვიანობამ საგრძნობლად დაიკლო. აქ შეიდი წლის განმავლობაში დაჩიყვიანება 50—70%-დან 1.9—0.7%-მდე შემცირდა. იოდით პროფილაქტიკის ეფექტიანობაზე მიუთითებს აგრეთვე

ჩერქეზეთის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩატარებული ღონისძიებანი. აქ ჩიყვით დაავადებულთა რაოდენობა შეადგენდა 40%, პროფილაქტიკის შედეგად კი დავიდა 8%-მდე. ამ მხრივ უკეთესი შედეგები მიიღეს ჩერქეზეთის ენდემიურ კერებში, სადაც ჩიყვია-ნობა 85%-დან 8.16%-მდე შემცირდა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ რაიონში წლების მანძილზე სისტემატურად წარმოებდა მოსახლეობაში იოდირებული მარილის შეტანა:

1935 წელს	შეტანილი იყო	200 ტონა
1936 წელს	„	800 ტონა
1937 წელს	„	2060 ტონა
1938 წელს	„	3000 ტონა
1939 წელს	„	5061 ტონა

პირველ რიგში იოდირებული მარილის შეზიდვა ხდებოდა უფრო მეტად დაავადებულ ჩიყვიან კერებში.

იოდის პროფილაქტიკით კარგი შედეგია მიღებული აგრეთვე უკრაინისა და აზერბაიჯანის ენდემიურ რაიონებში. მარტის ასსრ-ში, ირკუტსკსა და სხვაგან. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე საქართველოში, რასაც მაწმობის სვანეთის მაგალითი, სადაც 1925 წლის მონაცემებით ჩიყვით დაავადებული იყო მოსახლეობის 22.4%. პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად სვანეთში 1937 წლისათვის ჩიყვი საგრძნობლად შემცირდა. იგი დავიდა 10.1%-მდე. 1920 წლიდან 1936 წლამდე საქართველო ყველა ენდემიურ კერაში ჩატარდა ჩიყვის პროფილაქტიკა იოდკალიუმით.

1941 წელს საქართველოს განმრთელობის დაცვის საბალსო კომისარიატის ჩიყვის საწინააღმდეგო კომისიამ ქუთაისში გაგზავნა ქიმიკოსი კალიშევსკაია, რომლის ხელმძღვანელობით წარმოებდა მარილის იოდირება და გაგზავნა სვანეთში. სამი წლის შემდეგ, 1943-44 წლებში, სვანეთში ჩიყვის ენდემიური კერების განქორებიითი შემოწმებისას გამოიჩვენა, რომ მოსახლეობის დაჩიყვიანება 1938 წლიდან 1944 წლამდე შემცირებულა თითქმის 4-ჯერ (40,7%-დან დავიდა 10,3%-მდე).

ჩვენში ჩიყვის წინააღმდეგ ჩატარებულმა ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ამომწურავი. მიღწეული წარმატებები ადასტურებენ, რომ მონახულია სწორი გზა ენდემიური კერების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს გარემოება შემდეგისათვის მოითხოვს სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად კომპლექსური მეთოდების მომარჩევბას და ენერ-

გიულ, დაუღალავ მუშაობას ჩიყვის ენდემიური კერების ლიკვიდაციისათვის.

ჩიყვის ენდემიურ კერებში, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გარდა, ჩატარებულია კონსერვატული და ქირურგიული მკურნალობა. მე აქ შევხები მხოლოდ კონსერვატული მკურნალობის მეთოდებს. რაც შეეხება ჩიყვის ქირურგიულ მკურნალობას, ამ საკითხის განხილვა მოცემული იქნება შემდეგ თავში.

ჩიყვის თანამედროვე კონსერვატულმა მკურნალობამ პროფილაქტიკასთან ერთად კარგი შედეგი გამოიღო. ძველი მეთოდებიდან ცნობილია იოდით მკურნალობა. გარდა ამისა, ხმარობდნენ ზღვის კომბოსტოს, კვერცხის დამწვარ ნაჭუქს, გადამწვარ ზღვის ღრუბელს და სხვ. ამჟამად ჩიყვის ენდემიურ კერებში იხმარება იოდის პრეპარატები მიკროდოზებში: იოდკალიუმის 25%-იანი ხსნარი ჩაის კოვზით დღეში ერთჯერ, ლუგოლის ხსნარი 1-2 წვეთი, იოდკალიუმის აბები და სხვა.

აღნიშნული აბების მიღება გრძელდება 3-6 კვირას (დღეში ერთი-ორი აბი). 10 დღის შესვენების შემდეგ კვლავ იწყება წამლის მიღება. მკურნალობა მთავრდება სამი კურსის შემდეგ.

მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით იხმარება აგრეთვე იოდის პრეპარატი ტაბლეტებში, ე. წ. ანტისტრუმინი. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ფორმის ჩიყვთან გვაქვს საქმე. კარგ შედეგს იძლევა დიფუზური ჩიყვის მკურნალობა, კვანძოვან ჩაყვზე პრეპარატების მოქმედება ნაკლებ ეფექტურია. იოდის პრეპარატით მკურნალობას მიმართავენ აგრეთვე ეუთიროიდული და ჰიპერთიროიდული ჩიყვის დასაწყისი ფორმების დროს.

ჩიყვს მკურნალობენ აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის პრეპარატით — თიროდინით. იგი ხშირად სასურველ შედეგს იძლევა ჰიპერთიროიზის და ეუთიროიდული ჩიყვის შემთხვევაში.

ნიკოლაევის მიერ თიროდინით ჩატარებული მკურნალობა 35 მოსწავლეზე სამარყანდში საკმაოდ შედეგიანი იყო. ამ მოსწავლეებიდან, რომელთაც ჰქონდათ მესამე ხარისხის ჩიყვი, ერთ შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვალი ნორმას დაუბრუნდა, რვა შემთხვევაში — მეორე ხარისხამდე დავიდა და ერთ შემთხვევაში — პირველ ხარისხამდე.

ჰიპერთიროიდული ჩიყვის დროს კარგად მოქმედებს აგრეთვე ოვარიული პრეპარატი. რაც შეეხება მეთილთიოურაცილინს, იგი ეფექტურ შედეგს ვერ იძლევა ჩიყვის კვანძოვანი ფორმის დროს,

რადგან ეს პრეპარატი, როგორც ღღემდე წარმოებული დაკვირვებებით დადგენილია, ნორმალურ ჭირკვალზე უარყოფითად მოქმედებს.

ჩიყვის მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიეტას. იგი ძირითადად განისაზღვრება ვიტამინიანი საკვების მიღებით, ამასთან, მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის სადეზინფექციო საშუალებათა გამოყენებას.

ენდემიური ჩიყვის მკურნალობა ფიზიოთერაპიული მეთოდებით ასლა ყველგან უარყოფილია, რადგან იგი იწვევს ფარისებრი ჭირკვლის ჰიპერპლაზიას, ჭირკვლის ირგვლივ მდებარე ქსოვილებს შეხორცებას, რაც ართულებს ოპერაციას.

ჩიხვის ჰირურგიული მკურნალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ჩიხვის ჰირურგიული მკურნალობა იწყება კორნელი ცელსიდან (1 საუკუნე). იგი უკვე არჩევდა გადიდებული ფარისებრი ჯირკვლის კისტოზურ და კვანძოვან ფორმებს და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართავდა მათ ექსტრიპაციას ან მწვავე ნივთიერებებით მოწვას.

შუა საუკუნეებში ჩიხვზე და მის მკურნალობაზე საკმაოდ ცნობები მოეპოვება როლანდს. იგი იმ შემთხვევაში, თუ ჩიხვიან ავადმყოფს კონსერვატული მკურნალობა არ შეელოდა, მოიიხივდა ჰირურგიულ ჩარევას — ჩიხვის ამოკველას რკინის შანთით. დიდი მოცულობის თიროიდიტების შემთხვევაში, როცა პნელი იყო ამ მეთოდის გამოყენება, როლანდი ურჩევდა ჯირკვლის ფუნქზე ლიგატურის დადებას და ამ გზით ჩიხვის თანდათან მოცილებას.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან მუისის მიერ მოწოდებული იყო ზედა ფარისებრი არტერიების გადაკვანძვა. რის განხორციელებაც შესძლეს მხოლოდ 1813 წელს ბლიცარდმა და ვალტერმა.

1771 წელს ფოგენმა გააკეთა შემოსაზღვრული ჩიხვის ექსტრიპაცია იმ სისხლ-ძარღვთა გადაკვანძვით. რომლებიც დაკავშირებული არიან საძილე არტერიასთან და საუღლე ვენასთან. დეზომ 1791 წელს პირველმა განახორციელა ტიპიური ჰემისტრუმექტომია ზედა და ქვედა ფარისებრი არტერიების გადაკვანძვით.

მე-19 საუკუნის დასაწყიაში გედენუაი და გრევე იყვნენ პირველნი, რომლებიც რიგ შემთხვევებში აკეთებდნენ ფარისებრი ჯირკვლის სრულ ამოკველას. მსგავს ოპერაციებს აწარმოებდნენ სხვა ჰირურგებიც, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ. ამას ხელს უშლიდა ის, რომ ოპერაციულ მკურნალობაში ჯერ კიდევ არ

იყო დანერგილი ანტისექტიკისა და ასექტიკის მეთოდება. არ აზრებობდა გაუტკივარების საოხნადო საშუალებანი. ამის გამო 1850 წელს საფრანგეთის აკადემიამ აკრძალა ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა. ქირურგები ვარკვეული დროის განმავლობაში აქტიური ოპერაციული მკურნალობიდან გადავიდნენ კონსერვატულ მკურნალობაზე, დაიწყეს ჩიყვის პარენქიმაში სამკურნალო პრეპარატების -- იოდის, ერგოტინის, მიშიაკის და სხვა ნივთიერებათა შეყვანა.

ჩიყვის კონსერვატული მეთოდებით მკურნალობა დიდხანა არ გაგრძელებულა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ იწყება აქტიური ქირურგიული ჩარევა. რასაც ხელი შეუწყო ოპერაციის წარმოებაში ანტისექტიკისა და ასექტიკის მეთოდების შემოღებამ. გამოიჩინნენ მეცნიერები როზე, სოსენი, განააკეთებრბით კი. ბილროტი და კოხერი. რომლებმაც ჩამოაყალიბეს ჩიყვის სრული ექსტრემაციის ტიპური ოპერაციები. როზეს, კოსერისა და სხვათა მიერ ოპერაციის შემდეგ შენიშნულ იქნა გართულებანი -- ფსიქიური მოშლილობა, კანის მსრივ პათოლოგიური ცვლილებანი, ზრდის შეჩერება და ტეტანის მოვლენები.

1880 წელს სანშტრენმა აღმოაჩინა პარათიროიდული ჯირკვალის მალე დარწმუნდნენ, რომ ამ ორგანოს დაზიანება იწვევდა ტეტანისას.

1901 წელს ბიდელის გამოკვლევებმა დაადასტურეს სტრუმექტომიის შემთხვევაში ფარისებრი ჯირკვლის გარკვეული ნაწილისა და სანშტრემის სხეულაქების დატოვების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით პორტამ გამოთქვა აზრი ჩიყვის არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივი ამოკვეთის შესახებ.

რაც შეეხება კოხერის მეთოდს, იგი მდგომარეობს შემდეგში: ფარისებრი ჯირკვლის ორივე მხარეზე ყელის გამოყოფითა და ოთხივე არტერიის გადაკვანძვით კეთდება ექსტრემაცია. სასულეს გვერდებზე კოხერი ტოვებს ჯირკვლის მოზრდილ ნაწილს, რომელიც დაზიანებისაგან იცავს შეზრუნებულ ნერვსა და სანშტრემის სხეულაქებს.

ჩიყვის ოპერაციის მეთოდებს შორის ცნობილია აგრეთვე ინტელაქცია. იგი მდგომარეობს ჯირკვლის შიგნიდან ჩიყვის ერთი ან რამდენიმე კვანძის ამოკველაში, ან ცისტომის ამოღებაში. ოპერაცია ტექნიკურად არ არის ძნელი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მოჰყვეს სერიოზული გართულება -- სისხლის დენა, შეზრუნებული ნერვის დაზიანება და სხვა. ზემოთ აღნიშნულის გარდა არსებობს კიდევ ქირურ-

რგიული ჩარევის სხვა მეთოდი, ე. წ. ჩიყვის რეზექცია, რომელიც მოგვაწოდა მიკულიჩმა. ამ ხერხით ოპერაციისას გადაკვანძვენ მხოლოდ ზედა ფარისებრ არტერიებს ჭირკვალში შესვლის ადგილას ან მისგან დაშორებით. შემდეგ გაკვეთენ ფარისებრი ჭირკვლის ყელს და გამოყოფენ მის წილებს ისე, რომ ისინი სასულეს უკავშირდებოდნენ ფართო ფეხით, რომელსაც მიკულიჩი ჭერ კვანძვდა და შემდეგ მისგან ოდნავ დაშორებით ახდენდა ფარისებრი ჭირკვლის გადაკვეთას. ჭირკვლის ამგვარი წესით ამოკვეთა არ გამოირიხნავდა შებრუნებული ნერვის დაზიანებას. შემდეგში მიკულიჩმა გააუმჯობესა თავისი მეთოდი. შემოიღო ჭირკვლის სოლისებური რეზექცია, რაც მას შებრუნებული ნერვის დაზიანების თავიდან აცილების მხრივ უფრო საიმედოდ მიაჩნდა. ჩიყვის რეზექციას აკეთებდა აგრეთვე ცეგეფონ-მანტიფელი. იგი სხვადასხვა ზომის ჭირკვალს ნაწილ-ნაწილ კვეთავდა და დეფექტს ხურავდა აბრეშუმის განუწყვეტელი ნაკერით.

ჩიყვის რეზექციის მიკულიჩისა და მანტიფელის მეთოდს შემდგომში სხვადასხვა ვარიანტით ცვლიდნენ სხვა ავტორები.

დიდი მოცულობის კოლოიდური და კისტოზური ჩიყვების ამოსაკვეთად კოხერის მიერ მოწოდებული იყო ენუკლაცია-რეზექცია ან ექსციზია. ამ შემთხვევაში ჭერ კეთდება ადვილად მოსანახი წინა ნაწილის ექსციზია, შემდეგ კვანძის უკანა ნაწილის ამოკაცვლა. თუ ეს უკანასკნელი არ ხერხდება, მიმართავენ მის რეზექციას. კოხერის მიერ მოწოდებულია აგრეთვე ეკზენტერაცია. ოპერაციის ეს მეთოდი გამოყენებულია დიდი მოცულობის კოლოიდური ჩიყვის შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეზორცებას ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან და ამიტომ არ ხერხდება მისი ამოღება. ასეთ შემთხვევაში ჩიყვის კვანძს კვეთენ და თითოთ აცილებენ კოლოიდურ მასას. თუ გარკვეული მიზეზების გამო მაინც არ ეწყობა ჩიყვის ამოღება, მაშინ მიმართავენ გადანაცვლების მეთოდს — თირეოპექსიას, ან ეკზოთირეოპექსიას.

თირეოპექსიის შესახებ პირველად აზრი გამოთქვა ბონეტმა (1883 წელს). იგი მდგომარეობს შემდეგში: ჩიყვს თავისი მდებარეობის ადგილიდან გადაიტანენ იქვე ახლოს და მიამაგრებენ კუნთზე ან კანზე. რაც შეეხება ეკზოთირეოპექსიას, ამ დროს ხდება ჩიყვის მთლიანი ან ნაწილობრივ ამოღება და კანზე მიამაგრება. ასეთი წესი კარგახანია მიტოვებულია, მას მხოლოდ ჩიყვზე ოპერაციის განვითარების ისტორიისათვის თუ აქვს მნიშვნელობა.

ჩიყვის ოპერაციების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მიექცეს ქვედა პოლუსის განთავისუფლებას, რადგან მოსალოდნელია შებრუნებული ნერვისა და სანშტრემის სხეულაკების დაზიანება. ამიტომ ქვედა პოლუსის მიდამოში ოპერაცია უნდა ვაწარმოოთ ფრთხილად და ნაზად. ქვედა პოლუსის ზედაპირზე ამოტანისას მოსალოდნელია სისხლ-ძარღვების ადვილად დაზიანება და კიბვის გამო, რაც წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული. ფარისებრი ჯირკვლის ქვედა არტერიების გადაკვანძვისას შეიძლება ლივატურაში მოყვეს სიმპათიკური ნერვის ტოტები. ამიტომ მიზანშეწონილია ავადმყოფი დავალაპარაკოთ სისხლ-ძარღვზე მომპერის დადების შემდეგ. თუ ხმის შეცვლას არა აქვს ადგილი, ვახდენთ გადაკვანძვას. ამით თავიდან ავიცილებთ შებრუნებული ნერვის დაზიანებას. ზოგიერთი ავტორი ამ ნერვის დაზიანების გვერდის ავლის მიზნით მიმართავს მის წინასწარ გამოყოფას, მაგრამ ეს მანიპულაცია არც ისე ადვილია. ნერვის ფუნქციის მოშლა შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე ოპერაციის შემდეგ შეხორცებებმა, დაჭიმვამ, სისხლჩაქცევებმა და სხვამ.

ოპერაციის შემდეგ შეიძლება მოხდეს ტრაქეომალაცია — სასულის გარბილება და მისი კედლების ჩაფუშვა, რასაც მოყვება სანათურის დავიწროება, ჰაერის გაუფალობა და ასფიქსია. ამ შემთხვევებში აუცილებელია ოპერაცია სასულეს გასწვრივ. კედლის ორივე მხარეზე ადებენ ნაკერებს, ამით მოპირდაპირე კედლები ერთმანეთს შორდება და ჰაერს ატარებს, იწყება სუნთქვის აღდგენა. მიმართავენ აგრეთვე სასულის წინა ჩაფუშული კედლის კუნთზე მიმაგრებას, რაც ტრაქეას წინა კედელს წევს ზევით და აფართოებს სანათურს. ზოგჯერ ზემოთ აღნიშნული მანიპულაციები უშედეგოა და ავადმყოფის გადასარჩენად აუცილებელია ტრაქეოტომია.

ქირურგიისაგან დიდ კლინიკურ გამოცდილებას, ოპერაციული ტექნიკის ღრმა ცოდნას მოითხოვს მკერდუკანა ჩიყვის ამოკვეთა. ამგვარი ჩიყვით დაავადებულს ზოგჯერ უეცრად ეწყება ასფიქსიის მოვლენები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მძიმე ფიზიკური მუშაობით, ან საერთოდ ორგანიზმის დაძაბვის შედეგად მომხდარი სისხლჩაქცევით პარინქიმაშით. ამ დროს ჩიყვი სწრაფად მატულობს მოცულობაში, აწყება ტრაქეას და აფერხებს სუნთქვას. ასეთი გართულება შედარებით იშვიათია. უფრო ხშირად ადგილი აქვს ემბოლიას, მეორად სისხლდენას და სხვა მოვლენებს. მკერდუკანა ჩიყვის ოპერაციის დროს უნდა გაკეთდეს ფართო განაკვეთი მკერდის უკანა არეში, რათა დოსტაქარმა თავისუფლად

იმუშაოს. საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მკერდის ძელოსტარის რეზექციას. არის მაგალითები, როდესაც ამ უკანასკნელი საშუალებითაც არ ხერხდება ჩიყვის ამოკვეთა, მაშინ, როგორც კოხერი გვირჩევს ჩვენების მიხედვით მარჯვნივ ან მარცხნივ მიდგომით ხსნიან შუასაყარს, იღებენ რამდენიმე ნეკს და ნაწილ-ნაწილ ამოკვეთენ ჩიყვს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სწრაფად ვითარდება ჩიყვის ქირურგიული მკურნალობა, რასაც ხელი შეუწყო. ანტისეპტიკისა და ასეპტიკის გარდა, ანატომიის საფუძვლებს შესწავლამ და ახალი საოპერაციო იარაღების შემოღებამ.

რუსეთში პირველად ჩიყვის ოპერაცია გააკეთა ნ. ი. პიროგოვმა 1847 წელს. 5 წლის შემდეგ ურალში ჩიყვის ოპერაციას აკეთებს ა. ა. მისლავსკი, უფრო მოგვიანებით, 1877 წელს კი ლისტერი, ხოლო 1884 წელს კოხერი. პირველი ოპერაცია ბაზედოვით დაავადებულ ავადმყოფს რუსეთში გაუკეთა ი. დ. სარჩინემა 1893 წელს. შემდეგ ვ. ი. რაზუმოვსკიმ 1897 წელს. ეს ის დროა, როცა საზღვარგარეთ (საფრანგეთში) ჩიყვის ოპერაციები აკრძალული იყო.

ფარისებრი ჭირკვლის ოპერაციები სირთულით განსხვავდებიან. როგორც ოპერატორისათვის, ისე ავადმყოფისათვის ოპერაცია ადვილია მაშინ, როდესაც საქმე ედგება უბრალო კვანძოვან ჩიყვთან. გაცილებით რთული და საპასუხისმგებლოა ქირურგიული ჩარევა დიფუზურ თირეოტოქსიკოზური ჩიყვის შემთხვევაში. ამიტომ თირეოტოქსიკოზური ჩიყვის ოპერაციის ტექნიკის გაუმჯობესების შესახებ საკითხი დაიწვა ჯერ 1925 წელს ქირურგთა მე-10 და შემდეგ მე-17 ყრილობაზე. რეკომენდებული იქნა მარტინოვის მიერ მოწოდებული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ფარისებრი ჭირკვლის ერთმომენტთან ორმხრივ რეზექციას ისე, რომ ქვედა ფარისებრი არტერიცა იზოლირებული წესით გადაკვანძვა არ ხდება.

საბჭოთა კავშირში ჩიყვის ოპერაციები კეთდება ფარისებრი არტერიების იზოლირებული წესით - გადაკვანძვით, ე. ი. ცალ-ცალკე ორი ზედა, ან ორი ქვედა წყვილისა, ან კიდევ, ოთხივეს ერთად. ამ მხრივ ავტორთა შორის ადგილი აქვს ანრთა სხვადასხვაობას. მაგალითად, მ. რ. ვებერი, ნ. ბ. შევანდანი, ა. პ. ნადეინი, რომანიაკი და სხვები ფარისებრი ჭირკვლია ორივე წილის სუბტოტალურ ექსტრაპაკიას აწარმოებენ ოთხივე ფარისებრი არტერიის იზოლირებულად გადაკვანძვით. პ. გ. ჩაპოვნიკოვი მხოლოდ ზემო ფარისებრი არტერიებს კვანძავს, ა. ფ. ანისიმოვი, ლ. ე. ლეპეშინსკაია, ა. კ. გორჩა-

კოვი, ე. ს. დრაჩინსკაია და სხვები—ზედა ფარისებრ არტერიებს, ავტორთა მეორე ჯგუფს ჩიყვზე ოპერაციების წარმოებისას მიზანშეწონილად მიაჩნდა ფარისებრი ჯირკვლის არტერიების გადაკვანძვა კათსულია შიგნით (ფ. ფ. ბრეიტფუაი, ნახაროვი, ბრეოსოვსკი, ნიკოლაევი და დრაჩინსკაია).

1954 წლის მონაცემებით, კარავანოვი, ბოგოსლავსკი, ე. ნ. შამოვი და სხვები ჩიყვის ოპერაციებს აკეთებდნენ ზედა ფარისებრი არტერიების გადაკვანძვით. იმის ნათლად წარმოადგენდა, თუ რომელ ანატომიურ ადვილებში წარმოებს ფარისებრი არტერიების გადაკვანძვა, ლიბრატემ კიარის მიდამო ფარისებრი ლეროდან ფარისებრ ჯირკვლამდე დაყო 4 მონაკვეთად. პირველი მონაკვეთი მდებარეობს ფარისების ლეროსა და ქვედა ფარისებრი არტერიის პირველი მეოთხედის ადგილას, მეორე მონაკვეთი — საძილე არტერიის ახლოს (მის უკან). მესამე მონაკვეთი — საერთო საძილე არტერიასა და ფარისებრ ჯირკვალს შორის, მეოთხე მონაკვეთი — ჯირკვლის ინტრაკათსულარულად.

1946 წელს კუბიშივის სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 45 კლინიკას დაუგზავნა ანკეტები, რათა დაედგინათ. უფრო მეტად რომელი მეთოდით კეთდებოდა ჩიყვის ოპერაციები ჩვენში. გამოირკვა, რომ ოპერაციების 50% ჩატარებულა ძველი მეთოდით — არტერიების იზოლირებულად გადაკვანძვით.

1951 წელს ასეთივე ანკეტები დაიგზავნა ჩვენი ქვეყნის მრავალ კლინიკასა და საავადმყოფოში. მიღებული ცნობებით გამოირკვა, რომ ქირურგთა უმრავლესობა ჩიყვის ოპერაციას აკეთებს ქვედა ფარისებრი არტერიების მანძილზე გადაუკვანძვად.

ამავე საკითხზე ო. ვ. ნიკოლაევი წერს, რომ 1951 წელს ა. ნიკანდროვის მიერ დაგზავნილი კლინიკური ანკეტების მონაცემებით, ქირურგთა უმრავლესობა ჩიყვის ოპერაციას აკეთებს ახალი წესით — ინტრაკათსულარულად.

უკრაინის ქირურგთა მე-8 ყრილობაზე, რომელიც 1954 წელს გაიმართა კიევიში, ქირურგიის სხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა ჩიყვოვანი დაავადებანი და მათი მკურნალობის მეთოდები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები. ჩიყვის გამოვლინებასა, დიაგნოსტიკასა და მკურნალობასთან დაკავშირებით წიკითხეს 15 მოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების 28 წამყვანმა ქირურგმა. ყრილობაზე გამოირკვა, რომ ჩიყვის ეტიოლო-

გის, პათოგენეზისა და ქირურგიული მკურნალობის საქმეში მოპოვებულია წარმატებანი.

ახლა თირეოტოქსიკოზების შემთხვევაში ოპერაციის ძირითად მეთოდად ითვლება სუბტოტალური რეზექცია. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქირურგი ჯერ კიდევ სხვანაირად აკეთებს ჩიყვის ოპერაციას. ასე. მაგ., გორჩაკოვს მიზანშეწონილად მიაჩნია სუბტოტალური რეზექცია ფარისებრი არტერიების ტოტების გადაკვანძვით მე-4 ფასციის ვისცელარულ ფურცლებთან. კარავანოვი ოპერაციას აკეთებს ისე, როგორც ნიკოლაევი. მისი აზრით, ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთა შაბლონურად არ უნდა წარმოებდეს. დ. ა. ვასილენკომ, ა. წ. აბრამოვამ და ე. ი. რუდენკომ სუბტოტალური რეზექცია ბევრ შემთხვევაში (50%) ფარისებრი არტერიების იზოლირებული გადაკვანძვით გააკეთეს. ნადეინმა 152 ოპერაციიდან 98 გააკეთა ოთხივე ფარისებრი არტერიის გადაკვანძვით. ზაიცევი აღნიშნავს, რომ მას სუბტოტალური რეზექცია არასოდეს არ გაუკეთებია ფარისებრი არტერიების იზოლირებული გადაკვანძვით. ვ. ნ. შამოვი მძიმე ფორმის თირეოტოქსიკოზების დროს ჯვირჩევს მრავალმომენტიან ოპერაციას. იგი ჯერ ცალ მხარეზე კვანძავს ერთ ფარისებრ არტერიას, ამით ამთავრებს ოპერაციის პირველ მომენტს. შემდეგ ქირურგიული ჩარევა გამოიხატება კიდევ რომელიმე არტერიის გადაკვანძვაში, ასე მიჰყვება და ავადმყოფი თანდათანობით გამოყავს მძიმე მდგომარეობიდან, საბოლოოდ კი აკეთებს სუბტოტალურ რეზექციას. ის მომხრეა აგრეთვე ოთხივე არტერია გადაიკვანძოს იზოლირებული წესით, რადგან, მისი აზრით, ასეთი მეთოდით წარმოებულ ოპერაცია არაერთარ საშიშროებას არ ქმნის ნერვული ქსოვილისა და სანშტრემის სხეულაკების დაზიანების მხრივ, თუ სისხლ-ძარღვეზს სათანადოდ დავამუშავებთ. შ. ჰოხლერი ოპერაციას აკეთებს ოთხივე არტერიის იზოლირებული გადაკვანძვით. მილკუს აზრით, ფარისებრი ჯირკვალზე ოპერაცია უნდა კეთდებოდეს ისე, როგორც ტვინის ქსოვილზე — ძალიან ფრთხილად, ნაზად და სრული ჰემოსტაზით. ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის ამოკვეთა ყოველთვის უნდა ხდებოდეს ზომიერად.

ჩიყვის ოპერაციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენებას და უკუჩვენებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ავტორთა დიდი უმრავლესობა ერთი აზრისაა.

ძირითადი ჩვენებანი და უკუჩვენებანი შემდეგია:

1. ოპერაცია უნდა გაკეთდეს ყველა ეუთიროიდული ჩაყვის

კვანძოვანი ფორმის დროს, რადგან ის ავთვისებიან სიმსივნისადმია მიღრეკილი და კონსერვატული მკურნალობა შედეგს არ იძლევა.

2. ეუთიროიდული დიფუზური ჩიყვის ოპერაცია უნდა გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც კონსერვატული მკურნალობა შედეგს არ იძლევა.

3. ოპერაცია აუცილებელია საშუალო ფორმის ჰიპერაიროფიზების შემთხვევაში, თუ მოკლე დროში კონსერვატულმა მკურნალობამ შედეგი არ მოუტოვა.

4. ოპერაცია უკეთდება ავადმყოფს, როცა სახეზეა ჩიყვის ჰიპერთიროიდული ფორმა.

აბსოლუტურ ჩვენებად უნდა ჩაითვალოს:

1. ყველა ისეთი ჩიყვი, რომელიც იწვევს ავთვისებიან სიმსივნეში გადაზრდის იქვს.

2. დამატებითი ფარისებრი ჯირკვლის შედეგად განვითარებული ჩიყვი, რომელიც, როგორც წესი, განიცდის ავთვისებიან გადაგვარებას.

კარავანოვს პირდაპირ ოპერაციულ ჩვენებად მიაჩნია მყვინთავი ჩიყვი. ოპერაციის პირობით ჩვენებად შეიძლება ჩაითვალოს კოსმეტიკური მოსაზრებანიც.

უკუჩვენება შეიძლება იყოს დროებითი (როცა ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია და გამოკეთებამდე არ უკეთდება ოპერაცია) და აბსოლუტური, როცა საქმე გვაქვს ისეთ ფორმასთან, რომელიც სრულიად უიმედოა და ოპერაცია უშედეგო იქნება.

თირეოტოქსიკოზების შემთხვევაში მოხუცებულობა უკუჩვენებად არ ითვლება.

ნიკოლაევის აზრით, ოპერაციული ჩარევის შედეგი უსათუოდ დამოკიდებულია ნაადრევ ოპერაციაზე, თუკა ოპერაციას, არ გამორიცხავს ავადმყოფის მძიმე, უიმედო მდგომარეობა.

კ. დ. ერისთავი გვიჩვენებს ფრთხილად განვიხილოთ ოპერაციის ჩვენების საკითხი მძიმე თირეოტოქსიკოზების შემთხვევაში, რადგან შედეგი ყოველთვის არ არის დამაკმაყოფილებელი. მისაზრით, კარგი შედეგი დამოკიდებულია ნაადრევ ოპერაციაზე, სანამ ორგანიზმში ჯერ კიდევ არ დასუსტებულა სარეზერვო ძალები.

ჩიყვის ოპერაციების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ქირურგიული მკურნალობის წინა. მოსამზადებელ პერიოდს, რაზეც ბევრად დამოკიდებულია ოპერაციის შედეგები.

ოპერაციის წინა პერიოდში ავადმყოფი ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი, მას უნდა ჩაუტარდეს მედიკამენტოზური და

სხვა მკურნალობა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფსიქოთერაპიას.

წინა საოპერაციო მოსამზადებელი პერიოდის შესახებ ქირურგთა შორის ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი. მათი უმრავლესობა ავადმყოფის მოსამზადებლად იყენებს როდეს მაკროლოზებში, რაც კარგ შედეგს იძლევა. ამ ბოლო დროს მოწოდებულია ნ-მეთილთიურაცლინით მკურნალობა. ეს პრეპარატი, ქირურგთა უმრავლესობის შეხედულებით, ეფექტური არ აღმოჩნდა, მაგრამ ზოგიერთი ავტორი (კარავანოვი, გორჩაკოვი და სხვები) თირეოტოქსიკოზებია დროს მაინც მიმართავენ მას.

ინგლისში ხმარობენ მეთილთიურაცლინს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — თიოურაცლინს. იყენებენ აგრეთვე ამ ნივთიერებათა სხვა პრეპარატს — იმიდაზოლს, რომელიც ნაკლებ გვერდითს მოვლენებს იძლევა. პირველ ხანებში ავადმყოფი დღე-ღამეში ერთჯერ ღებულობს იმიდაზოლის მაქსიმალურ დოზას — 0,5 მგ-ს, შემდეგ — 0,2 მგ-ს. მაქსიმალური დოზა ამცირებს ტოქსიკურობას და ავადმყოფი გადაჰყავს ეუთიროიდულ მდგომარეობაში. რომლის შესანარჩუნებლად მას ყოველდღე ესწევა 0,2 მგ იმიდაზოლი. მკურნალობა გრძელდება ოთხ-ექვს კვირას.

ტ. ლევიტის აზრით, თიოურაცლინი კარგ შედეგს იძლევა ავადმყოფის საოპერაციოდ მომზადებისას.

კარავანოვმა ოპერაციის წინ 22 ავადმყოფს გაუკეთა ვარსკვლავისებური კვანძის ბლოკადა ნოვოკაინით და კარგი შედეგი მიიღო.

პარზომენკო ავადმყოფის საოპერაციოდ მომზადებისას ხმარობს ჟანგბადს, რასაც თირეოტოქსიკოზებია დროს ნივთიერებათა ძირითადი ცვლა თითქმის ნორმალზე ჩამოჰყავს. თუ ოპერაციის შემდეგაც განვადგრობთ მსგავს მკურნალობას, თირეოტოქსიკოზის მოვლენები იშვიათად გამოაჩნდება პაციენტს.

თირეოტოქსიკოზების მძიმე შემთხვევაში ზოგიერთი ავტორი ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ იყენებს სისხლის გადასხმას სათანადო ჩვენების მიხედვით.

1957 წელს ამიერკავკასიის ქირურგთა მე-5 კონფერენციაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, კ. დ. ერისთავმა ილაპარაკა ჩვენთან რეოტოპური იოდით მკურნალობის ეფექტიანობაზე და საჭიროდ სცნო ამ ახალი მეთოდის ფართოდ დანერგვა თირეოტოქსიკოზებს მკურნალობის პრაქტიკაში.

ზ. მ. მამედოვი 1956 წლიდან რადიაქტიური იოდით მკურნალობს თირეოტიკოსიკოზით დაავადებულებს. მან უმეტეს შემთხვევაში მიიღო დამაკმაყოფილებელი შედეგი. ავადმყოფები ნაკლებად უჩიოდნენ დაავადების სიმპტომებს, დაეტყობო სულიერი სიმხნევე, გულსისხლ-ძარღვთა სისტემის მხრივ გაუმჯობესება; ქალებში აღინიშნა ნენსტრუაციის აღდგენა და ფარისებრი ჯირკვლის მოცულობის შემცირება. რაც შეეხება მკურნალობის შორეულ შედეგებს, ჯერჯერობით დასკვნები არ გაკეთებულა, რადგან დაკვირვება გრძელდება.

პოუტატი ოპერაციის წინა, მოსამზადებელ პერიოდში იყენებს ნეომერკუზალს, რომელიც მოწოდებულია ლეისონას მიერ 1954 წელს. ამ პრეპარატს ხმარობენ ყოველდღე შემდეგი დოზებით: მსუბუქი თირეოტიკოსიკოზების დროს 15 მგ., საშუალო თირეოტიკოსიკოზების შემთხვევაში 30 მგ.-ს, მძიმე ფორმის დროს 45 მგ.-ს. პოუტატის აზრით, ეს პრეპარატი ოპერაციის წინა პერიოდში აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას და ამცირებს ფარისებრი ჯირკვლის ენაკულარიზაციას.

შაინბერი ავადმყოფის საოპერაციოდ მომზადებას ანდომებს 10-14 კვირას. ამ ხნის განმავლობაში იგი პაციენტს, როგორც დამანევიდებელ საშუალებას, აძლევს კრუშინალს. მძიმე თირეოტიკოსიკოზების დროს, განსაკუთრებით დეკომპენსაციის ფაზაში კი უპირატესობას ანიჭებს დიდიტოქსინს.

ლევითი ავადმყოფს საოპერაციოდ მომზადების პერიოდში (ორი კვირის განმავლობაში) უტარებს იოდით მკურნალობას, რაც იწვევს ვასკულარიზაციისა და ფარისებრი ჯირკვლის ექსტრაგლანდულარული ნაწიბურების შემცირებას, რის შემდეგ თავიანთულად შეიძლება ჯირკვალზე ოპერაციის წარმოება. მილკუსა და სხვა რუმინელი ავტორების მიხედვით, თირეოდექტომია არ უნდა გაკეთდეს ნერვულ ფაზაში — ნეირო-ჰორმონალურ სტადიაში. მათი აზრით, თირეოტიკოსიკოზების ოპერაცია ძირითადად უნდა ჩატარდეს სიმპტომების სტაბილურად ჩამოყალიბების შემდეგ. მილკუს ავადმყოფის მოსამზადებლად საკმარისად მიაჩნია 7-დან-10 დღე.

პ. მარტინი ჰიპერთირეოზის დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავადმყოფის ექიმისა და დიეტის ნდობას. აგრეთვე დიეტას. მას კარგი შედეგები მისცა ბაზედოვით დაავადებულთა მკურნალობამ რადიაქტიური იოდით. ამ პრეპარატის კვანძოვანი ჩიყვის მკურნალობისას კი ფიქსირებულია არადამაკმაყოფილებელი შედეგები. მარტინს რადიაქტიური იოდით მკურნალობა მიზანშეწონილად მიაჩნია 25-დან—30

წლის ასაკს ზევით, რადგან ეს პრეპარატი შეიძლება ხელს უწყობდეს კიბოს განვითარებას.

შ. ჰოხლერი ბაზედოვით დაავადების (ჩიყვიანობის) შემთხვევაში ხმარობს იოდის ნაყენს შემდეგი დოზებით: პირველ დღეს 5 წვეთი 3-ჯერ დღეში, მეორე დღიდან უმატებს თითო წვეთს, ვიდრე არ მიაღწევს 15 წვეთს.

მილკუს ჰიპერთირეოზის დროს დამაკმაყოფილებელი შედეგი მიუღია ქლორპრომაზონის პრეპარატით, რომელიც, მისი დაკვირვებით, აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას ნერვული სისტემის მხრივ და აქვეითებს ძირითად ცვლას. ეს პრეპარატი შეჰყავთ ვენაში ყოველ 12 საათში 25-მგ-ის რაოდენობით.

ა. ვ. პერცლერი თირეოტოქსიკოზური ავადმყოფების საოპერაციოდ მომზადებას განიხილავს დაავადების სიმძიმის მიხედვით და შესაბამისად უტარებს მათ სათანადო მკურნალობას. შედარებით ტოქსიკური და არატოქსიკური ფორმების შემთხვევაში ის ავადმყოფს უნიშნავს წოლით რეჟიმს, ბრომნატრიუმს 20 მგ 3-ჯერ დღეში, ლუგოლია ხსნარს 10 წვეთს 3-ჯერ დღეში და ნახშირწყლოვან დიეტას.

ტოქსიკური ფორმების დროს პერცლერი გვირჩევს ზემოაღნიშნულის გარდა ავადმყოფს მიეცეთ ვიტამინი „ბ“ 3-ჯერ დღეში, ორ-ორი კაფსულა თიამინქლორიდი 3-ჯერ დღეში (თვითეული კაფსულა შეიცავს 1 მგ რიბოფლავინს და 333 მგ ნიკოტინის მყავას), აგრეთვე 10 გრ კუქის წვენი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ, ღვისლის ექსტრატი 1-2 გრ დღეში, 2 დრაჰმა გლიცინი საკმელთან ერთად 3-ჯერ დღეში, ინსულინი 5 ერთეული ჭამის წინ. 1 ლიტრი 10%-იანი გლუკოზა ვენაში 20 ერთეულ ინსულინთან ერთად 3 დღის განმავლობაში ოპერაციის წინ.

კარდიალური ფორმის დროს. დეკომპენსაციის შემთხვევაში, ავადმყოფს დამატებით უნდა მიეცეს დიგიტალისი და სითხის მიღება განესაზღვროს. საჭიროა უმარილო დიეტა, ქლორიანი კალიუმი და გლიცერინი 2-2 დრაჰმა 3-ჯერ დღეში, ნახევარი უნცი-დექსინი ხილის წვეწოან ერთად 3-ჯერ დღეში და ინსულინი 5 ერთეული 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ოპერაციის წინა დღით ავადმყოფის მომზადება ხდება ასე: ერთი ლამით ადრე უკეთდება საპნიანი ოყნა, ახალგაზრდა ან შუა ხნის ავადმყოფებს ეძლევათ 3 გრამი ამიტალი, მოხუცებს — 1,5 გრ. მეორე დღეს დილით პირველი ორი ასაკის ავადმყოფებს ეძლევათ 6 გრ ამიტალი, 1,6 გრამი მორფიუმი, გარდა ამისა, ოპე-

რაციის წინ ერთ-ორი საათით ადრე ღებულობენ ამიტალსა და მორფიუმს თითქმის იმავე დოზით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული.

ოპერაციის შემდეგ, იმავე დღეს, ავადმყოფებს კანქვეშ უკეთებენ ფიზიოლოგიურ ხსნარს, ხოლო ტკივილების შემთხვევაში — ნორფიუმს. მეორე დღეს კუნთში შეჰყავთ 1 გრ კოდეინი და სწორ ნაწლავში — 8 კუბ სმ ლუგოლის ხსნარი 500 კუბ. სმ თბილი წყლით. ტოქსიკურ ავადმყოფებს ეძლევათ აგრეთვე 10 წვეთი ლუგოლის ხსნარი 3-ჯერ დღეში.

ჩიყვის ქირურგიულ მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ანესთეზიას. ჩვენში ძირითადად მიღებულია ადგილობრივი ანესთეზია ნოვოკაინის 0,5%/0-იან, ან 0,25% ხსნარით — ვიშნევსკის წესით. კარგ ანესთეზიაზე ბევრად არის დამოკიდებული ოპერაციის შედეგები, მითუმეტეს მაშინ, თუ საქმე გვაქვს თირეოტოქსიკოზურ ჩიყვთან. ანესთეზიის მიზანია მინიმუმადე დაიყვანოს ტკივილები, აღკვეთოს რეფლექსოგენური მიდამოს გაღაზიანება.

ო. ვ. ნიკოლაევი გვიჩვენებს ფარისებური ჯირკვლის მე-4 ფასციის სრულ ინფლტრაციას ნოვოკაინის ხსნარით, რომლის დროსაც საანესთეზიო ნივთიერება გადადის ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილში და იწვევს საოპერაციო არის მთლიან ბლოკირებას. ეს მარება აგრეთვე რეგიონული ანესთეზია, რომელსაც მიმართავს ზოგიერთი ქირურგი გარკვეული ჩვენების დროს.

შ. რ. თოფურიას აზრით, პატარა მოცულობის კვანძოვანი ჩიყვის შემთხვევაში შეიძლება გაკეთდეს რეგიონალური ანთეზია კისრის ზედა წნულში. წინათ, გაშონაკლის შემთხვევებში, ოპერაციები კეთდებოდა ეთერისა და ქლოროფორმის ზოგადი ნარკოზით. ამ მხრივ ცნობილი იყო ლეპეშინსკაია, მაგრამ ამ ბოლო ხანებში იგი დარწმუნდა ადგილობრივი ანესთეზიის ინფლტრაციული წესის უპირატესობაში და მიატოვა გაუტკივარების ძველი მეთოდი. ლოკალური ანესთეზიის მომხრეებია აგრეთვე საზღვარგარეთელი ავტორები: ჰობლერი, ბურგშტრომი, მილკუ, ჰერცლერი და სხვები.

ჩიყვის ოპერაციის დროს მოსალოდნელია მრავალი გართულება, მათ შორის აღსანიშნავია შებრუნებული ნერვის დაზიანება, რაც წინათ 4-დან 14% შეადგენდა. ამჟამად გართულების ეს სახე მკვეთრად შემცირდა მელიხოვის მონაცემებით იგი 1% არ აღემატება. ნიკოლაევს 1500 ოპერაციაზე არც ერთი გართულება არ ქონია. ჰობლერის მიერ ნაოპერაციევი 2195 ავადმყოფიდან შებრუნებული ნერვი დაზიანებია მხოლოდ ორს, ხმა შეცვლია 17.

ოპერაციის დროს ზოგჯერ ადგილი აქვს სანშტრემის სხეულაკების დაზიანებას. მსგავსი შემთხვევები წინათ 4% შეადგენდა. ამჟამად კი სისხლ-ძარღვების ახალი მეთოდით დამუშავებისა და ოპერაციის ტექნიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ბევრად შემცირდა. შედარებით იშვიათია სასულეს დაზიანება. ი. ვერბიუსკი აღწერს ოპერაციის შემდეგ ტრაქეის შევიწროებას, გამოწვეულს შემუშებებით, მექანიკური ზეგავლენით და სხვა. ოპერაციის შემდეგ მოსალოდნელია აგრეთვე ტრაქეის ჩაფუშვა და გაყინებადების მოშლა, რასაც თან სდევს ციანოზი და სუნთქვის გახშირება. თუ ავადმყოფს ოპერაციის შემდეგ დაეწყო ციანოზი და არ ხდება მისი უკუგანვითარება, ვერბიუსკი საჭიროდ თვლის ტრაქეოტომიას. იგი გვირჩევს განაკვეთი გავაკეთოთ ნაოპერაციევი ქრილობის ქვემოთ და რაც შეიძლება პატარა, რადგან მოსალოდნელია ქრილობაში ინფექციის შეჭრა. აღწერილია ოპერაციის დროს შიგნითა საულლე ვენის ნემსით დაზიანებისა და ასფიქსიის შემთხვევები. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს არა მარტო მექანიკური ზეგავლენის, არამედ ხმოვანი იოგის სპაზმის, ან კიდევ, შებრუნებული ნერვის ტრავმისა და გაღიზიანების დროს.

ჩიყვის ოპერაციის მსვლელობაში ადგილი აქვს აგრეთვე ჰაეროვან ემბოლიას. 1937 წელს ნიკოლაევი აღწერს ჰაეროვანი ემბოლიით სიკვდილის მხოლოდ ერთ შემთხვევას.

პ. კიბერის მიხედვით 15700 ოპერირებულ ავადმყოფიდან 16 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ჰაეროვან ემბოლიას, რომელიც განვითარებულა კაფსულის, გვერდითს და დიდი კალიბრის ვენებში. კიბერის აზრით, ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ შესაძლებელია ემბოლია განვითარდეს აგრეთვე სადრენაჟო მილიდან. ემბოლიის თავიდან აცილების მიზნით გაგანიერებული ვენები ჭერუნდა გადაიკვანძოს და შემდეგ გადაიკვეთოს, რადგან მოსალოდნელია ჰაეროვანი ემბოლია ვენების სანათურებიდან. ოპერაციის შემდეგ არასაკმარისი ჰემოსტაზის გამო შესაძლებელია ქსოვილებში განვითარდეს სისხლჩაქცევები, მოსალოდნელია აგრეთვე მეორადი სისხლდენა. ოპერაციას ზოგჯერ თან ერთვის პნევმონია, შოკი, სეფსისი, ფლეგმონა და სხვა. ზემოაღნიშნული გართულებების შემდეგ შეიძლება ავადმყოფი გამოკეთდეს, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში, ყოველგვარი ზომების მიუხედავად, ადგილი აქვს სიკვდილს.

ბურშტრომის ცნობებით, ჩიყვის ოპერაციის დროს სიკვდილიანობა შეადგენს 3,6%; შაიხერით — 0,87% (მძიმე ფორმების დროს კი — 4,7%), ბროუნის მიხედვით (უბრალო ჩიყვის

შემთხვევაში) — 0.5%₀; პერცლერის მიერ გაკეთებული 500 ოპერაციიდან 12 დამთავრებულა სიკვდილით. იგი ყველა შემთხვევაში სიკვდილის მიზეზს უკავშირებს გულის უკმარისობას და უარყოფს ტოქსიკური კრიზით გამოწვეულ სიკვდილს (ოპერაციის შემდეგ პერიოდში ტოქსიკური კრიზი იშვიათი შემთხვევაა). პერცლერის აზრით, ხშირად სიკვდილის მიზეზია ტრაქეის დაცობა, რაც შეიძლება მოჰყვეს ტრაქეის კოლაფსს.

ჩვენში ჩიყვის ოპერაციების დროს სიკვდილიანობისა და ჩიყვის რეციდივებას შესახებ შემდეგი სურათი გვაქვს: იხ. ცხრილი № 1.

ცხრილი № 1

ავტორთა დასახელება	სიკვდილიანობა პროცენტებში	რეციდივი პროცენტებში
ნიკოლაევი	0.4	0,3
მიტიუშინი	1,8	
უსოვა	2,5	
შამეღოვი	2,5	
თოფუოია	0,6	3,8
კარავანოვი	0,4	
გნილორბოვი	0,5	2,1
უკლება	0.4	

ყველა ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირში თირეოტოქსიკური ჩიყვის ქირურგიულა მკურნალობის ძირითად მეთოდად აღიარებულია ფარისებრი ჯირკვლის სუბტოტალური ინტრაკაპსულარული რეზექცია, რომელიც ხასიათდება ნაკლები გართულებებით და კარგი შორეული შედეგებით.

აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების გავრცელების მოკლე მიმოხილვა

აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების არსებობა გარკვეულ პერიოდამდე არ იყო ცნობილი. აქ ჩიყვის კერების წარმოშობა. გეოგრაფიულ-გეოლოგიურ პირობებს გარდა, უდავოდ დაკავშირებული უნდა იყოს ისტორიულ ვითარებასთან.

როგორც ცნობილია, საქართველოს ამ კუთხეს 300 წლის განმავლობაში არბეკდნენ თურქ ბარბაროსთა ურდოები. ისინი განუწყვეტელი თარეშითა და ძარცვა-გლეჯით აწიოკებდნენ მოსახლეობას, აჩანაგებდნენ სოფლის მეურნეობას, მიწასთან ასწორებდნენ ქართული კულტურის ძეგლებს. განუწყვეტელმა ომებმა მოსახლეობის განუკითხავმა რბევამ და ისლამის ცეცხლითა და მახვილით გავრცელებამ დასცა ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ხალხის ფიზიკური და სულიერი დაძაბუნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების გაჩენა-გავრცელებას, რისთვისაც აქ (განსაკუთრებით ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში) გეოგრაფიულ-გეოლოგიური გარემო თავიდანვე არსებობდა.

გასულ საუკუნეში აჭარაში ჩიყვის არსებობაზე მიუთითებს გიორგი ყაზბეგი, რომელმაც 1876 წელს სამ თვეს იმოგზაურა ამ კუთხეში. იგი წერს: „აჭარის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ დაავადებათაგან უნდა მოვიხსენიოთ ჩიყვი. ამ სენით შეპყრობილი შეიძლება შეგვხვდეს თვით საუკეთესო გვარეულობაშიაც“.

როგორც ყაზბეგის გადმოცემიდან ჩანს, ჩიყვი უფრო გავრცელებული ყოფილა აჭარის მოსახლეობის დაბალ, ღარიბ ფენებში. საზოგადოების მაღალ წრეებში (ალა-ბეგები), სადაც ეკონომიურად უფრო შეძლებულად ცხოვრობდნენ, ჩიყვით ნაკლებად ავადდებოდნენ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის ეკონომიურ პირობებს სათანადო მნიშვნელობა ჰქონია ამ სენით დაავადებაში.

აქარაში ჩიყვის არსებობაზე მოგვითხრობს აგრეთვე ქართული ეთნოგრაფი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია, რომელმაც ამ კუთხეში იმოგზაურა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. წიგნში „მოგზაურობანი“ იგი წერს, „ჰაერი აქარისა საზოგადოდ მეტად მრთელია. არის რამდენიმე სოფელი, სადაც ციება ზაფხულობით საკმაოდ სტანჯავს სოფლელთ. ასეთი სოფლები (შუახევი, ხიკაური), მეტად ჩავარდნილ ადგილებში არიან გაშენებული, წყლის პირას, თითქმის ყოველ მხრიდან კლდეებით არიან შემოზღუდულნი და ჰაერის მოძრაობა მეტად შეჩერებულია. ციების გარდა ზოგიერთ სოფელში (მერისი და ცხმორისი — ქვემო აქარაში, ღორჯომი — ზემო აქარაში) ჩიყვიც არის სოფლელთა შორის. ზოგიერთს ცხვრის ღუმასავით დაჰკიდებია კისერზე ჩიყვი და თავის თავისუფალ მოძრაობას უშლის. თვითონ ამ ჩიყვიანებს შორის კაცი იდიოტებსაც შეხვდება. წმინდა ალაგობრივი სატიკვრები ესენია“.

სოფელ ღორჯომის მცხოვრებთა შესახებ სახოკია შემდეგს გადმოგვცემს: „არის აქ ერთადერთი სატიკვარი — თიადორა. აქაურს ყიყვი გამოუვა ყელში, ეზრდება და, ბოლოს, დიდ ლაბაბსავით დაათრევს. ზოგს ისე დიდი აქვს, რომ წვერის მსგავსად მთელ გულს უფარავს. ვინც ყიყვიანია, ფერი არ ადევთ, სისხლნაკლებიანი არიან. ერთი შემხვდა ღორჯომში ყიყვიანი, ყრუც იყო და მუნჯიცა, მაგრამ მისი სიმუნჯე და სიყრუვე იქნება სხვა მიზეზებისაგან ყოფილიყო. ამბობენ, რომ ქალებშიაც შეხვდება კაცი ყიყვიანებსო. აქეთკენ, როგორც მთა-ადგილებში, ხშირია ეს ავადმყოფობა. ბევრნაირი ჰიპოთეზაა ამ სატიკვრის შესახებ. მიზეზად ზოგი იმას ასახელებს, რომ სოდის მარილის ნაწილები აქაურ წყალს ნაკლებად აქვსო. ზოგი იმითა ხანის, რომ აქაურ მცენარეულობაში იოდი ცოტა არისო. ეს სატიკვარი, როგორც ვიცი, სვანეთშიაც ხშირია. ამბობენ, კირის კლდეების სიბევრეც არის ყიყვის მიზეზი-ო“.

ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში ყოფნისას სახოკიას ქართული ისტორიული ნაშთების აღწერასთან ერთად ყურადღება მიუქცევია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვისაც. ამასთან დაკავშირებით იგი გადმოგვცემს: „სოფელში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას ერთბაშად იპყრობს აქაურების დაავადებული ჯახე. წამლად ერთ ადამიანს ფერი არა აქვს. ყველანი დაჩიყვიანებულია, უმეტესად ქოსანი არიან, თითქო ეს არის სამარიდან ამოულიათო, ძლივს დადიან, მიხვრა-მოხვრასა და ლაპარაკში სიცოცხლე აკლიათ. 10 კაცი ვნახეთ და მათ შორის 4 უშველებელი ჩიყვი ჩამოკიდებოდა

კისერზე ცხვრის ღუმასავით, 2 იდიოტიც ერიათ, პირზე განუწყვეტლად დორბლი ჩამოსდიოდათ“.

ჩიყვით დაავადება და ენდემიური კერების გავრცელება აქარელ მოსახლეობას ფიზიკური და გონებრივი გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა, ამის მიუხედავად, ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობდა ამ სენის წინააღმდეგ. აქ მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმეს „განაგებდნენ“ ხოჯები, მოლები და ექიმბაშები.

აქარაში ჩიყვის ენდემიური კერების გამოვლინება და შესწავლა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ჩიყვის ენდემიური კერების გამოვლინებისა და შესწავლის შესახებ პირველად საკითხი დაისვა 1925 წ. დასავლეთ კავკასიისა და შავი ზღვის სანაპიროების მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობაზე. რომელიც ქ. ბათუმში გაიმართა. ყრილობის მიზანი იყო საქართველოში ჩიყვის ენდემიური კერების გამოვლინება და მის წინააღმდეგ ბრძოლა. ყრილობაზე გამოითქვა აზრი აქარაში (ქვემო და ზემო აქარაში) ჩიყვის ენდემიური კერების არსებობის შესახებ. მართლაც, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაასახელეს ჩიყვით დაავადებული ადგილები სოფ. მერისში (ქედის რაიონი) და სხალთის ხეობაში (ხულოს რაიონი).

იმავე წლის შემოდგომაზე აქარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის დაჯალებით ზემო აქარაში ჩიყვის ენდემიური კერების გამოსავლინებლად გაიგზავნა ექიმი ტ. ლლონტი. რომელმაც შეამოწმა რამდენიმე სოფელი და დიდი რაოდენობით გამოავლინა ჩიყვით დაავადებულები. ამის შესახებ მან წინასწარი ცნობები გამოაქვეყნა გაზეთ „ფუხარაში“ 1926 წ.

აქარაში ჩიყვის ენდემიური კერების არსებობის შესახებ ცნობები შეკრებილი ჰქონდა აგრეთვე ექიმ ი. კობალაძეს.

მომდევნო წლებში ენდემიური ჩიყვით დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან ძლიერდება.

1927 წ. სრულიად საქართველოს მკურნალთა მე-4 სამეცნიერო კონგრესზე აქარის ექიმთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს აქარაში ჩიყვისა და ჩიყვიანობის უფრო ფართო მასშტაბით გამოკვლევის მიზნით. სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა. ამ ღონისძიების განსახორციელებლად წინასწარი მუშაობა წარმოებდა ქ. თბილისში. მასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესორები ალექსანდრე ნათიშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი და სპირიდონ ვირსალაძე. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ

და აქარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა ექსპედიციის მუშაობისათვის გამოჰყვეს სათანადო თანხები. ექსპედიციამ ფულადი დახმარება მიიღო აგრეთვე წითელი ჯვრის საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან.

ექსპედიცია შედგებოდა შვიდი წევრისაგან: ი. ასლანიშვილი (ხელმძღვანელი), გ. გოგოლაძე, დ. ბერეჟიანი, ა. რუხაძე, თ. მდივანი, გ. ინასარიძე და ვ. თელაშვილი. თვითეულ მათგანს მიეცემული ჰქონდა სამუშაო თემა. „ჩიყვი და ჩიყვიანობა აჭარაში, მისი გავრცელების მიზეზები“ (ასლანიშვილი), „ჩიყვისა და ჩიყვიანობის გავლენა ქალთა სასქესო ორგანოების ფუნქციაზე აჭარაში“ (ბერეჟიანი), „სისხლის ერითროციტების დალექვის რეაქცია, სისხლის წნევა და ფორმული ელემენტების შემადგენლობის ცვლილებები ჩიყვიან აჭარელთა შორის“ (გოგოლაძე), „კრეტინიზმისა და ჩიყვმყოლი სხვა დაავადებანი აჭარაში“ (რუხაძე), „ხალხთა ზნეჩვეულებანი და მისი ეკონომიური პირობები აჭარაში“ (ინასარიძე), „ბავშვთა ჩიყვი აჭარაში“ (მდივანი).

ექსპედიცია მუშაობას შეუდგა 1927 წლის ივნისში ქედის რაიონში. პირველი დღეებიდანვე ნათელი გახდა ჩიყვიანობის გავრცელების სურათი და საბოლოოდ დადასტურდა ჩიყვის ვრცელი ენდემიური კერების არსებობა აჭარაში.

ექსპედიციის მუშაობის ანგარიშის წარდგენის შემდეგ საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭომ და აქარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა გადაჭრით დასვეს საკითხი რესპუბლიკაში ჩიყვის ენდემიური კერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

აჭარაში ენდემიური ჩიჟვის შესწავლის მეთოდობა

1925 წლის შემოდგომაზე აჭარის მაღალმთიან რაიონებში ჩიჟვის გამოსავლინებლად გაიგზავნა ექიმი ტ. ლლონტი. ეს იყო აჭარის ენდემიური კერების გამოკვლევის პირველი ცდა.

ექ. ტ. ლლონტმა მოიარა ზემო აჭარის რამდენიმე სოფელი. სადაც, გადმოცემით, ბევრი იყო დაჩივიანებული. იგი დადიოდა ოჯახიდან ოჯახში და უშუალოდ ამოწმებდა ავადმყოფებს, ამასთან, კითხვარებში შექონდა სათანადო აღნიშვნები. ასე კარდაკარ ჩამოვლით გასინჯული 460 მცხოვრებიდან დაჩივიანებული აღმოჩნდა 176, ე. ი. 38%.

ექიმ ლლონტის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას არ შეეძლო აჭარაში ჩიჟვის გავრცელების ნათელი სურათის მოცემა, რადგან შეუძლონებელი დარჩა მაღალმთიანი რაიონების სხვა მრავალი სოფელი. გარდა ამისა, თვით ჩამოვლილი მოსახლეობაც ვერ იქნა სათანადოდ შესწავლილი. ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ ესოდენ შრომატევადი საქმე დაკისრებული ჰქონდა ერთ კაცს, ამასთან, მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით ქალები, სრულიად გაურბოდნენ ექიმს. ამიტომ ტ. ლლონტს ბევრგან ჩივიანებზე ცნობების შეკრება უხდებოდა ზეპირი გამოკითხვით.

აჭარაში ჩიჟვის დაავადების სიხშირე და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება მოითხოვდა უფრო ენერგიული ზომების მიღებას, ჩიჟვის ენდემიური კერების ზუსტად დადგენას. ამ მიზნით 1927 წელს მოეწყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოცენტი ასლანიშვილი. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული კლინიკის გამგის პროფესორ ალექსანდრე მაკავარიანის მითითებით შეადგინა ექსპედიცია, რომელიც დაკომპლექტდა სათანადო სპეციალობის მქონე შვიდი მუშაკისაგან.

ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო 1927 წლის ივლისში. იგი და-
ბანაკდა ქვემო აჭარის რაიონულ ცენტრში — ქედაში.

ექსპედიციის თვითეულ წევრს მანდობილი ჰქონდა ცალკე
თემსაბჭო და მასში შემავალი სოფლების გამოკვლევა კარდაკარ
შენოვლით. ექსპედიციის მონაწილენი ყოველი 4-5 დღის შემდეგ
იკრიბებოდნენ დაბა ქედაში და აჯამებდნენ მასალებს ჯერ სოფლე-
ბის, შემდეგ თემსაბჭოების მიხედვით და გამოჰქონდათ სათანადო
დასკვნები.

პირველმა სამეცნიერო ექსპედიციამ საბოლოოდ დაამტკიცა
აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების ფართო გავრცელება.

მომდევნო წლებში შექმნილი ვითარების გამო საჭირო გახდა
მოსახლეობის ხელახალი გამოკვლევა. ამ მიზნით 1949 წლის ზაფ-
ხულში მოეწყო მეორე, შედარებით უფრო ფართო მასშტაბის ექს-
პედიცია.

ექსპედიციამ პირველად მუშაობა გაშალა ჩიყვის ენდემიურ
კერებში — ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში; მუშაობის
შემდეგ ეტაპზე შესწავლილ იქნა ქობულეთისა და ბათუმის რაიონ-
ები ქალაქების — ბათუმისა და ქობულეთის ჩათვლით.

ექსპედიციას საერთო ხელმძღვანელობას უწევდა აჭარის
ასსრ-ის მთავარი ქირურგი ვ. მაქაცარია, ხოლო ადგილებზე ქი-
რურგებთან ორგანიზაციული და მეთოდური დახმარების გასაწე-
ვად მიმაგრებული ვიყავი მე.

ექსპედიციის მუშაობის პერიოდში ადგილებზე შეიქმნა ჩიყვის
გამოსავლინებელი კაბინეტები და ექიმთა ბრიგადები. მუშაობის
უფრო ორგანიზებულად წარმართვის მიზნით რაიონები დაიყო სა-
ექსპედიციო უბნებად. ქედის რაიონი დაიყო ექვს საექსპედიციო
უბნად, ხულოს რაიონი, რომელშიც მაშინ შუახევიც შედიოდა, —
რვა უბნად.

ექსპედიციის მუშაობის მთელ პერიოდში მოსახლეობაში სის-
ტემატურად ეწყობოდა ლექცია-საუბრები სანიტ-ჰიგიენურ თემებ-
ზე. ჩიყვის ფორმების სწორად გამოცნობისა და სათანადო პროფი-
ლაქტიკის ჩატარების მიზნით კონსულტაციები უტარდებოდა სამე-
დიცინო პერსონალს.

1949 წლის ექსპედიციის ანგარიშის წარდგენის შემდეგ აჭა-
რის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დასახა სათანადო ღონის-
ძიებანი და შექმნა დაჩიყვიანების წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრა-
ლური კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა აჭარის ჯანმრთელო-
ბის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. პერტია. კომისიის შე-

მადგენლობაში შედიოდნენ რესპუბლიკის მთავარი ქირურგი ვ. ოთხმეზური, მთავარი თერაპევტი ნიკოლაიშვილი, მთავარი გინეკოლოგი გ. ზეჩინაშვილი, ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ქირურგი ვ. მერაბიშვილი. რესპუბლიკის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი ორდინატორი ა. დიააშიძე და ქალაქისა და რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეები. რესპუბლიკური საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების უფროს ექიმს ლ. ჩარკვიანს დაევალა საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში გამოეყო ათი საწოლი ჩიყვით დაავადებულთა კლინიკური შესწავლისა და ოპერაციული მკურნალობისათვის.

აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე შემუშავებული იქნა ბათუმისა და ქობულეთის ექსპედიციის შემდგომი მუშაობის ღონისძიებანი. ისე როგორც ქედა და ხულო, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებიც დაიყო საექსპედიციო უბნებად, რომელთა მიხედვით წარმოებდა მოსახლეობის გამოკვლევა.

ექსპედიციის მონაწილე ექიმები ჩიყვიანება ავლენდნენ კარდაკარ ჩამოვლით, მოსახლეობას უტარებდნენ სანიტარულ-საგანმანათლებლო ლექცია-საუბრებს და რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; ჩიყვიან ავადმყოფებზე ივსებოდა სპეციალური ანკეტა, რომელიც შემუშავებული იყო საქართველოს ჩიყვის დისპანსერის მიერ.

მომდევნო წლებში შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა აჭარის მოსახლეობის ხელახალი გამოკვლევა. ახალმა, მესამე ექსპედიციამ, რომელიც 1954 წლის გაზაფხულზე მოეწყო, მიზნად დაისახა წინა წლებში ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგების დაზუსტება და არსებული მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლა, გარდა ამისა, გზადაგზა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აჭარის მთავარი ქირურგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ. გიორგაძე. ექსპედიციის სამუშაო გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი დაჩიყვიანების გამოვლინების გარდა, მოსახლეობაში სანიტარული განათლების ღონისძიებათა გატარებას.

1954 წლის ექსპედიციას წინ უძღოდა წინასწარი სამუშაოები, რომელთა მომზადებაში სათანადო დახმარება გაავიწია პრესამ.

რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებში პერიოდულად ქვეყნდებოდა წერილები. აჭარის ექიმთა საზოგადოების შრომებში იბეჭდებოდა ვრცელი სტატიები, გამოდიოდა ბროშურები.

აღსანიშნავია, რომ აპარის ჩიყვის ენდემიური კერების ლიკვიდაციის მიზნით 1953 წელს ქალაქ ბათუმში გაიხსნა ჩიყვის რესპუბლიკური დისპანსერი.

მესამე ექსპედიციის დროს, ისე როგორც წინა ექსპედიციების პერიოდში, ადგილი ჰქონდა რიგ დაბრკოლებებსა და სიძნელებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ჩვენს მიერ მოსახლეობის მთლიანი შესწავლა მაინც ვერ მოხერხდა. ამ მხრად უმთავრესად ხელს გვიშლიდა ის, რომ მაღალმთიან სოფლებში, განსაკუთრებით აპარელ ქალთა შორის, ჯერ კიდევ ბოგინობს ისლამისდროინდელი გადმონაშთები. ისინი თავიანთ ავადმყოფობას უმაღლეს ექიმს, განსაკუთრებით ექიმ მამაკაცს, რადგან ჩიყვი მიაჩნიათ ძალიან სამარცხვინო დაავადებად. მკურნალობა კი — ცოდვად.

გავითვალისწინეთ რა მოსახლეობის ამ ნაწილში (უმთავრესად ხანშესულ ქალებში) ისლამის გადმონაშთების არსებობა, მივმართეთ შემდეგ ხერხს: განვაცხადეთ, რომ საექიმო პერსონალი ავლენს კისრის ლიმფური ჯირკვლების დაავადებას და არა ჩიყვს, და ჩიყვის წახედა საერთოდ შეეწყვიტეთ. მოსახლეობისადმი ამგვარმა მიდგომამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ბევრი იმ ავადმყოფთაგანი, რომელიც მანამდე თავს გვარილებდა.

1954 წელს ექსპედიცია ჩიყვიანების აღსარიცხავად იყენებდა სპეციალურ ბარათს, როელიც დამტკიცებული იყო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ (ფორმა № 168). ამ ბარათიდან მასალები გადაჰქონდათ სპეციალურ ანექტებში, რომლებშიც ნაჩვენები იყო სოფლის როგორც კომლთა, ისე მცხოვრებთა რაოდენობა. დაჩიყვიანებულთა რიცხვი, სქესი და აააკი. ავადმყოფთა რიცხვის შეჯამება ხდებოდა ჯერ სოფლების, შემდეგ კი სოფლსაბჭოების მიხედვით. სოფლსაბჭოების მონაცემების შეკრებით ვლენბულობდით ჩიყვით დაავადებულთა რაოდენობას რაიონული მასშტაბით, ამ უკანასკნელთა მონაცემების შეჯამებამ კი მოგვცა რესპუბლიკაში ჩიყვის გავრცელების სრული სურათი.

აჭარაში ჩიყვის ენდემიურ კერებში ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებანი

აჭარაში ჩიყვის გამოვლინებისა და შესწავლის მიზნით 1927 წ. მოეწყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც ძირითადად გამოიკვლია რესპუბლიკის მთიანი რაიონების მოსახლეობა და აღასტურა იქ ენდემიური კერების არსებობა.

აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების გამოვლინებიდანვე იწყება სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება. რასაც 1949 წლამდე არ ჰქონდა სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი. ამას ძირითადად ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, იოდირებული მარილების პრიმიტიული წესით მომზადება, ხოლო, მეორე მხრივ, დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით, ექიმთა უმრავლესობის საბჭოთა არმიაში ყოფნა.

აჭარის ენდემიურ კერებში ჩიყვის მკურნალობას ძირითადად შიმართავდნენ კონსერვატული და ქირურგიული მეთოდებით. ქირურგიული ჩარევა წარმოებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივად კონსერვატული მკურნალობა შედეგს არ იძლეოდა.

აჭარაში თავიდან ჩიყვის წინააღმდეგ მიმართულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ისეთი წარმატება არ ჰქონია, როგორც საქართველოს სხვა ენდემიურ კერებში, მაგალითად, სვანეთში. იქ სოფლების მახლობლად ბლომად მოიპოვება იოდითა და მიწერალური მარილებით მდიდარი წყაროები. ამასთან, მათი გაყვანა სოფლებში, ხელსაყრელი რელიეფის გამო, შედარებით იოლად ხერხდება.

1933-1934 წლებში დოცენტ ასლანიშვილის ინიციატივით და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით სვანეთის და ჩიყვიანებულ სოფლებში ხის მილებით გაიყვანეს იოდითა და მიწერალური მარილებით მდიდარი წყაროები, რამაც სულ რამდენ-

ნიმე წელიწადში მნიშვნელოვნად შეამცირა დაჩივიანების შემთხვევები.

აჭარაში მსგავსი ღონისძიებების გატარება არ ხერხდებოდა. რადგან აქ სოფლები ერთმანეთთან დიდი მანძილით არიან დაშორებული და შედარებით ძნელი მასადგომია. ესეც რომ არ ყოფილიყო, აჭარა საერთოდ, ღარიბია მინერალური წყლებით, ხოლო არსებული წყაროები მცირე რაოდენობით შეიცავენ იოდსა და მინერალურ მარილებს.

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების მიზნით, აჭარის კურორტების მუშაკთა პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქ. ბათუმში 1933 წელს, დოცენტმა ასლანი-შვილმა წაიკითხა მოხსენება — „აჭარის კურორტები ჩიყვთან ბრძოლაში“. მან საზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზღვის სანაპირო ზოლის კურორტების გამოყენებას ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, ზღვის სანაპირო რაიონებში ჰაერი დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს. ამიტომ აქ ცხოვრება ან ხშირად ყოფნა თავისთავად არის პროფილაქტიკური ღონისძიება.

სხვა რაიონებზე რომ არაფერი ვთქვათ, ახლა რესპუბლიკაში ახალი გზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მკვეთრად განვითარებასთან დაკავშირებით, ზღვის სანაპირო ზონასთან მჭიდრო კონტაქტი აქვს აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობასაც.

თუ წინათ უგზობისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო ბათუმში ან ზღვის სანაპირო ზონის სხვა ადგილებში წლების განმავლობაში ვერ ჩამოდიოდა ხულოელი, შუახვეელი და ქედელი გლეხი, ახლა მას ან მისი ოჯახის წევრებს, პირადი თუ საზოგადოებრივი საქმის გამო, ძალიან ხშირად უხდებათ ზღვის სანაპირო ზონაში ყოფნა, რაც, როგორც აღვნიშნეთ თავისთავად არის ჩიყვის პროფილაქტიკის ერთ-ერთი სახე.

აჭარის მთიან რაიონებში მოსახლეობის დიდი ნაწილი პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით სისტემატურად ღებულობდა ჩიყვის საწინააღმდეგო აბებს — ანტისტრუმიწის და იოდირებულ მარილს. მათ 1949-50 წლებში მიაწოდეს 603 ტონა იოდირებული მარილი.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1950 წლიდან აჭარის დაჩივიანებულ რაიონებში იოდირებული მარილის შეზიდვა დაევალა აჭარის სამომხმარებლო კოოპერაციას — „აჭარკოოპკავშირს“. ამ ორგანიზაციამ 1951 წელს აჭარის ენდემიურ

კერებში შეზიდა 616,4 ტონა იოდირებული მარილი. ამ მარილით მოსახლეობის მომარაგება გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც.

აქარის მოსახლეობაში იოდირებული მარილების შეზიდვის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილები.

1952 წელში შეზიდული იოდირებული მარილის რაოდენობა

ცხრილი № 2

სოფლსაბკო- ების დასახელება	1-ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე-3 კვარტალი	მე-4 კვარტალი	სულ	ტონებში
1 ხულოს	—	2634 კგ	28617 კგ	—	31281 კგ	31,3
2 სხალთის	—	5600 კგ	18300 კგ	—	23900 კგ	23,9
3 შუაზევის	—	9826 კგ	23780 კგ	—	33606 კგ	33,6
4 ქედის	—	10342 კგ	2613 კგ	500	13455 კგ	13,4

სულ ტონებში . . 102,2

1953 წელში შეზიდული იოდირებული მარილის რაოდენობა

ცხრილი № 3

რაიონის დასახელება	1-ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე-3 კვარტალი	მე-4 კვარტალი	სულ	ტონებში
1 ხულოს რაიონი	26790 კგ	83270 კგ	11358 კგ	23790 კგ	217430 კგ	217,4
2 ქედის რაიონი	15220 კგ	25310 კგ	34070 კგ	34530 კგ	109130 კგ	109,1
3 ბათუმის რაიონი	14140 კგ	19800 კგ	11340 კგ	24730 კგ	70000 კგ	70,0

სულ ტონებში 426,5

1954 წელში შეზიდული იოდირებული მარილის რაოდენობა

ცხრილი № 4

რაიონის დასახელება	1-ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე-3 კვარტალი	მე-4 კვარტალი	სულ	ტონებში
1 ხულოს რაიონი	11720 კგ	36100 კგ	80000 კგ	55000 კგ	182820 კგ	182,8
2 შუაზევის რაიონი	11230 კგ	11450 კგ	28000 კგ	44500 კგ	95180 კგ	95,2
3 ქედის რაიონი	23200 კგ	1760 კგ	27500 კგ	55600 კგ	108060 კგ	108,1
4 ბათუმის რაიონი	9400 კგ	1400 კგ	—	—	10800 კგ	10,8

სულ ტონებში 396,9

1955 წელს შეზიდული იოდირებული მარილის რაოდენობა

ცხრილი № 5

რაიონის დასახელება	1-ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე-3 კვარტალი	მე-4 კვარტალი	სულ	ტონებში
1 ხულოს რაიონი	30248 კგ	72300 კგ	94000 კგ	22348 კგ	218896 კგ	218,9
2 შუახევის რაიონი	21160 კგ	63900 კგ	71000 კგ	43720 კგ	199780 კგ	199,8
3 ქედის რაიონი	24785 კგ	35875 კგ	83000 კგ	12270 კგ	155930 კგ	155,9
4 ბათუმის რაიონი	7960 კგ	16706 კგ	59600 კგ	—	77666 კგ	77,7
					სულ ტონებში	622,3

1956 წელს შეზიდული იოდირებული მარილის რაოდენობა

ცხრილი № 6

რაიონის დასახელება	1-ლი კვარტალი	მე-2 კვარტალი	მე-3 კვარტალი	მე-4 კვარტალი	სულ	ტონებში
1 ხულოს რაიონი	8027 კგ	33000 კგ	52000 კგ	63177 კგ	156204 კგ	156,2
2 შუახევის რაიონი	3145 კგ	43500 კგ	26000 კგ	13841 კგ	86486 კგ	86,5
3 ქედის რაიონი	1058 კგ	13500 კგ	27000 კგ	32441 კგ	85999 კგ	86,0
4 ბათუმის რაიონი	—	22500 კგ	30000 კგ	15385 კგ	67885 კგ	67,9
5 ქობულეთის რაიონი	—	—	—	49483 კგ	49483 კგ	49,5
					სულ ტონებში	448,1

ამრიგად, აჭარის ჩიყვის ენდემიურ კერებში 1957 წლამდე სულ შეზიდულია 3285,7 ტონა იოდირებული მარილი. 1952 წლამდე არ არის მონაცემები ცალკეული რაიონების მიხედვით. 1952 წლიდან 1957 წლამდე იოდირებული მარილის შეზიდვა რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ხულოს რაიონს 1952 წლიდან 1957 წლამდე მიაწოდეს 836 ტონა იოდირებული მარილი, ქედის რაიონს — 432,5 ტონა, შუახევის რაიონს — 427,1 ტონა. ბათუმის რაიონს — 226,4 ტონა, ქობულეთის რაიონს — 49,5 ტონა. იოდირებული მარილის გარდა აჭარის მთიანი რაიონების მოსახლეობა წლების განმავლობაში ღებულობდა ჩიყვის საწინააღმდეგო ტაბლეტებს — ანტისტრუმინს.

ზემოაღნიშნულ კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას ხელი შეუწყო მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის სწრაფმა გაფართოებამ. რომ ერთგვარი წარმოდგენა გვექონდეს იმ დიდ კულტურულ ძეგლებზე, რაც მოხდა აქარაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ ამ კუთხის სახალხო განათლების მდგომარეობას წარსულში.

როგორც ცნობილია, აქარაში თურქთა ბატონობის დროს მოსახლეობის სწავლა-განათლების საქმეს განაგებდნენ ხოჯა-მოლები, სკოლების ნაცვლად აქარა მოფენილი იყო მედრესეებით.

1878 წლამდე, აქარის თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლებამდე, როგორც ი. მესხი წერს, არათუ ბათუმში, მთელ ლაზისტანის სინჯაყშიაც კი არ იყო არც ერთი სამოქალაქო სასწავლებელი. მოხსენებულია მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა „ევროპიულის“ სახელწოდებით, რომელიც დაარსებულა 1861 წელს ქ. ბათუმში. ეს სკოლა ეკლესიის გამგებლობაში იყო და ფაქტიურად ისიც რელიგიურ განათლებას იძლეოდა. მხოლოდ 1878 წლიდან იწყება სამოქალაქო სკოლების დაარსება (ძირითადად ქ. ბათუმში). 1881 წელს გაიხსნა ბათუმის სამოქალაქო 6-კლასიანი სასწავლებელი, 1889 წელს — სახელოსნო სასწავლებელი. 1890 წელს — მარინეს ქალთა სასწავლებელი. 1897 წელს — ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1900 წელს — ქალთა გიმნაზიაც.

ბათუმის ოლქის შემოერთების შედეგად ათეული წლების განმავლობაში სწავლა-განათლების საქმე აქარის რაიონებში კვლავ მოლებისა და ხოჯების ხელში დარჩა. ჯერ კიდევ 1913 წელს ბათუმის ოლქში 192 მედრესე იყო, აქედან კინტრიშის მხარეში — 30, ქვემო აქარაში — 60, ზემო აქარაში — 54, გონიოს მხარეში — 46.

მედრესეებში, როგორც წესი, ღებულობდნენ ორივე სქესის 7-8 წლის ბავშვებს. გოგონებს შეეძლოთ სწავლა მხოლოდ 13 წლამდე, შემდეგ მუსლიმანური რელიგია მათ უკრძალავდა სწავლას. ისინი ვალდებული იყვნენ დაეხურათ ჩადრია და აღარ გამოჩენილიყვნენ საზოგადოებაში. მედრესეში ბავშვებს მათთვის გაუგებარ ენაზე — არაბულად — უკითხავდნენ საღვთო წიგნს „ყურანს“, მოაწველებები იზეპირებდნენ ადგილებს ამ წიგნიდან ისე, რომ აბსოლუტურად არ ესმოდათ შინაარსი.

მეფის მთავრობაც ნაკლებად ზრუნავდა სამოქალაქო სკოლების გახსნაზე. 1886 წელს ქუთაისის გუბერნიის სკოლების ღირექ-


ციამ პირველად სკოლა გახსნა სოფელ მარადიდში, მაგრამ იგი ძალიერ დაიხურა. ამის შემდეგ 1887 წელს ხულოში გაიხსნა ერთი დაწყებითი სკოლა ამრიგად, აჭარის სოფლებში სკოლების ქაელი ძალიან ნელი ტემპით იზარდებოდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის აჭარის რაიონებში მხოლოდ ორი დაწყებითი სკოლა იყო. ერთი ხულოში და მეორე ქობულეთში.

1881 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის უშუალო ხელმძღვანელობით მოახერხა ქ. ბათუმში პირველი ქართული დაწყებითი სკოლის გახსნა, მაგრამ რელიგიურმა ფანატიზმმა დიდად შეუშალა ხელი ქართულ სკოლაში აჭარელი ბავშვების მიზიდვას. ამით აიხსნება ის, რომ 1881 წელს ძლიერ მოხერხდა 11 აჭარელი ბავშვის ჩაბმა სკოლაში (მათ შორის 1 გოგონა იყო). მეორე წელს მშობლებმა ბავშვები არ გაუშვეს სკოლაში. სკოლას დახურვის საფრთხე მოელოდა. ამ მდგომარეობით შეწუხებული დიდი ქართველი მგოსანი ილია ჭავჭავაძე სწერდა ბათუმის ქართული სკოლის გამგეს მიხეილ შარაშიძეს: „ოიდი აიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო ქართველ მუსულმანებს შორის მუშაობა; გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსულმანები ჩვენი ძმები, მეტად ნიკიერი, ღინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია... იხმარე ყოველივე ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენის მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოებით“.

1883 წლიდან კვლავ განახლდა აჭარელ ბავშვთა მოყვანა ქართულ სკოლაში. სკოლა გახსნილი იყო დაქირავებულ ბინაში. ადგილობრივი მთავრობა თავს არ იწუნებდა ქართული სკოლისათვის შენობის აგებაზე. მხოლოდ 1895 წელს მოხერხდა ბათუმში ქართული სკოლისათვის საკუთარი შენობის აგება, რომელშიც შემდგომ ბევრმა აჭარელმა ბავშვმა მიიღო პირველდაწყებითი განათლება.

1914 წელს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარას, კვლავ შემოესია თურქები. დამპყრობთა ახალმა თარეშმა კიდევ მეტად დასცა ამ კუთხის იხედაც ღარიბი სახალხო მეურნეობა. აჭარას საკუთარი სახარებით აღარ შეეძლო სკოლებისა და საერთოდ, სწავლა-განათლების ქაელის გაფართოება და ახლაც, ისე როგორც ყოველთვის, აჭარელ ძმებს დახმარების ხელს უწოდებენ საქართვე-



პირველი ქართული საშუალო სკოლა ბათუმში. რეკონსტრუირებულია 1933 წ.

ლოს ყველა კუთხიდან. ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შეგროვილი თანხებით 1916 წელს აქარაში გაიხსნა 5 ქართული სკოლა.

1918 წელს აქარას კვლავ თავს ესხმიან თურქები, ისევ დაიხურა ქართული სკოლები. სწავლას მოწყურებულ აქარელ ახალგაზრდებს კვლავ მიერეკებიან შედრეაეებში.

მაგრამ თურქთა თარეში და მენშევიკების ბატონობა დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მალე აქარაში მყარდება საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე გადაჭრით დააყენა საკითხი მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ აქარაში ხუთი წლის განმავლობაში გახსნა იმაზე 5-ჯერ მეტი სკოლა, ვიდრე მეფის რუჟეთმა და მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წლამდე. 1926 წელს რესპუბლიკაში სკოლების რაოდენობამ 21-დან 121-მიაღწია, მოსწავლეთა რიცხვი 2684-დან — 8912-მდე გაიზარდა.

მომდევნო წლებში კიდევ უფრო სწრაფად ფართოვდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და მატულობს მოსწავლეთა რიცხვი.

1955 წელს სკოლების რაოდენობამ აქარაში მიაღწია 374-ს, მოსწავლეთა რიცხვმა — 45563-ს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქარა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გარდა, ფართოდ დაიქსელა სპეციალური სასწავლებლებით. უკვე 1935 წლისათვის აქ იყო 12 სპეციალური სასწავლებელი, მათ შორის 4 პედაგოგიური და 9 სხვა სპეციალობის ტექნიკუმი. 1937 წელს სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა გამოუშვეს 1930 საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი, მათ შორის 321 აქარელი (272 ვაჟი და 49 ქალი).

1935 წლიდან აქარაში იხსნება 2-წლიანი პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც 1945 წელს გადაკეთდა 4-წლიან უმაღლეს სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად 6 ფაკულტეტით. ინსტიტუტი ყოველწლიურად უშვებს ასობით მაღალკვალიფიციურ პედაგოგს. თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას აქარაში იყო მხოლოდ 3 უმაღლესი და 12 საშუალო განათლების მქონე პირი, დღეს უმაღლესდამთავრებულთა რიცხვი რამდენიმე ათასს შეადგენს.

ახლა, 1957-58 სასწავლო წლისათვის რაიონებში სკოლების

რაოდენობისა და ადგილობრივ პედაგოგთა შესახებ შემდეგი სურათი გვაქვს:

ცხრილი № 7

რაიონების დასახელება	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	პედაგოგთა რაოდენობა	
			ს უ ლ	პათ შორის ადგილობრ.
1. ქ. იათუმა	23	11899	816	180
2. ბათუმის რაიონი	78	7398	715	310
3. ჭობულეთის რაიონი	63	9412	728	410
4. ხულოს რაიონი	73	6215	418	190
5. შუახევის რაიონი	79	4532	416	180
6. ქედის რაიონი	67	4015	412	189
ს უ ლ	388	43171	3505	1459

ამგვარად, თუ 1917 წელს აჭარაში სულ რამდენიმე სკოლა იყო, ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავზე 388 ზოგადსაგანმანათლებლო, 11 მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და 13 სპეციალური სასწავლებელია. აჭარაში მუშაობს 3.500 მასწავლებელი, მოსწავლეთა რაოდენობა კი 46.000 შეადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი აჭარელი ქალი დაეწაფა სწავლა-განათლებას. 1957 წლის მონაცემებით, აჭარის სკოლებში 2.560 აჭარელი გოგონა სწავლობს.

ახლა აჭარის მთიან სასაზღვრო სოფლებში (ხიხაძირი, კალოთაბაკო, რაჭეთა, ვერნები და სხვა) ბევრი უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივი ინტელიგენტი მუშაობს. აქ, მასწავლებელთა 95% აჭარის მკვიდრია. საერთოდ, ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონების უმეტეს სოფლებში სკოლები დაკომპლექტებულია მხოლოდ ადგილობრივი პედაგოგებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად გაუმჯობესდა აგრეთვე აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობები, რამაც მეტად შეუწყო ხელი მთელ რიგ სამხარეო და ინფექციურ დაავადებათა გამოვლინებასა და ლიკვიდაციას.

ამრიგად, აჭარაში მოსახლეობის გაჯანაღება მთელ რიგ დაავადებათა მკვეთრი შემცირება და ლიკვიდაცია არ შეიძლება ავხსნათ მარტო სამედიცინო მომსახურებით. ამას დიდად შეუწყო ხე-

ლი საერთო საგანმანათლებლო ქსელის გაფართოებამ და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებამ.

ახლა გავეცნოთ აჭარაში სამედიცინო დაწესებულებათა განვითარების მოკლე ისტორიას.


თურქთა ბატონობის დროს აჭარის მოსახლეობა აბსოლუტურად მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას, არ არსებობდა არც ერთი სამედიცინო დაწესებულება და პუნქტი, მთელ აჭარაში არ იყო არც ერთი ექიმი. ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ პირველად დაისვა საკითხი ქ. ბათუმში ოთხ-ოთახიანი ქსენონის გახსნის შესახებ, მაგრამ სახსრების უქონლობის გამო, ქსენონი, გახსნა არ მოხერხდა. პირველად მხოლოდ 1887 წელს მოეწყო 25-საწოლიანი ქსენონი (ახლანდელი ვენდისპანსერის შენობაში, ენგელსის ქ. № 39). ბინის სივნიწროვისა და სათანადო კვალიფიციური კადრების უყოლობის გამო ქალაქის მოსახლეობა მოკლებული იყო ნამდვილ ქირურგიულ დახმარებას. რაც შეეხება რაიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამის გამო ყველა ავადმყოფი, ქალაქ ბათუმის მცხოვრები იქნებოდა ის, თუ აჭარის რომელიმე რაიონიდან, ქირურგიული დახმარების მისაღებად იგზავნებოდა თბილისში, ან ქუთაისში.

ქალაქში სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებით ხელისუფლება იძულებული გახდა გაეხსნა სტაციონარი. ამასთან დაკავშირებით 1896 წლის თებერვალში ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა მოიწვია თვითმმართველობის თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ექიმებიც.

ზემდგომ ხელისუფლებასთან ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ 1899 წელს საძირკველი ჩაეყარა ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობას, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა 1902 წელს. აქ ჯერ იყო 60 საწოლი, ერთი წლის შემდეგ საწოლთა რიცხვი 120-მდე გაიზარდა. საავადმყოფო შედგებოდა 6 ბარაკისაგან, რომლებშიც მოთავსებული იყო თერაპიული, ინფექციური, სამშობიარო-გინეკოლოგიური, ვენერიული და ფსიქიატრიული განყოფილებები. აქვე გაიხსნა აგრეთვე 30-საწოლიანი ქირურგიული განყოფილება.

სამედიცინო დახმარების მხრივ გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყო აჭარის სოფლის მოსახლეობა. 1895 წლამდე სოფლად საფერშლო პუნქტიც კი არ არსებობდა. მოსახლეობის მკურნალობა მინდობილი ჰქონდათ ხოჯებს, მოლებსა და ექიმბაშებს.

პირველი სამედიცინო დაწესებულება აგარაში (25 საწოლიანი ქსენონი)




აი რას წერს აჭარის სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შესახებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი თედო სახოკია, რომელმაც ამ კუთხეში იმოგზაურა გასული საუკუნის 90-იან წლებში. „მკურნალობა აქაურ სოფლებში ჯერჯერობით ისევე მოღებინს ხელშია. პედაგოგობის გარდა ესენი ხალხის კურნებასაც ხელს კიდებენ. რაც უნდა სენი სჭირდეს ავადმყოფს, მოლა უკან არ დაიხვეს, ყველაფერში მეცნიერებას იჩენს. მათი წამალი — შელოცვა და თილისმებია, თუ ავადმყოფი მორჩა, დიდება და სახელი მოლას. თუ თქვენი ქირი წაიღო, მაინც არ დაემღურებიან, — ალბათ წერა ყოფილა, თორემ მოლას ცდა არ დაუკლიათ.

ნამდვილი სამკურნალო მეცნიერების მსახურნი აჭარაში ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ დაინახეს მცხოვრებთა, როცა სოფ. ქედაში საგუბერნიო-საექიმო უწყებამ სამკურნალო გახსნა. სამკურნალოს გახსნისთანავე ქედაშივე დაწესებულ იქნენ ერთი მკურნალი, ერთი ბებია ქალი და ერთი ფერშალი — კაცი. სამკურნალო მხოლოდ გარედან მოსიარულეთათვის არის დაარსებული და მისი შენახვა წელიწადში 400 თუმნამდე ჯდება. დღეში ზოგჯერ 25 კაცი მოდის საექიმოდ, უფრო მამაკაცები, დედათა სქესისანი ჩვენებურ ექიმს გაურბიან. ისევ ფერშალ ქალს თუ ეჩვენებიან. ისიც, როცა სიკვდილის კარამდე არიან მიღწეულნი. მაგრამ სამწუხარო ის გარემოებაა, რომ არც ბებია-ქალმა და აღარც ფერშალმა ქალმა ქართული ენა არ იციან, რომ გააგებინონ რამე მათთან რჩევის სათხოვნელად შისულ აჭარელ ქალებს.

ქედის სამკურნალო მოქმედების რაიონი მეტად განაწილებულია. მეტად მცირედი ნაწილი მცხოვრებთა, და ისიც ქვედა აჭარისა, კპოულობს შეებას გასაჭირში, რადგან, უგზობისა გამო, აქ მძიმე ავადმყოფის ჩამოყვანა ფიზიკურად ყოველად შეუძლებელი ხდება. მთელი ზემო აჭარა კი, სადაც მხოლოდ ერთი ფერშალია, სრულებით მოკლებულია მკურნალობას. ხულოში, ეგრეთწოდებული საფერშლო პუნქტია. აქ განწესებულ ფერშალს, რომელსაც თითქმის 20000 სულის მოვლა და ყურის გდება აქვს დავალებული წარმოიდგინეთ, ქინაქინის და საფალარათო ზეთის მეტი არაფერი მოეძებნება მის სამგზავრო აფთიაქში! ხანდახან ისიც არ მოეპოვება ხოლმე, ხოლო ექიმი აქეთკენ თავის დღეში თვალითაც არ უნახავთ“.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რა უმწეო, სავალალო მდგომარეობაში იყო მოსახლეობის მკურნალობის საქმე აჭარაში გასული საუკუნის 90-იან წლებში.



პირველი საველერუოფო აჭარაში, რომელიც გაიხსნა 1902 წ. უკანა პლანზე მოხან უენობის ხედი

1903 წლიდან ხელოში, ქობულეთში, ართვინსა და არტანუჯში (ართვინი და არტანუჯი მაშინ ბათუმის ოლქში შედიოდნენ) გაიხსნა საექიმო პუნქტები. ზოლო უფრო მოგვიანებით, 1907 წელს—სოფლის საავადმყოფოები. არც ერთი საექიმო პუნქტი და საავადმყოფო, როგორც შტატით, ისე სამედიცინო მოწყობილობით არ აკმაყოფილებდა სამკურნალო დაწესებულების მოთხოვნებს; მოსახლეობა ვერ ღებულობდა ნამდვილ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. არ ხდებოდა მოსახლეობის ჩანმრთელობის მასობრივი შემოწმება. ყურადღების გარეშე რჩებოდა ისეთი მძიმე სამხარეო პათოლოგია, როგორიცაა ჩიყვი, აგრეთვე ინფექციური სნეულებანი და მრავალი სხვა სპეციალური ხასიათის დაავადება. ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დახმარების შემდეგ მიექცა ჭარბი ყურადღება.

მოსახლეობის ეკონომიურ და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, პარტიისა და მთავრობის დახმარებით, დიდად გაიზარდა აჭარაში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

ცხრილი № 6

საქ. პროფ დაწეს. დასახელება	წ								
	1921	1922	1924	1926	1930	1935	1940	1946	1950
1. საავადმყოფო	1	5	5	5	6	8	11	11	14
2. სამშ. სახლი	—	—	—	—	—	1	2	2	3
3. ანბ. პოლიკლინიკ.	1	3	4	6	10	12	13	14	14
4. სოფლის საექ. უბან.	2	8	17	17	29	42	45	51	51
5. ქალთა და ბავშვ. პ.	—	—	—	1	4	1	8	10	10
6. ვენ. დისპ და ე. პუნ.	—	—	—	1	3	7	8	10	12
7. ტუბ. დისპ. ტუბ. პუნქტ.	—	—	—	—	1	1	1	2	5
8. საფ. საბ. პუნქტი	1	—	—	3	10	12	14	16	19
9. სასწ. დახმ. სადგ.	—	—	—	—	1	2	3	5	5
10. სისხ. გადასხ. სადგ.	—	—	—	—	—	1	1	1	1
11. ბ. ბაგა	—	—	—	—	5	22	36	42	43
12. ჩვილ ბავშვ. სახლი	—	—	—	—	1	1	1	1	1
13. სამალ. სად. და პუნ.	1	1	1	2	6	36	38	41	31
14. კბილის სამე. კაბან.	—	2	4	4	10	12	14	22	36
15. რენტგენ. კაბ.	1	1	1	1	2	3	4	5	12
16. საექ. ჩანბ. ბათუმში	—	—	—	—	6	6	8	10	11

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1921 წელს აჭარაში სულ 7 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება ყოფილა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში (1950 წლის მონაცემებით) იგი გაიზარდა 250 ერთეულით.


ახლა აჭარის რაიონულ ცენტრებში საავადმყოფოები დაკომპლექტებულია კვალიფიციური ექიმებით, უზრუნველყოფილია დამხმარე სადიაგნოსტიკო საშუალებებით. ასე რომ, ყველა პირობაა შექმნილი ავადმყოფთა კომპლექსური შესწავლისა და დიაგნოზის სწორად დადგენისათვის.

1934 წელს ბათუმში გაიხსნა 120-საწოლიანი სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება. 1951 წელს — 150-საწოლიანი ქალაქის საავადმყოფო თერაპიული და ქირურგიული განყოფილებებით. ყოფილ სამშობიარო სახლის შენობაში მოეწყო 75 საწოლიანი ტუბერკულოზური საავადმყოფო, ხოლო იმავე შენობის ერთი კორპუსი დაეთმო ინფექციურ საავადმყოფოს. 1955 წელს ხულოს რაიონულ ცენტრში დამთავრდა 75-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. შუახვეში აიგო 50-საწოლიანი საავადმყოფო თავისი პოლიკლინიკით.


1945 წლიდან 1949 წლამდე ქ. ბათუმში ცენტრალურ პოლიკლინიკასთან არსებობდა დიაბეტური პუნქტი, რომელიც შემდეგ გადაკეთდა ენდოკრინოლოგიურ პუნქტად. იგი ემსახურება აგრეთვე ჩიყვით დაავადებულთა გამოვლინებას და ატარებს ჩიყვის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო ღონისძიებებს.

აჭარაში ჩიყვის ენდემიური კერების ლიკვიდაციის მიზნით 1951 წელს ქ. ბათუმში გაიხსნა ჩიყვის დისპანსერი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ამ დაავადების წინააღმდეგ.


აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა მედიცინის მუშაკთა რიცხვიც. ექიმთა კადრების ზრდაზე ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი. (იხ. 94 გვერდზე).



შენობა, რომელშიც აშკარად მოთავსებულია ჩიუვის დისკანდერა



ბუღოს ძველი საავადმყოფოს შენობის ხედი



სტლის ახალი საავამბოთის შენობის ხედი


წლები	ექიმთა რაოდენობა რესპუბლიკაში	მათ შორის	
		ბათუმში	რაიონებში
1921	25	23	2
1922	38	36	2
1923	45	41	4
1926	76	68	8
1927	84	71	13
1930	179	159	20
1934	182	157	25
1936	187	140	47
1939	228	155	73
1940	258	179	79
1941	198	128	70
1942	213	135	78
1943	243	155	88
1944	256	173	83
1945	256	176	80
1946	283	205	78
1947	343	246	97
1948	393	261	132
1949	401	268	133
1950	434	277	157
1951	441	281	160

ამრიგად, 33 წლის მანძილზე სულ რესპუბლიკაში ექიმთა რიცხვი 416-ით გაიზარდა, აქედან რაიონებში — 158-ით.


აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც ერთი ექიმი და ფერშალი არ ყოფილა ადგილობრივი, აჭარელი მოსახლეობიდან. 1954 წლის პირველი იანვრის მონაცემებით კი რესპუბლიკაში და მის გარეთ 38 აჭარელი ექიმი მუშაობდა (21 მამაკაცი და 17 ქალი), ხოლო 1957 წელს მარტო აჭარის სოფლებში 36 აჭარელი ექიმი იყო. ამას თუ მივუმატებთ ქ. ბათუმში და რესპუბლიკის გარეთ მომუშავე ექიმებს, მათი რიცხვი 50-ზე მეტი იქნება.

აჭარის რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებისათვის საშუალო-სამედიცინო კადრების მომზადების მიზნით, 1930 წელს ბათუმში გაიხსნა საშუალო-სამედიცინო სასწავლებელი. 1950 წლამდე სკოლამ 1443 საშუალო-სამედიცინო პერსონალი მოამზადა, აქედან 786 ფერშალი, 406 მეანი და 251 მედიცინის და. სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან 103 ადგილობ-

რივია, მათ შორის 20 ქალია. თუ 1921 წელს აჭარაში იყო სულ 45 ექთანი, 1950 წელს მათი რიცხვი 923-მდე გაიზარდა. ამათგან ქალაქში მუშაობდა 589, სოფლად — 334.



ბათუმის სამედიკონო სასწავლებლის შენობის ხედი (1950 წ.)



ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის შენობის ხედი ამჟამად

1956-57 წლის მონაცემებით, აჭარის მთიან რაიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი საშუალო-სამედიცინო კადრები. რომელთა რიცხვი გასულ წელს 128 შეადგენდა. ახლა აჭარის მთიანი რაიონების საექიმო პუნქტები და საავადმყოფოები ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით.

წინამდებარე თავში მოყვანილი ცნობები ნათლად მეტყველებენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარ იმ უმნიშვნელოვანეს ივრებზე, რამაც ხელი შეუწყო მრავალი ინფექციური და სამხარეო დაავადების ლიკვიდაციას. კერძოდ, ჩიყვის მკვეთრად შეპყრობას.

სააუთარკი ქირურგიული მასალის განხილვა

1902 წელს ქ. ბათუმში გაიხსნა საავადმყოფო ქირურგიული განყოფილებით. ამ დროიდან იწყება აჭარაში ჩიყვიან ავადმყოფებისათვის ადგილზე ქირურგიული დახმარების აღმოჩენა. 1902 წლიდან 1956 წლის იანვრამდე ახლანდელ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გატარებულია 574 ჩიყვიანი ავადმყოფი, აქედან ოპერირებულია 460.

ჩვენს მიერ შევროვილი მასალების მიხედვით, აჭარაში ჩიყვის ოპერაციების ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:


1902 წლიდან 1912 წლამდე	ოპერირებულია	42	ავადმყოფი;
1912 წლიდან 1922 წლამდე	—	5	ავადმყოფი;
1922 წლიდან 1932 წლამდე	—	86	ავადმყოფი;
1932 წლიდან 1942 წლამდე	—	102	ავადმყოფი;
1942 წლიდან 1952 წლამდე	—	103	ავადმყოფი;
1952 წლიდან 1956 წლამდე	—	122	ავადმყოფი.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქირურგიული აქტივობის მრუდე ყოველწლიურად მატულობს. ამას ხელი შეუწყო ერთი მხრივ, ექიმთა აქტივობამ, მეორე მხრივ, აჭარის მოსახლეობაში სანიტ-ჰიგიენური განათლების შეტანამ და რესპუბლიკაში სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებამ.


460 ნაოპერაციევი ავადმყოფიდან 370 იყო ქალი (80,5%), 90 მამაკაცი (19,5%). ქალებში მეტ დაჩიყვიანებას ადასტურებს აგრეთვე აჭარაში ჩატარებული ექსპედიციები.

ჩიყვის ფორმების მიხედვით, ჩვენი მასალა ნაწილდება ასე: 460 ავადმყოფიდან კვანძოვანი ჩიყვით დაავადებული იყო 213, დიფუზურით — 169 და შერეულით — 78.


ქირურგიული ჩარევა ხდებოდა სხვადასხვა მეთოდით და დაავადების სხვადასხვა პერიოდში. ოპერაციები ძირითადად კეთდებოდა სისხლ-ძარღვთა გადაკვანძვის ინტრაკაფსულარული წესით,



პირველი ქორეოგრაფული კორპუსი, ბათუმში (შენიშნული 1902 წ.) აქარას
სინამდვილეში ამ ჩანარდა პირველი ქორეოგრაფული ოპერაცია ჩიქენე.



რესპუბლიკური საავადმყოფოს ქარტუზიერი კორპუსი იმერიალ



ივე ავდუმთუ ოპერაციის შემდეგ



ვმლი ჩუე, ფარსებრი ჭირკლის ვადლეზა V ხარისხით
(საუთარი დაცირევა)

ზოგჯერ ორი ქვედა ან ორი ზედა არტერიის ექსტრაკაფსულარული გადაკვანძვით, იშვიათ შემთხვევაში — ოთხივე არტერიის იზოლირებული გადაკვანძვით. უკანასკნელ წლებში ჩვენთან ოპერაციები ტარდება მხოლოდ ინტრაკაფსულარულად.

არტერიების გადაკვანძვის მხრივ ჩვენი მასალა იძლევა შემდეგ სურათს:

ქვედა ორი, ან ზედა წყვილი არტერიის გადაკვანძვით გაკეთებულია 105 ოპერაცია. ოთხივე არტერიის ექსტრაკაფსულარულად გადაკვანძვით — 77 და ინტრაკაფსულარულად — 178.

ამ უკანასკნელი წესით წარმოებულ ოპერაციების დროს იშვიათი იყო გართულებანი. ბოლო ხანებში დიფუზური და შერეული




კვანძოვანი ჩიყვი. ფარისებრი ჭირკვლის გადიდება V ხარისხით (საკუთარი დაკვირვება)

